ნიზამი განჯელი

ვეფხისტყაოსანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიზამი განჯელი

მვილი მზეთუნახავი

თბილისი, „მერანი“, 1986

84 Перс. 1
ნ 615

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვეფხისტყაოსანი“ ნიზამი განჯელის (1141 — 1209) რიგით მეოთხე პოემაა. მისი დაწერა პოეტმა დაამთავრა მაშინ, როცა უკვე შეთხზული ჰქონდა თავისი დიდების გვირგვინი, მსოფლიო პოეზიის შედევრი „ლეილი და მაჯნუნი“ და 56 წლის მწერალი თავისი ხელოვნების თავდალმართზე ეშვებოდა.

წინამდებარე თარგმანი ამ პოემის მოკლე რედაქციაა, მასში შესულია შვიდივე ამბავი, მაგრამ არ იკითხება თხზულების ჩარჩო.

პოემა ქართულად პირველად გამოდის.

სპარსულიდან თარგმნა გაგალი თოდუამ

70403 — 179
Б ——————— 112 — 86
М 604 (08) — 86

© გამომცემლობა „მერანი“

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

K 58.74

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შავი სასახლე

ჩემს ბავშვობაში ძველთა ბრძენთა
და გონიერთა
ნათესავთაგან გაგონილი
მაქვს ეს ამბავი:
სამეფო სახლის სეფექალთა
შორის ერთ დიაცს
ღეთისმოსავის და განდეგილის
ჰქონდა სახელი.
სახლის ჩვენის ბჭეს თვეში ერთხელ
მოადგებოდა
ეს დედაკაცი შავს სამოსში,
გამოხვეული.
ერთხელ ჰკითხეს მას: „ვერცხლის ზოლო,
ნეტა რა ჭმუნვამ
შეგმოსა ასე შავად, რაზე
ხარ მგლოვიარედ?[1]
კარგი იქნება, შენიანად
გვაქციო შენი
ამბის მოყოლით და ბნელს თხრობის
შუქი მოჰფინო!
ჰქენი სიკეთე, ვით შეგფერის,
და აგვიხსენი,
მიზეზი შენი ასე შავად
მორთვის რაა?“
ქალმა რომ ნახა, სიმართლის თქმის
იქით არ ჰქონდა
სხვა გზა, რა ექნა?! დაჰყვა ნებას
მათხას და მოჰყვა:

„არ მომეშვებით, გატყობთ, მანამ,
სანამ ამ ჩემი
შავს აბრეშუმში გამოხვევის
ამბავს არ გეტყვით.
მე ვარ ამა და ამ ხელმწიფის
ყოფილი ხარჭა.
კარგა ხანია, აღესრულა
პატრონი ჩემი.
ის იყო მეფე
ნებიერი და დიდებული,
მის საუფლოში ერთად ძოვდა
მგელი და ცხვარი.
ზევრი ეტანჯა და საცდელიც
ზევრი ვცადა.
ენებისგან გვემის ნიშნად ტანზე
შავი ემოსა.
ზეცამ ასეთი უკულმართი
ბედ-იღბლისათვის
შავით მოსილთა მეფე არქვა
მას მეტსახელად.
ადრე კი ჭრელი სამოსელი
ამკობდა მასაც,
ძვირფასი ბარგი წითელ-ყვითლად
ულივლივებდა.
სტუმართმოყვარე იყო იგი,
ვითარცა ბალი
და უცინოდა პირისახე
ვარდის პირივით.
შუადამ მზად ჰქონდა სტუმართათვის
სრა სახლი ვრცელი,
სიმალლით ცას რომ უწვდებოდა
თავი, ისეთი.
სუფრა გაშლილი იყო, ნოხი
კი დაგებული
და ფარეშებსაც მუდამ გზისკენ
ეჭირათ თვალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მივარდებოდნენ სტუმრად მოსულს,
ლაგამს უჭერდნენ
და სიხარულით მიუძღვოდნენ
სალხინო სახლში.
როგორც წესია, გაუშლიდნენ
მაშინვე სუფრას,
უმასპინძლებდნენ ღირსებისა და
შესაბამისად.
გამოჰკითხავდა მეფე უცხოს
მის ამბავს წვრილად,
საიდან იყო მოსული ან
საიდან მიდიოდა.
მგზავრიც, თუ რამე საკვირველი
ენახა საიმე,
მოუყვებოდა და უსმენდა
მეფეც გულდასმით.
ასე ვიდოდა ამ ხელმწიფის
ცხოვრება მშვიდად
მანამდის, სანამ ამ სიმშვიდეს
არ დაეთხოვა.
ერთ დღეს უეცრად დაგვეკარგა
ხელმწიფე იგი,
სიმურლის მსგავსად უგზო-უკვლოდ
გაუჩინარდა.
ღრო გაიოდა, პატრონი კი
არ ჩანდა ჩვენი
და იყო ასე ონყასავით
გადაკარგული.
მაგრამ უეცრად ცა გაგვეხსნა,
ხელმწიფე ჩვენი
გამოგვეცხადა, ტახტზე აღხდა
და თაჯი ირქვა.
შავებში იჯდა, თავზე შავი
გვირგვინი ერქვა,
შავი პერანგი ეცვა, შავი
კაბა ემოსა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეფობდა ასე, კვლავ მეფური
უჭრიდა ჭკუა,
მაგრამ ეს იყო. უმიზეზო
შავი ეცვა კაცს.
ვით შავ ჯურღმულში უკვდავების
დგას წყარო, ისე
შავებში იყო, მიზეზი კი
ვერავინ ჰკითხა.
ერთ ღამეს გულისმოდგინებით
და ერთგულებით
ვესიყვარულე ჩვენს ხელმწიფეს
და ვესათუთე.
ჩახუტებული მქონდა გულში
ფეხები მისი.
მეფე ოხრავდა და თვის ოხერ
ბედს უჩიოდა:
„შეხედე, თუ ცა ვით დამეცა
თურქივით თავზე
და ამისთანა მეფე მასხრად
როგორ ამიგდო!
ვით გამაძევა მე ერამის
სანახებიდან
და ამ შავს დღეში, დღეს რომ მხედავ,
ვით ჩამაყენა!
კაცის ძე არვინ მეკითხება,
შავეთი იგი
საღ არის, ანდა ეს შავები
რად გაცვიაო?!“
ავწონ-დავწონე,
რა პასუხიც უნდა გამეცა,
ლაწვისთავებით ვეალერსე
ფეხისგულებზე.
ვუთხარი: „ჰოი, მტკივნეული
გულის სალბუნო,
ყველა მეფეზე უკეთესო
მეფეო ჩვეყნად!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განა მიწაზე სულიერი
იქნება ვინმე,
წერაქვით ცარგვალს მოსანგრევად
წაეპოტინოს?
შენ საიდუმლოს რომ ინახავ,
მას შენვე თვითონ
თუ ჰკითხავ შენს თავს და პასუხსაც
თვითონ თუ გასცემ!“
პატრონმა ჩემმა გულის ჩემის
რომ იგრძნო სითბო,
ლალი გააპო და სამუშაკე
პარკუჭი გახსნა.
მიამბო: „მე ხომ წესად მქონდა
ჩემს სამეფოში
ამვლელ-ჩამვლელთა შინ წვევა და
გამასპინძლება!
ვისაც ვნახავდი. ამ მთისა და
იმ ბარის ამბავს
ვკითხავდი ხოლმე და თვით ამბავს
ვათხრობინებდი.
ერთ დღეს მეწვია შორი გზიდან
ყარიბი ვინმე.
შავი ემოსა. შავი ეცვა.
შავი ეხურა.
რომ უმასპინძლეს, აჭამეს და
ასვეს, ის კაცი
ჩემთან მოვიხმე და მოვეპყარ
დიდი პატივით.
ვკითხე მას: „ვინ ხარ, უცხოელო,
ან საღაური.
მითხარი, შავით შემოსილი
რისთვის ხარ-მეთქი?“
მან მიპასუხა: „დამანებე.
ბატონო. თავი,
სიმურლს ასავალ-დასავალი
ეკითხებაო?!“

„სიტყვას ნუ მიგდებ ბანზე-მეთქი! —
მე ჩავაცივდი, —
შავი კუპრის და ქვეყნის შენის
ამბავი მაცნე!“
„შემინდე, მაგრამ ისეთი რამ
გინდა, გიამბო,
რომლის გამხელა არაფრის გზით
არ შეიძლება.
ამ ჩემი შავი სამოსელის
ხვაშიადი კი
ჩემ გარდა არვინ იცის და ვერც
გაიგებს სხვაო!“
მუდარა ჩემი გულთან ახლოს
არ მიიკარა.
მე ალთას ვიყავ, ის კი — ბალთას.
ვერაფერს გავხდი.
ვით არ ვეხვეწე, ვით არ ვთხოვე
და ვემუდარე,
მაგრამ ხვაშიადს კრეტსაბმელი
არ ამიწია.
ბოლოს კი, როცა საზღვარს გასცდა
მუდარა ჩემი
და ნახა, მეტი არ ვიყავი
კაცი, თვით შერცხვა
და მოხსნა გუდას: „ქალაქია
ერთი ჩინეთში.
ქალაქად ითქმის, თორემ ისე
სამოთხის ბაღს ჰგავს.
გულმოკლულთ სადგურს უწოდებენ
იმ ქალაქს სხვები,
სამგლოვიარო სახლს უხმობენ
შავად მოსილთა.
ქალაქის მკვიდრი ყველა მთვარეს
ჩამოჰგავს სახით
და მთვარესავით თალხებშია
გამოხვეული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინც იმ ქალაქში ერთხელ ღვინოს
დალევს, გათავდა,
მას შემდეგ შავად შემოსილმა
უნდა იაროს!
საოცარია ეს ამბავი
და საკვირველი,
თუმცა ჯერ იგი არც თქმულა და
არც დაწერილა.
რაც მოგახსენეთ, მოგახსენეთ,
ამაზე მეტს კი,
თავიც რომ მომჭრათ, ერთ სიტყვასაც
ვერ დამაცდენთო!"
თქვა ეს და თავის ვირს აჰკიდა
ბარგი-ბარხანა,
მე კი დამტოვა ასე ხელი
და ხახამშრალი.
გონს კი მოვეგე, მაგრამ უკვე
გვიანი იყო. —
შორი გზა ჰქონდა გავლილი ჩემს
გამახელებელს.
თავის სატეხი დამიტოვა,
თავად კი გადგა.
რა უნდა მექნა? ვშიშობდი არ
გავგიჟდე-მეთქი!
რას არ ვეცადე, აქეთ ვეცი
და იქით ვეცი,
სად არ გადავდგი საქმის ჩემის
რჩევის პაიკი,
მაგრამ დედოფალს ჩაკეტილი
ჰქონდა ყველა გზა.
მის ციხე-კოშკზე ქამანდითაც
ვერ აძვრებოდი!
ერთხანს ვიტყუე თავი, ვითომ
გულიც ვიმშვიდე,
მაგრამ ამაო იყო ყველა
ხერხი და ღონე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვის არ მივმართე, ვის არ ვთხოვე,
ვის არ ვეხვეწე,
მაგრამ ვერა და ვერაფერი
გავიგე მაინც.
ბოლოს დავაგდე სახელმწიფო.
სამეფო ჩემი
ერთ ჩემს ნათესავს ჩავაბარე
(ის გავამეფე),
ძე კი ავიღე მძიმე განძი,
ძვირფასი თვლები
და ტანსაცმელი, კაცს საფიქრალს
რომ უგერიებს,
დავადექ გზას და კითხვა-კითხვით,
ბოლოს და ბოლოს,
მივადექ კიდეც სასურველი
ქალაქის კედლებს.
ვნახე ქალაქი ტურფა, როგორც
ედემის ბაღი.
მუშკის სურნელი იდგა ირგვლივ
იმის ვრცელ თემში.
რძესავით თეთრი ჰქონდათ სახე
იმ ქალაქის მკვიდრთ,
ტანზე კი ყველას კუპრისფერი
კაბა ემოსა.
ვნახე საფეხური და ჩამოვხედ
იმ სახლში ბოლოს.
ტვირთი დავხსენი, დავბინავდი
და დავისვენე.
მეორე დღიდან შევუდექი
ქალაქში ყიალს.
ერთ წელს ვსწავლობდი მას და მაინც
ვერ შევისწავლე.
კაცმა არ მითხრა, რაც მინდოდა.
ბოლოს კი ერთ დღეს
ერთ ყასაბს შევხვდი, გულია და
უშიშარ ყაზახს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირად ლამაზი კაცი იყო,
დარბაისელი.
ვინმეს აუგს და ძვირს ვერაფრით
ათქმევინებდი.
ლირსეული და გონიერი
იყო, შევატყვე
და გადავწყვიტე, კაცი იგი
ახლოს გამეცნო.
ვეწივე ჯიდეც გულის წადილს,
დავუახლოვდი
და შევეცადე მისი სათნო
გულის მოგებას.
ვაჩუქე ფული, სულ ბაჯალლო,
ახალმოჭრილი,
ათასგვარ ძვირფას საქონელში
ყელამდი ჩავსვი.
რაც გადიოდა დრო, უფრო და
უფრო მეტს ვძღვნიდი.
სულ მოვუჭედე ოქროებით,
რაც რკინა ჰქონდა.
მოვიგე ბოლოს გული მისი
ასე გულუხვმა
დიბით და დიბის პირის სახის
მქონე ფულებით.
ამდენი ძღვენით, არმალანით
და საჩუქრებით
მოვინადირე საზვარაკე
ხარივით იგი.
იმდენი განძი ვაყარე და
ვაყარე თავზე.
ალარ შეეძლო კაცს ამდენი
საჭურჭლის ზიდვა.
ერთ მშვენიერ დღეს წამიყვანა.
ყასაბმა სახლში
და მიმასპინძლა. ენით რომ ვერ
აგიწერ, ისე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სუფრა გაშალა და მომართვა
საჭმელ-სასმელი,
ტკბილად მიმღო, მემსახურა
და მომალხინა.
სული და გული, რა გინდოდა,
არ მოერთმია
მასპინძელს, მაგრამ რაც მეწადა
მე, ის არ ჩანდა.
ჭამას რომ მოვრჩით, გადავედით
ტკბილ მასლაათზე.
ვიმუსაიფეთ ამ მთისა და
იმ ბარის გამო.
აღგა ეს ჩემი მასპინძელი,
გამომიტანა
ენით უთქმელი მოსაკითხი
და წინ დამიდგა.
რაც მე იმისთვის მიმერთმია,
გამოჰკრა ერთად,
მოწია ჩემკენ და ამრიგად
მომიბოდიშა:
„ეს ამოდენა სიმდიდრე და
თვალ-მარგალიტი,
ანგარიში და სათვალავი
რომ აღარა აქვს,
რისთვის მიბოძე მე, ერთ ლიტონ
ყასაბს, რომელიც
მცირეოდენი ქონებითაც
კმაყოფილი ვარ?
მითხარი, ძმაო, ამის ფასად
რას ითხოვ ჩემგან?
მინდა ვიცოდე ეს მე, მეც რომ
მოვემსახურო.
ხომ ერთი სული მიდგას პირში,
მაგრამ ათასიც
რომ მქონდეს, გწამდეს, უყოყმანოდ
შემოგწირავო!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მივუგე: „თავის მონასავით
მოკატუნება
რაში გჭირდება ლირსებებით
ალსავსე ვაჟკაცს?!
ვინც შეგნებული არის, იმის
ყაფნის პინაზე
წონა არა აქვს თავის ძე
დამცრობას-მეთქი!“
ვთქვი ეს თუ არა, მაშინათვე
ჩემს გაწვრთნილ მონებს
ჩავუკარ თვალი და დათქმული
მივეც ნიშანი,
რომ წასულიყვნენ და ახლავე
ხაზინით ჩემით
მოელოთ ბლომად სულ ბაჯალლო
ოქროს ფულები!
როცა მომართვეს, ავდექი და
მივუძღვენ ყასაბს.
იმაზე მეტი იყო, ვიდრე
ადრე მიმეცა.
რად ვაკეთებდი ამას, აზრზე
არ იყო იგი.
ამდენმა ოქრომ დააბნია
და დაარცხვინა.
მითხრა: “ჯერ ისეც ვალში ვიყავ
და არ ვიცოდი,
შენთვის ამდენი სიკეთე ვით
გადამეხადა,
ახლა კი აგერ სხვა საჭურჭლე
კვლავ მომანიჭე.
როგორ მოვიქცე, კი არ ვიცი,
მრცხვენია შენი.
შენ რაც მიძღვენი, მიტომ კი არ
დაგიდგი წინ, რომ
ზრახვა მქონოდეს, გამომება
რამისთვის კუდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ კი საჩუქარს საჩუქარზე
მისართავ ისევ.
შენ კმაყოფილი ხარ, მაგრამ მე
სიოცხვილში მაგდებ.
მონა ვარ შენი ყურმოჭრილი.
ან მიმსახურე,
ანდა სულ უკან დაიბრუნე,
რაც მიბოძეო!"
როცა დავრწმუნდი, ჩემი ძმობა
ეწადა მართლა
და დავინახე მისი ასე
ალალი გული,
ავდექ და წვრილად მოვუყევი
ამბავი ჩემი
(ძეფე რომ ვიყავ და მმონებდა
სამეფო ვრცელი).
ვუამბე, რისთვის მივატოვე
სამეფო ტახტი
და ყარიბივით აქეთ-რისთვის
გამოვიჭერი.
ვუთხარი, თუ ვით ერთადერთი
მქონდა სურვილი,
გამეგო ხალხი ამ ქალაქში
რისთვის ჭმუნავდა.
მგლოვიარენი არ არიან
და მაინც ასე
რატომ ჯავრობენ, შავებს რატომ
იცვამენ-მეთქი?"
ჩემმა ყასაბმა მასპინძელმა
ეს რომ ისმინა,
ცხვარივით დაფრთხა, თითქოს მგელ
ვყოფილიყავი.
მთელი საათი იყო მერე
გულწასულივით,
თვალი დახუჭა და გახელას
არც აპირებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოლოს ეს მითხრა: „ისეთი რამ
მკითხე, გამხელა
რომ არ ხამს, მაგრამ რა ვქნა, შენ ვერ
გაგაწბილებო!“
როდესაც ღამემ მოაფრქვია
ამბარი ქაფურს
და ხალხისაგან დაიცალა
შარა და შუკა,
მითხრა: „დრო არის, რაც გწადია,
ეწიო იმას,
თავად იხილო უცნაური
ეს ხვაშიადი.
წამოდი, უნდა გაგიმხილო
ეს საიდუმლო
და უნახველი დაგანახვო
უნდა თვალითო!“
ეს თქვა თუ არა, გამოვიდა
სახლიდან გარეთ,
გავიდა გზაზე და ეტიკად
წამიძღვა ბნელში.
წინ მიდიოდა თავად, მე კი
უკან მივსდევდი.
ორნი ვიყავით. კაციშვილი
სხვა არვინ გვახლდა.
ფერიის დარად მომაშორა
ადამის მოდგმას
და მიმაყენა ერთ ტიალ და
ვერან მიდამოს.
იმ ნანგრევებში რომ შევედით
ორივე ერთად,
ვითა ფერიათ აგვეფარა
ნიღაბი პირზე,
გოდორი ეგდო ერთი იქვე,
თოკზე მიბმული.
ყასაბმა იგი მოიტანა
ჩემს ახლოს ფრთხილად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ასე მითხრა: „ამ გოდორში
ჩაჯექი ჩქარა,
აფრინდი მაღლა და ჩვენს თავზე
გაინავარდე!
იქ გაიგებ შენ, რატომ გვიდგას
ჩვენ პირში წყალი
და ასე შავად შეგოსილი
რა მიზეზით ვართ.
რა ხვაშიადის გაგებაც შენ
ასე გწადია,
იმას ამქვეყნად ეს გოდორი
თუ გეტყვის შენო!“
რა დიდი საქმე იმ გოდორში
ჩაჯდომა იყო,
ჩავხტი მაშინვე, ყასაბმა ეს
მითხრა თუ არა.
ის იყო, კარგად მოვკალათდი
იმ კალათაში,
გოდორმა უცებ ფრინველივით
ფრთები შეისხა.
რაღაც თილისმა მიაფრენდა
მაღლა და მაღლა,
ჩარხზე ახვევდა თოკს და ზევით
მიაქანებდა.
ის ეწეოდა ბაწარს მაღლა
და ეწეოდა,
მე კი ვეკიდე უნებურად
ზედ ჯამბაზივით.
პატრუქზე ასხმულ სანთელს ვგავდი,
ოღონდ ეს იყო,
ბაწარი სქელი გახლდათ, ჩემი
ყელი კი — წვრილი.
როგორც ტყვექმნილმა.
ბედით თვისით ტანჯულ-გვემულმა,
ვერ ავარიდე თოკს ვერაფრით
კისერი ჩემი.

ხბილი ვიწყე მაშინ ყელზე
თოკწაჭერილმა.
წამოსთვა თავი ბედის ჩემის
ვირმა, ვატყობდი.
თუმცა სხეული ბაწრისაგან
ამ დღეში მქონ
სიცოცხლე ჩემი ამ ბაწარზე
ეკიდა ახლა.
შევხედე (ალბათ, აქ თუ იყო
საკანე მთვარის),
ეეჭა ბოძი იდგა ერთი
გასაოცარი.
ჩემმა გოდორმა ამ ბოძამდე
რომ მიატანა,
მისი ბაწრის ბანდს გამოეღო
მარყუჟი კიდეც.
ამომათრია ამ ბოძამდე
და იქ დამაგდო.
ბევრი ვიყვირე, მაგრამ პასუხს
არავინ მცემდა.
მიმოვიხედე ირგვლივ კარგად
და რასა ვხედავ, —
ცაში ვარ კაცი ამოსული
ამ სიმაღლეზე!
ხედავთ, რა ჯადო მიქნა ზეცამ
ამალამ; კაცი
ვიყავი ჩამოკიდებული
მაღლა ცასავით!
რომ დავინახე ჩემი თავი
ასეთ ყოფაში,
თავბრუ დამეხვა; წავხდი კაცი,
თვალთ დამიბნელდა.
მაღლა ახედვა არ შემეძლო
დაბაფრულს შიშით,
ძვე ჩამოხედვაც ვერ გავბედე
იმ სიმაღლიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა უნდა მექნა! შიშისაგან
დავხუჭე თვალი
და ჩავიქნიე სიცოცხლეზე
საწყალმა ხელი.
იცოცხლეთ, ახლა კი ვნანობდი
ჩემს ამ საქციელს,
სახლში მომინდა, მომენატრა
ჩემიანები,
მაგრამ რა აზრი ჰქონდა აწი
მონანიებას!
ეს იყო, მჭონდა უფლის შიში
და ღმერთს ვუხმობდი.
ასე გავიდა კარგა ხანი
და ამ შავს დღეში
რომ ვარ ,სად იყო და სად არა,
უეცრად ერთი
მთასავით დიდი ფრინველი რამ
დაჯდა იმ ბოძზე.
მას რომ შევხედე, ელდისაგან
გამისკდა გული.
ისე ვეება იყო იგი,
მისმა სიმძიმემ
ეს ამოდენა წააქცია
კინალამ ბოძი.
ფრთები და ბოლო ხის ტოტებს დ
ვარჯებს უგავდა,
სამეფო ტახტის ფეხების ტოლ
ფეხებზე იდგა,
სვეტივით გრძელი და მახვილი
ნისკარტი ჰქონდა.
იჯდა ამ ბოძზე და ნისკარტით
იქექავდა ტანს.
კუთავდა, თავის თავს რაღაცას
ეუბნებოდა.
მის ყოველ ბუმბულს, მას რომ ასე
ცვივოდა ქვევით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაცრილი მუშკის ჩამოჰქონდა
ქვეითი ქისები.
როცა ნისკარტით იქექავდა
ფრთებს ქვეშ ნაკრტენს,
მარგალიტებით სავსე სადაფთ
ჰყრიდა მიწაზე.
ბოლოს ფრინველმა, თითქოსდა
არაფერიო,
ძილს მისცა თავი, მე კი შიშის
ეკალზე დამსვა.
ვიფიქრე: თუ ამ ფრინველს ფეხზე
მოვეკიდები,
ვით ნანადირევს ამიტაცებს
ცაში კლანჭებით
და თუ მოვითმენ და დავრჩები
აქ, საშიშია, —
მიწამდე სული არ დამყვება,
რომ გადავვარდე,
იმ უკულმართმა არაკაცმა
რა საქმე მიქნა,
ადამის შვილი ასე რიგად
გამომიმეტა?!
ჩემი წამება რა ხელს მისცემს
ნეტა იმ ვერაგს,
ანდა სიკვდილი ჩემი თვით მას
რა შვებას მოჰგვრის?!
იქნებ, საჭურჭლის მითვისება
ეწადა ჩემის
და ამის გამო გამიმეტა
დასალუპავად!
იქნება სჯობდეს, — ვთქვა ჩემს **გულში,** —
ამ ფრინველს ფეხზე
ჩამოვეკიდო და გადვურჩე
განსაცდელს-მეთქი!
როცა ინათა და ყივილის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დრო დადგა მამლის
და წამოსწია ფრინველმა და
ცხოველმა თავი.
იმ ჩემს ფრთოსანსაც აუძგერდა
ძალუმად გული.
ფრთა ფრთას შემოჰკრა და საფრენად
წამოიმართა.
მაშინ ვახსენე ღმერთი და იმ
ვეება ფრინველს
მივწვდი ხელდახელ და ზედ ფეხზე
ჩამოვეკიდე.
ფრინველმა ფეხი აიკეცა
და ფრთა გაშალა.
მე რა ვიყავი მისთვის და მყის
ზე ამიტაცა.
გაფრინდა ის და უთვნია,
დილიდან ვიდრე
საღილობამდე, ასე ტანჯვით
მატარა ცაში.
როს მოემატა მხურვალება
შუადღის მნათობს
და ზედ ჩვენს თავზე გადიარა
კიდეც ცარგვალმა,
ჩემს ფრთოსანს ჩრდილში
მოსვენება მოუნდა. ალბათ,
როგორც შევატყვე, ძირს დაშვება
იწყო ნელ-ნელა.
მანამ ვაცადე დასაფრენად
წამოსულს ქვევით,
სანამ მიწამდე შუბის სიგრძე
დარჩა მანძილი.
ქვემოთ საამოდ ხასხასებდა
მოლი და ნეშო,
ვარდის წყლისა და ამბრის სუნით
ფშვენდა მიდამო.
ათასი ლოცვა და კურთხევა

ვუძღვენ იმ ფრინველს
და მადლიერმა მის ვეება
ფეხს ხელი ვუშვი.
ქვე ჩამოვვარდი ძირს მეხივით,
გულანთებული.
ფაფუკი მიწა და ბალახი
დამხვდა ძირს ლბილი.
მთელი ხათი ვეგდე ასე
დედამიწაზე.
ცუდ გუნებაზე დამდგარს დანა
პირს ვერ მიხსნიდა.
როცა გვემულმა ძლივძლივობით
მოვითქვი სული,
მადლი შევწირე უფალს ცოცხლად
გადარჩენისთვის.
როცა თვალები ავახილე,
მიმოვიხედე
ზოზინით სასოწარკვეთილმა
იქით და აქეთ.
ედემის მსგავსი დავინახე
ირგვლივ წალკოტი,
უბიწო იყო მტილი, ქორფად
რომ ხასხასებდა.
ირგვლივ ჰყვაოდნენ ათასფერად
სულ ყვავილები.
მწვანეს ელვიძა, რომ იტყვიან,
და წყალს ეძინა.
რა ვარდი იყო და რა ყვავილი,
იქ არ გენახათ,
წალკოტი ეჯის სიშორეზე
აფრქვევდა სურნელს.
სუმბულის ზილფებს გადესროლათ
ქამანდი ფიცხი
და დაეჭირათ ყარამფოლის
ქაფები მითი.
ყასმინს ჩაევლო გაზის პირი

ვარდის პირისთვის,
არლავნისათვის ენა ძირში
მოეჭრა ნეშოს[2].
მტვერი ქაფურის იყო ირგვლივ,
მიწა კი — ამბრის,
ხრეშად ეყარა ოქრო, ხოლო
ქვად — მარგალიტი.
ყოველ ნაბიჯზე სულ ვარდის წყლის
წყარო სდიოდა,
შიგ მარგალიტი კრთოდა და თვალს
ჭყეტდა აყიყი.
იმდენი ჰქონდა ამ წყაროებს
უფლის მირონი,
რომ ცის გუმბათი მათგან ფერს და
ეშხს სესხულობდა.
შიგ მის ტალღებში ნავარდობდნენ
თევზები ისე,
იტყოდი, დირეს ვერცხლისწყალი
ატივტივებსო.
ირგვლივ ზურმუხტისფერი ერთი
მთა ეკრა იმ ბაღს,
ისიც ტყით იყო დაფარული
თავით ბოლომდე.
სულ იაყუთის იყო იმ მთის
ქვები წითელის
და ალისფერად ელვარებდნენ
ხეები მათგან.
სანდალოსი და უდი უხვად
ხარობდა ტევრში
და მათი თბილი სუნთქვა ნიავს
დაჰქონდა ირგვლივ.
იმ ბაღს სამოთხეც ხარკს უხდიდა
გაწბილებული.
მე აქაური ვარო! უნდა
ეთქვა ჰურიას.
ედემის ბაღი გულის შვებას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უხმობდა იმ მტილს;
სამოთხე ხარო, შენ! — ცა ყურში
უჩურჩულებდა.
გაგიხარიათ, იმ წალკოტში
მე გავიხარე,
მტილი კი არა, მძიმე განძი
მეპოვოს თითქოს!
განცვიფრებული ვიყავი, იქ
რაც ვნახე, იმით.
უფალს მადლობა ვუძღვენი, რომ
აქ მომიყვანა!
სულ დავიარე ის მიდამო
ალმა და დალმა
წალკოტი ფშვენდა ირგვლივ, კაცის
თვალის საამო.
შევექცეოდი თაფლივით ტკბილ
ხილს, ბედის ჩემის
ვიყავი მეტად კმაყოფილი
და ღმერთს ვმადლობდი.
ბოლოს ყელამდე რომ ვიჯერე
განცხრომით გული,
ერთი საროს ხის ქვეშ შევჩერდი
და შევისვენე.
შელამებამდე ვნებივრობდი
იმ ხის ჩეროში
არსად ვჩქარობდი წასვლას, საქმე
თუმც ბევრი მქონდა.
ვიხემსე, მივწექ, მოვატყუე
ცოტაზე თვალიც.
რომ გავიღვიძე, ისევ ხოტბა
ვუძღვენი უფალს.
ამასობაში ღამემ ტანზე
გამოიცვალა, —
წითელი კაბა გაიხადა,
შავი ჩაიცვა.
სადღაც მთის გალმა გადაეშვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქვეყნის მნათობი
და ცაზე მის წილ აკიაფდა
ხარიბარია.
წამოდგა ქარი და გახვეტა
ბილიკზე მტვერი
(ქარი ვთქვი, თორემ ვარდობისთვის
ზეფირს ჯაბნიდა).
გადაგვიარა გაზაფხულის
ლრუბელმა თავზე
და მოაყარა ბალს ხოშორა
მარგალიტები.
როცა ბილიკი გაიხვეტა
და ეზა მოირწყა,
იქურობა ერეკმსახურთა
სახლს დაემგვანა.
ათი ათასი გათქვირული
ფერია ჩემ წინ
დაირწეოდა მთლად შილიფი.
გავგიჟდი კაცი.
ირეკვლივ დიაცთა რიალებდა
ფერი და ხორცი,
მათი შეხეიდვა ლვინოსავით
ათრობდა მნახველს.
ლალის ტუჩები მოწეულ მარწყვს
უგავდა ყველას,
თითო ლალს მათსას ხუზისტანის
ფასად იტყოდნენ[3].
მათ მაჯებს ოქროს სამაჯური
ამკობდა, მკლავებს —
ოქროს სამკლავე, ყელსა და ყურს
კი — მარგალიტი.
თითო სანთელი დაეჭირა
თითოეულს ხელთ
(ფარვანა რაა, არ იცოდა,
კვამლი და გაზი).
და მაგიჟებდნენ მედიდური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავის დაჭერით.
ათასნაირი ვნებიანი
მიხვრით და მოხვრით.
ნოხი და ტახტი შეედგათ ამ
ბერძენებს თავზე
(საძოთხის ნოხს და ტახტს იტყოდა
მათი მნახველი).
გაშალეს ნოხი ოვი და ზედ
დადგეს ის ტახტი.
(როგორ წამართვეს, მოთმინება
როგორ წამართვეს!)
არ გაუელია ამის შემდეგ
ბევრ ხანს, რომ ციდან
თითქოსდა მთვარემ ინებათ
ჩამობრძანება,
ერთი მნათობი მზე გამოჩნდა
შორიდან ბოლოს
და ცა დაჩრდილა მყისვე მისმა
სხივმა და შუქმა.
ირგვლივ ჰურთა და ფერიათა
ამალის მსგავსად
ერტყა ასეულ ათასობით
ცისკრის ვარსკვლავი.
შაქრის კვნიტივით ტკბილთ სანთელი
ეჭირათ ხელში. —
რა შეედრება ერთად შეყრილ
შაქარს და სანთელს!
ააგეს ბალი საროებმა
(საოცარია,
ქვეყნის მნათობებს, რომ სანთელი
ეჭირათ ხელში!),
მოვიდა ბედის ნებიერი
ის ბანოვანი
და ტახტზე დაჯდა მექორწინე
პატარძალივით.
ირგვლივ მეფური მყუდროება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სუფევდა, მაგრამ
ის რომ ჩამოჯდა, ფეხზე დადგა
მთელი ქვეყანა.
ტახტზე რომ კარგად მოკალათდა,
მზეთუნახავმა
პირიდან რიდე მოიშორა,
ფეხთაგან — ქოში.
და გამობრძანდა შაჰი გარეთ
სრასასახლიდან
თავში რუმის სპა მოდიოდა,
ბოლოში — ზანგის.
განთიადივით ორი ფერი
ჰქონდათ ზანგს და რუმს.
რუმელი მისი ომს იხდიდა,
ზანგი კი ქეიფს.
იმის შავ თვალებს ავი თვალი
არ ეცეს! ღმერთო,
ცეცხლით შექმნილი ვის ენახა
მანამდე სარო!
ერთხანს ვარდივით ჰქონდა თავი
ჩამოგდებული
და ცეცხლის ალით გადალოკა
მთელი ქვეყანა,
შემდეგ კი ისევ ზე ასწია
ლამაზი თავი
და იქვე ახლოს მდგარ ერთ მხევალს
ასე მიმართა:
„ჩემო კეთილო, ისეთი მაქვს
გუმანი, თითქოს
ვილაცა უცხო კაცი უნდა
იყოს ამ ბაღში.
წადი და კარგად მოიარე
აქაურობა:
თუ ვინმე უცხო შეგხვდეს, იგი
აქ მომგვარეო!“
ბობრუნდა მყისვე ქალი იგი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ვით უბრძანეს,
იქაურობას გულისყურით
მოავლო თვალი.
მე რომ მიხილა, ხელში მარჯვედ
ჩამავლო ხელი
და ასე მითხრა შემკრთალმა და
შეცბუნებულმა:
„ადექი ჩქარა! ბანოვანთა
ბანოვანისგან
ნაბრძანები მაქვს, უცხოელო,
მას მიგგვაროო!“
ასეთ რამეზე იმ ქალს უარს
როგორ ვეტყოდი!
მეც ეს მინდოდა და მაშინვე
დავემორჩილე.
ლამაზ ფარშავანგს შავი ყვავი
რომ აეკიდოს,
ისე ავუბი მხარი იმ ქალს
და წამოვყევი.
წარვუდექ ტახტზე მჯდარ ბანოვანს,
მის წინ მორჩილად
გავერთხე ძირს და
მოწიწებით ვემთხვიე მიწას.
მსურდა, მის ფერხთით მოვრთხმულიყავ
მონობის ნიშნად
და შესაფერი მოვიძიე
კიდეც ადგილი.
მიბრძანა: „ადექ, ეს ადგილი
შენი არ არის,
შენ არ შეგფერის მონასავით
ტახტის ფერხთ ჯდომა!
ისეთი სტუმართმოყვრის სტუმარს,
როგორიც მე ვარ,
არ ეკადრება ამნაირად
გამასპინძლება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნამეტურ ძე არ ეგების
პატივისცემა
შენსავით ამო საჭვრეტი და
ზრდილი ყმაწვილის.
ამოდი ტახტზე და დამიჯექ
აგერ პირისპირ!
მთვარე და ხომალი ერთმანეთს მწვედ
უხდებიანო!"
მაშინ მე ძე ეუპასუხე:
„მზეთუნახავო,
ჩემსავით უბრო მონას ძე
რისთვის ეპყრობი?
ბილყისის ტახტი ვინ ალარ ა
დამთხვეულ გიჟებს,
მხოლოდ სოლომონს შვენის მორჭმით
ამ ტახტზე ჯდომა.
მე ვარ უდაბნოს ავი სული
და ასეთ ავ სულს
ვინ მომაშავებს სოლომონის
დიდებას-მეთქი?!"
მან მითხრა: „ყრმაო ლირსეულო,
მიზეზს ნუ ეძებ;
ტყუილა ცდილობ მომალორო
ასეთი ზლაპრით!
რასაც აქ ხედავ, შენი არის
და ვისაც ხედავ,
მაგრამ ამისთვის ხამს, ჩემ კალრდით
იჯდე და იდგე! —
თუ გულით გინდა, ხვაშიადი
გაიგო ჩემი
და გსურს, რომ ჩემით იშვებდე შენ
მასპინძლობითო!"
„შენს ახლო ყოფნის ლირსი მხოლოდ
ლანდია შენი.
ჩემი გვირგვინი ტახტის შენის
მტვერია-მეთქი!"

ქალმა მაფიცა მაშინ თავი
და შემეხვეწა:
„გემუდარები, ერთი წუთით
ამოდი ჩემთან!
შენ სტუმარი ხარ, ღირსეულო
ყმაწვილო, ჩემი,
სტუმარს კი პატივს მიაგებენ,
თავად იცით“.
დაყოლის მეტი რა გზა მქონდა
ამ სიტყვის შემდეგ,
ვუსმინე ქალს და წამოვდექი
მორჩილად ფეხზე.
ერთმა მხევალმა მოწიწებით
მომკიდა ხელი,
მე ტახტზე დამსვა, ხოლო თავად
უკან დაბრუნდა.
მოვირთხი ფეხი იმ მაღალ და
დიდებულ ტახტზე.
მთვარე ვიპოვე და მოვიგდე
ქამანდით ხელში.
ხოლო იმ მთვარემ ამოიდგა
საამოდ ენა,
მესიყვარულა, დამიყვავა
და მომეფერა.
შემდეგ კი ბრძანა, გაეშალათ
მეფური სუფრა
და მოეტანათ საჭმელი და
სასმელი ჩვენთვის!
მყისვე სამოთხის ფარეშებმა
გაშალეს სუფრა,
მაგრამ რა სუფრა! რა გინდოდა,
სულო და გულო!
ფირუზის იყო სუფრა, ჯამი
კი — იაგუნდის.
გულს ახარებდა პურ-მარილი,
თვალს კი აძღებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განა რა უნდა ენატრა კაცს, —
მზარეულს მისას,
არ წასულიყო და მაშინვე
არ მოეტანა.
ბოლოს, როდესაც მოვრჩით ცხელი
საჭმელის ჭამას
და დავიამეთ გული ციცი
შარბათის წრუპვით,
დასცეს ნუტრიბი და დაიწყო
მწდემ წრის ჩამოვლა.
ეშხში შევედით და გახურდა
სმა და ქეიფი.
ბაგე გააპეს უპობელმა
მარგალიტებმა,
ყველამ იმღერა რიგრიგობით
საამო ჰანგი.
ცეკვით გაშალეს მოედანი
და წრე შეიკრა,
ფრთები მოესხა ფეხს. ხოლო ხელს
ჭინკა შეუძვრა.
თავზე დაიდგეს ანთებული
სანთლები ხონჩით
და დაემსგავსნენ ქალები თვით
ანთებულ სანთლებს.
ცეკვას და როკვას დაანებეს
ცოტა ხნით თავი
და დაეწაფნენ ისევ ღვინოს
გახურებულნი.
ამდენი ღვინის მიწოდებით
მწდე გაწყდა წელში.
თავი აიშვეს და დაჰკარგეს
რიდი ქალებმა.
მე კიდევ ღვინო რად მინდოდა,
იმ ქალის ეშხით
ისე ვიყავი ფეხაშლილი
და ვნებით მთვრალი.

ის ჩემი ცოდვით სავსე ქალიც
პირთამდე სავსის
განა მიშლიდა ღვინის თასის
ზედიზედ დაცლას!
რომ ვნახე, კოცნა მასაც ჰსურდა
მყის ჩავვუვარდი
ფეხებში იმ ქალს მისი გრძელი
ნაწნავებივით.
ფეხზე დავუწყე კოცნა. ქალი
სიცილ-კისკისით
რაც მეტს მიშლიდა კოცნას, მე მეტს
და მეტს ვკოცნიდი.
იმედის ჩემის ჩიტი ტოტზე
შეჯდა, ვხედავდი
და გაიშალა ასპარეზი
სასიყვარულოდ.
ავიშვი თავი, თან ვკოცნიდი,
თან ღვინოს ვსვამდი.
გული ხომ ერთი მქონდა, ცეცხლი
ასი მეკიდა.
ჩურჩულით ვკითხე ყურში: „სულო,
რა გსურს, მითხარი?
და ესეც მარქვი, რას გიხმობენ
სახელად-მეთქი?“
მან მიპასუხა: „თვალად, ხედავ,
თურქი ვარ ნაზი
და სახელადაც, გეტყვი, თურქნაზს
მეძახიანო.
მაშინ ვუთხარი მე: „სულით და
ხორცით ზიარებს,
სახელწოდებაც რომ ზიარი
ჰქონდეთ, წესია.
საკვირველია, შენ თურქნაზი
გქვია სახელად,
მე კი — თურქთაზი ვარ („თურქისგან
იავარქმნილი“).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაშ წამოდექი, თუ თურქნი ხართ
ბე და შენ, ჰინდოთ
დავესხათ თავზე და ცეცხლს მიესცეთ
მათი სახლ-კარი.[4]
დაელოთ კიდევ, ვინძლო ღვინო
გაგვიჯდეს ჯანში,
და დავაყოლოთ, ნუღლი, აშიყთ
როგორც ჩვევიათ!
რადგან ძელგია ღვინო, ხოლო
ნუღლი ტკბილია,
ნუღლი სუფრაზე დავდვათ, ჩვენი კი
ღვინო ვსვათ-მეთქი!"
ქალმა ამაზე მიბნედილი
თვალებით მითხრა:
„ერთიმეორის სიშორე, სჯობს,
მოვიშოროთო!"
თან მიმანიშნა: „ახლა შენი
ჯერია, ვაჟო,
ჰა, რას აყოვნებ, ხელსაყრელი
ჟამი გიდგასო!"
ქალის ლიმილი მაქეზებდა:
„რას უცდი ნეტა;
ცაცს ელოდება ქალი, ნუთუ
ვერა ხედავო?!"
ქერის ორმოში ჩავარდნილი
ვიყავი, მე რომ
ერთ კოცნას ვთხოვდი, ის ათჯერ და
ასჯერ მკოცნიდა.
ბოლოს ამემღვრა მთლად გონება
მთვრალი კაცივით.
ქალი ხელთ ვიგდე, საქციელი
კი დამეკარგა.
ჯიგარში სისხლი ამიდუღდა
ისე, რომ გულის
ჩემის ბაგუნი გულში ჩაკრულ
ქალს შემოესმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მითხრა: „ამალამ ეს ხეები და
ლოცნა ეიმაროთ,
დღეს რაც მიიღე, ჩემგან მის მეტს
ვერ ელოლები!
რაც ამის იქით გეგულება,
მას ვერ იგემებ,
გაუგებრობა მეგობრობას
არ ეგუება.
თუ ძალგიძს, ვნება დაიოკო
ამგვარად მხოლოდ,
მოდი, ზილფებზე მეთამაშე,
მკოცნე და მკოცნე!
მაგრამ თუ ხედავ, რომ აშვებულ
თავს ვერ იკავებ
და ვერ ახერხებ, გახელებას
ალვირი მოსდო,
ჰა, აგერ ჩემი გათქვირული
მხევლები დგანან,
მსურველთა ბნელ გულს ცისკარივით
რომ ანათებენ, —
რომელიც უფრო მოგეწონოს
ამდენ ტურფაში
წყურვილის შენის მოსაკლავად,
საიმალებლად,
დაადე ხელი და იცოდე,
შენია იგი.
ახლავ ეუბრძანებ, ნების შენის
მორჩილი იყოს!
შენს სამსახურად მზად იქნება
ყველაფრით იგი,
საწოლში ისე მოექცევი,
როგორც გწადია.
ჯერ აგიჩქროლებს გულს, შემდეგ კი
თვით დაგიყუჩებს
და გეყოლება ის მხევლადაც
და პატარძლადაც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულზე რომ ცეცხლი გიკიდია,
მას წყლით ჩაგიქრობს
(ნუ შიშობ, წყალი მეც მექნება
ცეცხლის საშრეტად).
ერთი დღის შემდეგ თუ იმ ხარჭას
ალარ ისურვებ,
სხვა ქალს გაგატან საპატარძლოდ.
რა გინდა მეტი?!
ყოველლამ ახალ და ახალ ქალს
მოგართმევ ლამაზს,
კიდევ თუ მომთხოვ სხვას, არ გიშლი,
ბატონი ხარო!"
ეს რომ თქვა, ნაზად მომეფერა
და დამიყვავა, —
დაშოშმინება და დაცხრომა
უნდოდა ჩემი.
შემდეგ კი უხმოდ გადახედა
პირმთვარე მხევლებს,
მათ შორის ერთი, სხვებზე ტურფა,
გამოარჩია,
მოიხმო, მომცა ხელში იგი
და ასე მითხრა:
„ჰა, წაიყვანე და რაც გინდა,
ის უქენიო!"
იმ ნაჩუქარმა ქალმა ხელი
ჩამავლო ხელში.
პირდაღებული შევყურებდი
მას, კალმით ნახატს.
ტანით თუ ფეხით, სინაზით თუ
მომხიბლაობით
ქალს საალერსოდ ვერ ნახავდი
მართლაც უკეთესს.
წამიძღვა ქალი წინ, მე მივყევ
უკან მორჩილად
მისი ზილფების კაკანათით
დატყვევებული.

ერთ დიდ სასახლეს მივატანეთ.
კარებთან შედგა,
ჯერ მე შემიშვა შიგნით, შემდეგ
თვით შემოვიდა,
გამოვიკეტეთ მე და ხარჭა
იმ ციხე-კოშკში
და შევხმატკბილდით ერთად, როგორც
ბანი და ზილი.
შევხედე, ტახტზე გაეშალათ
ლოგინი რბილად,
სულ აბრეშუმი, სულ ფარჩა და
სულ ამისთანა.
სანთლები ენთო იმ საწოლის
ახლოს ჩახჩახა,
ამბარს აკმევდნენ კელაპტრები
იაგუნდების.
დავწექით ტახტზე, ერთ ბალიშზე
დავდევით თავი
და ჩავეხუტეთ მაშინათვე
ერთიმეორეს.
ვარდივით იწვა, თმის ძეწნაში
გამოხლართული.
ქალის ქათქათა ტანის სიტფომ
ცეცხლი მომინთო.
თითიც არ ჰქონდა ჯერ კაცისგან
დაკარებული
და მე გავხლიჩე ის სადაფი
მაშინ პირველად.
გათენებამდე მიგორავდა
მკლავზე ის ქალი.
თეთრ ქაფურს და შავ მუშკს აევსო
საწოლი ჩემი.[5]
სისხამზე ქალი ზე წამოდგა
ჩემი ბედივით
და მომიმზადა ცხელი წყალი
განსაბანებლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმ აბაზანის ამბავს გეტყვი:
შიგ კიაფობდა
წითლად ხახხასა იაგუნდი
და ყვითლად — ოქრო.
გულის ნებაზე დავიბანე
ვარდისწყლით ტანი.
შემდეგ ჩავიცვი და მოწყვეტილ
ვარდს დაევმგვანე.
გამოველ გარეთ ნაბანი და
ნანებივრები.
ცისკრის ვარსკვლავი ციმციმებდა
ჯერ კიდევ ცაზე.
მივდექი გვერდზე, დავიჩოქე
და მადლიერმა
ლოცვა-ვედრება აღვავლინე
ღვთაების მიმართ.
მიძღვიხედე ირგვლივ.
მარტოდმარტო ვიყავი.
ალრესად ჩანდნენ გუშინდელი
ლამაზმანები.
ყვითელი ვარდის მსგავსად ობლად
ვიდექი მტილში.
იშმუშნებოდა დილა, წყარო
კი ჟღურტულებდა.
გახურებული გუშინდელი
ღვინის სმით ჩემი
ხუჭუჭა თავი ცივს მიწაზე
მიდევი იქვე.
განთიადიდან ვიწექი იქ
შელამებამდე.
ტკბილად მეძინა მე, ბედი კი
ჩემი ფხიზლობდა.
ლამით, ჭურჭიკმა როცა მუშკის
პარკუჭი გახსნა
და ცის სადაფმა როს ამბარი
აფრქვია მიწას,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოგელვიძა და ავსწიე
მიწიდან თავი
და წამოვჯექი, როგორც სარო,
წყაროს ნაპირზე.
ცა მოიქუფრა, როგორც გუშინ
და ქარი აღგა.
ის მარგალიტებს ჰყრიდა. ეს კი
ამბარს ყიდიდა.
ქარი ცოცხავდა მიწას, ხოლო
ლრუბელი --- რწყავდა.
ის უცვეთელას რგავდა, ეს კი —
იას თე'ავდა.
როცა წალკოტმა ამბარივით
დაიწყო ფშვენა,
ხოლო ვარდის წყლის რუმ მინდორზე
ფეხი აიდგა,
ისევ გამოჩნდნენ ის ქალები
და ამიტეხეს
გულის ფანცქალი. ცამ ოინებს
მიმართა ისევ.
გამოიტანეს ოქროს ფიცრით
შეკრული ტახტი
და მარგალიტით მოკენჭილი
ფარჩა მოიღეს.
დადგეს ის ტახტი თვალწარმტაცი
ხასხასა ნოხზე,
ზედ აბრეშუმის საბურველი
გადააფარეს.
დროის ტარებას აპირებდნენ,
ვატყობდი, დღესაც,
სამეფო სუფრა გაშალეს კვლავ
თვალისმომჭრელი.
სიცილ-კისკისით და ტკაცალით
აივსო ბალი
და მოიყარეს, როგორც გუშინ,
თავი ქალებმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მათ შორის იყო ჩემი მწველი
მზეთუნახავიც,
იგი, ვინც ხელით მოთმინების
ალვირს მტაცებდა.
მივიდა ტახტთან, მოკალათდა
შიგ ნებიერად.
და გაზაფხული აიტანა
ზედ გათქვირული.
დაჯდა თუ არა, ასე ბრძანა
ბანოვანთ მეფემ:
„სტუმარს ვერ ვხედავ დღეს. წადით და
აქ მომგვარეთო!“
ვეახელ კდემით, მიმიყვანეს
ხელახლა ტახტთან
და მოწიწებით დამსვეს ჩემი
დამწველის გვერდით.
ვით გუშინ, დღესაც დიდებული
გაშალეს სუფრა,
თავზე შედგმული გამოჰქონდათ
საჭმელ-სასმელი.
სამეფო ჰქონდათ ჯამ-ჭურჭელიც
გამოტანილი,
რომ მისცემოდა პურის ჭამას
პეწი და ეშხი.
სუფრა გაშალეს გულის ნების
შესაფერისი.
ვჭამეთ საჭმელი და დავნაყრდით
კარგად თუ არა,
ჩამოდგეს ღვინო და სალხინო
მიმართეს ჩანგი,
აყლერდა ჰანგი ყურთასმენის
დამატებობელი.
მწდის გამოწვდილმა თასმა საკვამ
კამკამა ღვინით
სასიყვარულოდ გაახურა

ბაზარი ვნების.
თავში გაგვიჯდა, რომ ვსვით და ვსვით,
ზარხოში ღვინის
და კვლავ აგვტეხა საალერსოდ
და საკოცნელად.
ბანოვანთ თავმა
მოწყალება მოიღო ისევ
და მე, მის მონას,
დამიყვავა გუშინდელივით.
მეტი მეფერა დღეს, გუშინ რომ
მეფერა მასზე,
არ იზოგავდა თავს, ოღონდ მე
სიტკბო მეგემა.
როცა შევხურდით, თავის მხევლებს
ანიშნა თვალით
და გაიკრიფა მაშინათვე
ერთბაშად ყველა.
მარტო ვიყავი ამისთანა
ქალთან! გავხელდი
და ამივარდა ცხელი სისხლი
გულიდან ტვინში.
მოვხვიე ხელი, ვითა ზილფი,
წერწეტა წელზე
და ჩავიხუტე გულში მაგრად
გახელებულმა.
„თავის აშვების არ მოსულა
ჯერ დრო! — მითხრა მან, —
განა დაგვიდგა დღე პირობის
არგახსენების?!
თუ ძალგიძს მხოლოდ ყანდის წვნევით
ოლად გასვლა,
ჰა, ბატონი ხარ, რამდენიც გსურს,
მკოცნე და მწუწნე!
ვისაც მცირედით შეუძლია
დაკმაყოფილდეს,
მთელი სიცოცხლე დაუმადლებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავის თავს შემდეგ,
ხოლო ის, ვისაც ვინც აჰყვება
წადილს და ნებას,
ბოლოს უთუოდ განსაცდელში
ჩავარდებიო!"
მე ვუპასუხე: „მიშველე რამ,
ღვთის გულისათვის,
თორემ დამსვლია დანა ძვალზე,
თავადაც ხედავ!
შენ ნახშირიანით შავი ჯაჭვი
გაყრია თმების.
მე კი გიყივით ამ ჯაჭვებით
ლაბმული ვყავარ.
გემუდარები. ამიკარი
ჯაჭვებით ყარი.
ვერ ძალო ბე ხელი შიგნით ლაგრის
გამომწყვდეული!
ლამე სულს ლაფავს, ჰა, ცისკარმაც
ამოჰყო ყური.
ჩვენს შეთანხმებას კი საშველი
არ უჩანს და არ.
თუ მკლავ, მომკალი, შენგან სიკვდილს
არ ვითაკილებ.
დამკარი ხმალი! გაწვდილი მაქვს
კისერი შენსკენ.
რატომ არ ისმენ ჩემს მუდარას,
არ იცი განა.
ვერ გაიცინებს ვარდი, სანამ
ცა არ იტირებ!?!
შენ რუ ხარ, მე კი რუისწყალი
ვარ შენში მდგარი,
მიწა ხარ შენ და შენი მრწყველი
წყალი დღეს მე ვარ.
მწყურვალი კაცი მოგადგა კარს,
პირდაფჩენილი.
მაშ დაარწყულე იგი, წყალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ გიდგას მხოლოდ!
წყ`ლს თუ შემასმევ. ხომ შემასმევ
და თუ არადა,
შენ მყავდე კარგად, ჩემი თავი
წყალს წაუღია!
მეწიე ჩქარა მიწას, თორემ
წამიღებს წყალი
და წყლის მძებნელი დავიხრჩობი
სულაც შენს წყალში!
არ აუორთქლო მწყურვალს წყალი
თუნდ ერთი წვეთი,
მოწყალე ექმენ და მწყურვალი
წყლით დაარწყულე!
მიეცი ნება ფინიკს — ოძეში
იჭყუმპალაოს.
ნემსი რისია, თუ ფარჩაში
არ წყვიტა თავი!
და თუ არა ხარ ამის მომხრე,
წავალ ახლავე,
ჯანდაბას ჩემი ეს ოხერი
თავი და ტანი!
ვითომ ერთურთი არც გვინახავს
და არც გვცოდნია,
მე ჩემთვის ვიყო, შენ კი შენთვის
იყავი-მეთქი!“

ამაზე ქალმა მიპასუხა:
„ეს ერთი ღამეც
როგორმე უნდა მოითმინო,
მოუთმენელო!
თუ ერთ ღამესაც შეაკავებ
ატეხილ ვნებას,
მარადისობის დაგხვდება წინ
ნათელი დიდი!
წვეთი წყლის ფასად ნუ გაყიდი,
ნურასდროს წყაროს,
ხვალინდელ ქათამს დღევანდელი

ნუ გიჯობს კვერცხი!
არ გირჩევნია ერთ სურვილზე
აილო ხელი
და მთელი წელი ინეტარო
სამაგიეროდ?!
იყავი აგერ, მკოცნე მე და
მეფერე თმებში,
ხოლო წადილის გაახურე
ნარდი ხარჭებთან!
წალკოტში იშვებ და ამ წალკოტს
ნუ ეტყვი უარს,
ჩიტი ხელში გყავს და ჩიტის რძეს
ნუ ითხოვ კიდევ!
გულის წადილი გაქვს, ხომ იკლავ
ამ გულის წადილს,
მაშ რისთვის გინდა, უმადურის
გერქვას სახელი!
ამაღამ კიდევ შეიკავე
როგორმე თავი,
გუშინდელივით დაიოკე
ვნებათაღელვა!
მე ამ ტახტიდან ჩამოვალ ძირს,
შენი რომ გავხდე,
მაგრამ იცოდე, მოლოდინი
გექნება დიდი!
დაიმახსოვრე: ბზეს ოლად
იშოვის კაცი,
მაგრამ მზეს ხელში ასე ჩქარა
ვერ ჩაიგდებო!“
როცა შევატყვე, არ იხევდა
და არა უკან,
შევეშვი მეც და კეთილ რჩევას
დავემორჩილე,
გული ყანდის წვენს დავაჯერე
(დიაცის კოცნას)
და გადავწყვიტე, მემარხულა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გახსნილებამდე.
კი ვსვამდი ღვინოს, კი ვკოცნიდი
კოცნითაც იმ ქალს,
მაგრამ ეს იყო, ცხელ ტაფაზე
ვიჯექი მაინც.
ბოლოს ამივსო მოთმინების
ფიალა ღვინომ
და ქალის კოცნამ გადამრია
თანდათანობით.
ხოლო იმ ჩემმა გულის სატრფომ
ნახა თუ არა,
ჯიგარში ცეცხლი რომ მომედო
დღესაც, ვით გუშინ,
ანიშნა თავის ერთ მოახლეს,
გამომყოლოდა
და გულის ცეცხლი ჩემთვის ჩემთან
წოლით ჩაექრო.
და როგორც იყო ნაბრძანები,
გავყევი იმ ქალს
და წინანდელზე უფრო მეტად
ვისიამტკბილე.
გათენებამდე თაფლი ვლოკე
და ყანდი ვწუწნე
და ვინეტარე, რაც შემეძლო,
იმ ფერიასთან.
დილით, როდესაც გამოფინა
გაზორმა ხამი
და ღამეს თეთრი სალებავის
კოკა გაუტყდა,
ველოდებოდი შეღამებას
სულწასულივით,
რომ ღვინო მესვა თარაზის და
ჩინის კერპებთან.
ვიცოდი, ნაწნავს ქალწულისას
წელთ შევირტყამდი
და ჩავიკრავდი გულში გულის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამაამებელს.
თან გადავკრავდი ღვინოს
შაქრისტუჩებიანთან,
თან კიდევ მასთან გულის წადილს
ავისრულებდი.
როცა დაღამდა, ამისრულდა
ნანატრი გულის.
და ვინებივრე დიდებულად
იმ მაღალ ტახტზე.
ასე, ამგვარად კარგა ხანი
ვინეტარე იქ,
ღვინოს მისხამდნენ და მიკრავდნენ
რუდზე ქალები.
შეღამებულზე ვქეიფობდი
დედაკაცებში,
ღამე კი ერთი იმათგანი
მკლავზე მეწვინა.
დღე ბაღში ვიყავ, სამოთხეში
ვიშვებდი ღამით,
სად მიწა მუშკის იყო, სახლი —
ოქროს აგურის.
ვიყავი მეფე ნეტარებით
ალსავსე ქვეყნის,
ვიშვებდი დღისით მზესთან, ხოლო
ღამე — მთვარესთან.
ყოველგვარ სურვილს ვისრულებდი,
რაც კი გამაჩნდა.
ბედნიერ ბედზე გაჩენილი
მეგონა თავი.
მაგრამ, ეტყობა, უმადური
ვიყავი კაცი, —
და ის განცხრომა ბედმა ცხვირში
ამომადინა.
გადამავიწყა თუ რა იყო
სიამოვნება.
ბევრი რომ მქონდა, უფრო მეტი

ვინდომე ხარბმა.
აი, ეს როგორ მოხდა. შვებით
ოცდაცხრა ღამე
გავლილ, ოცდამეათე დღეც
დადგა ნეტარი.
როცა შელამდა, ის მხევლები
მოგროვდნენ ისევ;
ვაშლი ხელთ ეპყრათ, ბროწეული
უბეში ედოთ.[6]
მოვიდნენ, ტახტი მოიტანეს
და მოლზე დადგეს,
წრე შეკრეს, როგორც წესად ჰქონდათ,
და პირი გახსნეს.
ვაშოჩნდა მთვარეც, მზის მშვენების
მოცილე იგი;
მუშკის მაგვარი ნაწნავები
მკერდზე ეფინა.
მორთული იყო ათასგვარად
და მოკაზნული.
ავიდა ღღესაც თავის ტახტზე,
როგორც ჩვეოდა.
მწყლებმა ღვინო ჩამოასხეს
აოლავნისფერი
და ჩანგის ხმაზე მოქეიფეთ
ჩამოურიგეს,
თაფლისბაგიანთ ბანოვანმა
გასცა ბრძანება:
„ჩვენი სტუმარი ჩქარა აქეთ
მოიყვანეთო!“
მისმა ლამაზმა მხევლებმა მე
მომკიდეს ხელი
და მოწიწებით მიმიყვანეს
ჩემს მასპინძელთან.
    რომ დამინახა ჩემმა მწველმა,
წამოდგა ფეხზე,
მიმიპატიჟა, უფრო ახლოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძომიჯექრო!
მადლობა ვუთხარ, მოვკალათდი
ტახტზე ნებივრად
და ვით მჩვეოდა, საალერსოდ
წავეპოტინე.
გაშალეს სუფრა, როგორც ჰქონდათ
წესი და რიგი,
გამოიტანეს საჭამადი
ნაირ-ნაირი.
ჭამას რომ მორჩნენ, ღვინის ჯამი
ჩამოატარეს.
დაიწყო სმა და დატრიალდა
სუფრაზე ეშხი.
ზღვას დაემსგავსნენ გულუხვობით
ხელები მწდეთა
და სადაფებმა პირით ჰყარეს
მარგალიტები.
    რომ შევზარხოშდით, მოვისურვე
ალერსი ქალის
და ბაწარივით მოვიწიე
ნაწნავი მისი.
ამხსნეს საბელი ეშმაკებმა
შეშლილს ხელახლა
და დასაბმელი გიჟის საქმე
ჩამადენინეს.
ობობად ვიქეც, იმდენი ვწან
ნაწნავთ ბაწრები.
ისე ვეკიდე თოკს, ვისწავლე
მუშაითობა.
ქერს რომ დალანდავს ვირი, ისე
ავტოკდი უცებ,
გადავირეე, ვით შეშლილი
ახალ მთვარეზე.
მპარავი განძს რომ ეპარება
გულის ფანცქალით,
ისე მის წელქვეშ შევაპარე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კანკალით ხელი.
ხალასი ვერცხლის ტანს ვუსვამდი
კარგა ხანს ხელებს,
მე შელეოდა გული, ის კი
ქვასავით იყო.
როცა ამ დღეში მნახა მთვარის
მსგავსმა არსებამ,
თავისი ხელი სიყვარულით
დამადო ხელზე.
ჰურიათ რისხვამ დამიკოცნა
ხელები ნაზად
და მთხოვა, ხელი არ წამელო
საგანძურისკენ.
მითხრა: „დახშულ განძს ნურასოდეს
წაეტანები,
თორემ გრძელ ხელებს ანგარება
ამოკლებს ხოლმე.
ბეჭედი ადევს მადანს, არვის
არ ძალუძს ქვეყნად
ამ ბეჭდის ახსნა, შეუძლებელს
ან ვინ შეიძლებს?!
თუკი მოითმენ, ხელში ხურმას
ჩაიგდებ ბოლოს,
მაგრამ მანამდის, ამას გირჩევ,
ნუ აჩქარდები!
ღვინო სვი ნელა, ხოლო მწვადი
თავისით მოვა;
მთვარეს უყურე და გჯეროდეს
მზის ამოსვლისო!“

მე ვუპასუხე: „„ჰოი, ჩემო
წალკოტის მზეო,
სინათლის წყაროსთვალო, თვალის
ჩემის სინათლევ,
ღაწვების შენის გარიჟრაჟი
ვარდსა ჰგავს ბალის, —
შენ რომ ამოხველ, მე, სანთელი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რატომ არ ვჭრიები?!
ძწყურვალ კაცს შაქრის წყალს
მაჩვენებ,
შე ბედნიერო,
და მეუბნები, წყალს პირი არ
დააკაროო?
ასეთი პირი რომ გვაშუქე
და გადაგვრიე,
ხომ იცი, კაცს რომ ჭკუიდან შლის
ფერიის ნახვა!
ყურზე საყურეს რომ იკიდებ,
გაგიკვირდება,
იმათ შემყურეს გულზე ცეცხლი
რომ მომეკიდოს?
მთვარე დაგვაცხრა ციდან, მასთან
შლუ რას გახდება,[7]
მზე როგორ გინდა შეახვიო
მტვრის ნამცეცებში?!
როგორ გაგიშვა ხელი, როცა
შენ მყავხარ ხელში?
შენ სუფევ ქვეყნად
და არა მაქვს სხვა საწუხარი.
შენ მიწიერი არსება ხარ
და მეც აგრეთვე,
მაგრამ შე კაცის ჯიში მომდგაქ,
შენ კი — ფერიის.
სანამდე უნდა ვიჭამდე მე
კბილებით ტუჩებს;
სანამდე უნდა მიდგებოდეს
მე პირში ნერწყვი?
მიშველე რაბე განსაცდელში
ჩავარდნილს, ეგებ,
ამ ლამ მაინც მიეალწიო
საწადელს ჩემსას!
სულ ყელში მაქვს მობჯენილი,
გავთავდი კაცი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხურვალე კოცნა მსურს მე, ცივი
ოხვრა კი არა.
უშენოდ რას იქმს ბედი ჩემი?!
შენის შეწევნით
თუ ძალუძს ჩემს ბედს მე ბედნიერ
კაცად მაქციოს.
შენ მაშოშმინებ: ნუ იჯავრებ,
მე შენი ვარო,
შენ საქმე ნახე და მე გვერდში
დაგიდგებიო! —
იმაზე მეტი რა მომივა,
რაც მე მჭირს ახლა,
მიშველე ჩქარა, ვილუპები,
მიშველე ჩქარა!
კი, გულწარმტაცო, ქურციკი ხარ
შენ ტანაყრილი,
მაგრამ მე სანამ გინდა კურდღლის
ძალით მაძინო?[8]
განგების მგელმა (მელის მსგავსად
თავს რომ გვაჩვენებს),
ვითუ, ბოლოს, მომატყუოს
მელიასავით?!
თავს დამეცემა მამაცურად
განგება ეტლის
და, როგორც ვეფხვი, ქვეშ მომიგდებს,
რომ გამათავოს.
სურვილი შენი მკლავს, ამას გთხოვ
სულით და გულით,
შენთან ალერსით გამაძღო მე
და მასულდგმულო!
ხოლო თუ იმედს საბოლოოდ
გადამიწურავ,
ისეთ დღეში ვარ, ვერ მივაღწევ
გათენებამდე.
თუ ახირება იყოს ეს, შენც
არ ამიხირდე, —

წესია, სტუმრის ხუშტურს მეფეც
ასრულებს-მეთქი!“
    როცა შემატყო, მოთმინების
გამიწყდა ძაფი,
მითხრა: „გამიშვი ხელი და რაც
გწადია, ვიზამ!
შენს ახირებას აგისრულებ,
თუნდაც რომ მოვკვდე,
შენ ხალოხელი თუ ხარ, მე ვიქმ
ჰაბაშელობას.[9]
გამაპინძლება შენი ჩემთვის
არ იყო ძნელი;
შენსავით ძვირფას სტუმარს რაა,
კარგად რომ დავხვდე!
მაგრამ, რაც მთხოვე და რაც ჩემგან
გწადია გულით,
ასე სასწრაფოდ მას ვერასგზით
ვერ ელირსები.
უშალ გამხმარი ძეძვი ქორფა
შრომშნად იქცევა,
ვინემ ჩემი ზნის ქალი ასე
მოიქცეოდეს.
ტირიფმა იის სურნელება
უნდა გამოსცეს,
მე ამისთანა საქციელი
რომ ჩავიდინო.
მთხოვე, რაც გსურდეს და აგიხდენ
ყველა ოცნებას,
მაგრამ ამ სურვილს კი ვერასგზით
ვერ შეგისრულებ!
ჰა, შენ ლოყები, ჰა, ტუჩები,
ჰა, ძუძუები,
ეფერე ამათ. მარგალიტს კი
არ მიეტანო!
თუ დაჯერდები იმას, დღემდე
რომ ჯერდებოდი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღმერთმა შეგარგოს, წინ რამდენი
ღამე გვაქვს კიდევ!
ოუ თავმა ღვინომ აღგატყინოს
ალერსისათვის,
სავსე მთვარის მსგავსს მწდე ქალწულებს
მოგიწვენ გვერდით,
რათა დაიცხრო მასთან ქვენა
ვნებათა ღელვა,
მე კი კალთაზე ფუჭად ცდილობ,
მეპოტინოო!“

მაცდური იყო მისი ენა,
კარგად ვატყობდი,
ვუსმენდი, მაგრამ გდებით ყური
არ დამიგდია.
ჩემი ვეცადე, მიმეხედა
თავისთვის, მაგრამ
გვიანი იყო, ხანძარს უკვე
ვერ ჩავაქრობდი.
ბედმა შორიდან დამიძახა:
„ჰეი, რეგვენო,
თავს ზემოთ ძალა აღარ არის,
არ იცი შენო?!“
ხეპრე ვიყავი, მეტისმეტი
ვისურვე ბრიყვმა
და რაც ხელთ მქონდა იმ ქალისგან,
ისიც დავკარგე,
შევჩივლე: „ცუდი დღე მადგას მე,
საშველი არ ჩანს,
დაკარგული მაქვს მოსვენება,
თავადაც ხედავ.
ესი ათასი კაცი მოკვდა
ამ ქვეყანაზე,
რომ მიეკვლია სანუკვარი
საგანძურისთვის.
მე კი, რომელსაც ფეხი მიდგას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ საგანძურზე,
როგორ წავიდე ისე, ხელში
რომ არ ვიგდო ის?!
არ შემიძლია, სანამ პირში
სული მიდგას მე,
ნაწნავებს შენსას ხელი ვუშვა
და დაგეთხოვო.
ან აქ, ამ ტახტზე, კელაპტარი
ამინთე ეტლის,
ან როგორც ამ ტახტს, გამიყარე
ლურსმანი ტანში!
ან აქ რომ ნატი აგია, ზედ
ჩამეკარ გულში,
ანდა სხვა ნატზე სისხლი ჩემი
დაანთხევინე![10]
შენა ხარ ჩემი გული, სული,
ცნობა და თვალი,
უშენოდ როგორ შევიძინო
სიმშვიდე სულის?
რასაც მე ვეძებ, ოღონდ ვპოვო
იგი და სულიც
რომ მთხოვონ სულაც, მაინც მუქთი
მომეჩვენება.
საუნჯის მუქთად ხელთ გდებაზე
ვინ იტყვის უარს
ან ამისთანა საწადლისთვის
თავს ვინ დაზოგავს?
შენ გამინათე კანდელივით
ეს ბნელი ღამე!
ჩრაქვივით ვიწვი შენზე დარდით
დამწუხრებული.
შენი ცეცხლია, ჩირაღივით
რომ მაცოცხლებს მე.
ცოცხალს ეს ცეცხლი დამეკვება
და მკვდარს — ეს დალი.
მზემ რომ შესწყვიტოს წვა, დღეს შავი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღე დაადგება, —
ეს მზის ცეცხლია, დღეს სიცოცხლეა
რომ უხანგრძლივებს.
რაც შენთან მინდა, ჟინის მოკვლა
იმას არ ჰქვია.
სიზმარს ვუყვები საკუთარ თავს.
ეს არის და ეს.
დაუძინია ჩემს ტვინს, ამას
არ უნდა დავა,
რალა მძინარე, რალა მკვდარი,
ასე არ არის?
რომ არ ეხილათ თვალთა ჩემთა
ღაწვები შენი,
ასეთ სიზმარსაც ვერასოდეს
ვნახავდი ძილში.
თუ ჩემი მოკვლა ნამდვილად გაქვს
გადაწყვეტილი,
იჩქარე, თორემ ამიდუღდა
კაცს სისხლი-მეთქი!“
ეს ვთქვი თუ არა, მეტის ვნებით
გახელებული
თავზე დავაცხერ ყვავილივით
გაფურჩქვნილ დიაცს.
დავაცხერ და მყის ვსტაცე ხელი
საგანძურის კარს,
რათა გამეპო ლალი ჩემის
აყიყის კვერით.
მაგრამ დიაცმა თანაგრძნობა
არ გამიწია.
„დამეხსენით!“ — მთხოვა, მე კი
არ დავეხსენი.
„ცოტაც მაცალე და გაგემებ
ნექტარს შემდეგო!“
მაგრამ მე მოცდა სად შემეძლო
და არც ვიცადე.
მაშინ იფიცა: „ეს საუნჯე

შენია მხოლოდ.
თავი ქუდში გაქვს, მოითმინე
ბარემ ხვალამდე!
ეს ერთი ღამეც გაათენე
იმედით ხვალის,
ხვალ კი მობრძანდი და საუნჯეს
დაეპატრონე!
ერთ ღამეს როგორ ვერ მოითმენ,
ერთი ღამეა
ბოლოს და ბოლოს, ერთი წელი
ხომ არ არისო!“
მეხვეწებოდა, მე კი ხანჯალს
ვგავდი ალესილს
და მარწუხივით მოვიმწყვდიე
ხელთ მისი წელი.
რამდენად ქალი მეტსა და მეტს
მეხვეწებოდა,
ვემატებოდა მე სიშმაგე
მეტი და მეტი.
ბოლოს და ბოლოს, როს იქამდე
მივაგდე საქმე,
ჰა და ჰა, უნდა დამელეწა
საუნჯის კარი,
შემატყო ქალმა, რომ სიშმაგემ
აიშვა თავი
და შეჩერება ჩემი უფრო
გაძნელდებოდა.
მითხრა: „მაშ კარგი, ერთი წუთით
ლახუჭე თვალი
და დამაცადე, განძის კარი
გაგიღო თვითონ.
როცა გაგიხსნი იმას, რაც შენ
ასე გწადია,
ჩაძიკარ გულში და თვალები
გაახილეო!“
სულმა დამძლია და დავთანხმდი

ასეთ პირობას.
დავხუჭე თვალი საგანძურის
ხარბად შემყურემ.

როცა გავიდა ერთი წუთი,
„გაახილეო!“
მახარა ქალმა და მეც თვალნი
აღვახვენ ჩემნი.

დარწმუნებულმა, რომ ის შუნი
მოვინადირე,
წინ წავიწიე გულში იმის
ჩასაკონებლად.

თქვენს მტერს, რაც ნახა ჩემმა თვალმა:
ტახტის მაგივრად
ვეგდე გოდორში, მე რომ ზევით
აშომიყვანა.

ირგვლივ კი კაცის ჭაჭანება
არ იყო არსად,
თან მახლდა მხოლოდ ცხელი ხვნეშა
და ცივი ოხვრა;
ჩრდილივით ვიყავ იმ ქალისგან
შორს გასროლილი,
სად ვეგდე მე და სად ჭვიოდა
ახლა თურქნაზი!
რომ ვიყავ ასე იმ ვეებ
სვეტზე გაპმული,
უცბად. რალაცამ შეანძრია
გოდორი იგი.
გამოჩნდა ჩემი მეგობარი
და იმ მალალი
ბოძის თავს მოხსნა თოკი, რითაც
გოდორი ება.
მობეზრდა ჩემს ბედს, ჩანდა, ჩემი
გატრიზავება
და ძირს დავეშვი, როგორც იქნა,
დედამიწაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყასაბმა (მაშინ რომ გამექცა
და მიმატოვა)
გულში ჩამიკრა და მეხვეწა:
„მაპატიეო!“
თქვა: „ეს ამბავი ასი წელიც
რომ მეთხრო შენთვის,
სულ ერთი იყო, შენ მაინც არ
დაიჯერებდი.
ახლა კი თვითონ საკუთარი
თვალებით ნახე
ასეთი რამე, რასაც კაცი
არ დაგიჯერებს.
მეც გვარიანად მოვიხარშე
იმ ცოდვის ქვაბში,
აი ამიტომ არის, ძმაო,
შავს რომ ვიცვამო!“
მე ვუპასუხე: „ჭირგავლილო
ჩემსავით კაცო,
შენი ასეთი საქციელი
ძალიან მოვწონს.
მეც, უდრტვინველად გადამტანი
ამ განსაცდელის,
უპრიანია, შავად ვიყო
გამოწყობილი.
წადი და შავი აბრეშუმი
მიშოვნე-მეთქი“.
კუნაპეტივით აბრეშუმის
მომართვა რიდე.
თავზე მოვიგდე მაშინათვე
ის შავი რიდე
და იმავ ღამეს ჩემს შორეულ
გზას გავუდექი.
ჩამოვალწიე გულმოკლულმა
ჩემს ქვეყანაში.
შაქებში ვიყავ ერთიანად
ამოგლესილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე შაოსანთა მიწოდებენ
მას შემდეგ მეფეს
და შავი ლრუბლის მსგავსად მიწყივ
ცრემლს ვლვრი და ვგოდებ.
განა არა მაქვს სატირალი:
როგორ ვიშვებდი
და ვით გავუშვი ასე ხელად
ხელიდან შვება!
    რომ დაასრულა ჩემმა მეფემ
ამ ამბის თხრობა
და გამიმხილა საოცარი
ეს საიდუმლო,
მეც, მონა-ქალი მისი, მისებრ
შავად მოვირთე
და იმ დღეს აქეთ ქვეყნად ასე
დავიარები".

ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ

    იყო ერაყის თემში ერთი
ტურფა ქალაქი,
ჰყავდა ხელმწიფე დუნიაზე
სახელგანთქმული.
მეფე კი არა, მთელი ქვეყნის
მზე იყო იგი
და ჰგავდა ნოვრუზს, ახალი წლის
პირველ დღეს, სახით.
ყოველი ნიჭით და სიკეთით,
იყო შემკული,
რაც კი ეგების და იქების
რითაც ხელმწიფე.
    მაგრამ ერთი რამ ჭირი ჭირდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ მორჭმულ მეფეს
და სოფლის შვება არ შეეშვა
ამიტომ გულში:
ამოეკითხათ მისთვის ბედის
წიგნში სწავლულებს:
დედაკაცისგან განსაცდელი
შეგემთხვევაო!
ცოლს არ ირთავდა მკითხაობით
დამფრთხალი მეფე,
შიშობდა, ქალმა განსაცდელში
არ ჩამაგდოსო!
ცხოვრობდა ასე მარტოსული,
ამოკვეთილი
ჰქონდა გულიდან დედაკაცის
სახსენებელი.
მაგრამ კაცი ხომ კაცი არის, —
ქალი სჭირდება
და გადაწყვიტა, ხარჭად მაინც
ეშოვნა ვინმე.
იყიდა ერთი მომხიბლავი
და თვინიერი
დიაცი, მაგრამ ქცევა მისი
არ მოეწონა.
გაყიდა ის და სხვა იყიდა,
მაგრამ ის ქალიც
არ ექნა ღმერთს და მოიშორა
ისიც თავიდან.
კვლავ სხვა იყიდა, იმ საწყალს არც
მან გაუმართლა, —
თავს გადიოდა ყველა; ტახტს და
განძს მოითხოვდა.
შინ იმ კაცს ერთი კუზიანი
ბებერი ჰყავდა,
ერთი მაცდური და თაღლითი
დიაცი ვინმე.
მეფე რომ ხარჭას იყიდიდა,

ეს დედაბერი
შეუჩნდებოდა იმ ქალს და ტვინს
გადუბრუნებდა.
მზაკვრულად ფოლორცს დაუწყებდა:
„შენ დედოფლობა
გეკუთვნის, ისე ლამაზი და
ჭკვიანი ხარო!“
იმ ბრიყვ ხარჭასაც დიდი ვინმე
ეგონა თავი,
დედოფალივით იჯდა შინ და
ხელს არ ანძრევდა.
ო, რამდენია ქვეყანაზე
ენაჭარტალა,
რომელიც მონას, დიდებული
ხარო, აქებებს!
ქვასატყორცნია მორთული და
შემკული იგი,
უბრი ქალის მოლორებით
სახლ-კარს რომ გვინგრევს.
ასეთ ხარჭათა გადამკიდემ
რა არ ილონა,
მაგრამ ვერა და ვერ მოაგო
ჭკუას ისინი.
რა სასოებით არ უკერა
მათ ტრფობის კაბა,
მაგრამ ვერც ერთმა ვერ შეიშნო
პატივისცემა.
ბოლოს და ბოლოს, ალარ შერჩა
არც ერთი ხარჭა
და ქალთა მყიდველ-გამყიდველი
შეარქვა ხალხმა,
ყველა შორიდან აფასებდა
მეფის საქციელს,
ხოლო მიზეზი თუ რა იყო,
ვრვინ იცოდა.
იყო ამ დღეში, სულ შესაფერს

ეძებდა ხარჯას,
მაგრამ სასურველს ვერა და ვერ
მიაგნო მაინც.
განგება მას არც ცოლის შერთვის
ნებას აძლევდა
და არც ვარგისი მხევლის ყიდვის
იღბალი ჰქონდა.
შინ შემოყვანა არ უნდოდა
მრუში დიაცის;
ეძებდა ვინმე პატიოსანს
და ნამუსდაცულს.
ბოლოს კი, ერთხელ, ერთმა ვინმე
ტყვეთ გამყიდველმა
ტყვეთა მყიდველ შაჰს ამისთანა
ამბავი ამცნო:
„ერთი ვაჭარი ჩამოვიდა
ჩინეთის ქვეყნით,
თან ათასამდე ქალიშვილი
ჩამოიყვანა.
მათ კაცის თითიც ჯერ არასდროს
დაჰკარებია.
ხალოხელია ზოგი, ხოლო
ზოგი — ჩინელი.
ისე ლამაზნი არიან, რომ
ვნელს ანათებენ,
გული ბაგაბუგს დაგიწყებს კაცს,
მათ რომ შეხედავ.
ნამეტურ ერთი ტყვე ქალი ჰყავს
გამორჩეული.
ცისკრის ვარსკვლავი გეგონება,
ისე კიაფობს.
გახერეტილი აქვს ყური, თვითონ
კი უბიწოა.
კაცის სულს ითხოვს საფასურად
მისი პატრონი.
მარჯნის ტუჩებში მარგალიტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქვს დამალული,
მწარე აქვს ენა, ღიმილი კი —
თაფლივით ტკბილი.
რომ ილიმება, იმდენ შაქარს
ჰყრის ბაგეთაგან,
რომ მიწა შემდეგ სამ წელიწადს
იმის წვენს წუწნის.
ყანდი გამოაქვს მას სუფრაზე
თავის სტუმრისთვის,
მაგრამ სტუმარი ნაღველსა ჭამს
მისი შემყურე.
რა არ მინახავს ქვეყანაზე,
მაგრამ ასეთი
ლოყის, ხალის და ზილფის მხილველს
არ შევხვედრივარ.
ერთს რომ შეხედავ შენის თვალით,
ჩემი არ იყოს,
ჭკუას დაჰკარგავ იმ ქალწულის
სილამაზითო!“

ბრძანა ხელმწიფემ, მოეყვანათ
სასწრაფოდ მასთან
ის ქალიშვილი, ვაჭრის მიერ
ეგზომ ნაქები.
ვაჭარი მყისვე გაემართა
მონათვაჭართან,
მოჰგვარა იგი და მოასხა
ის ტყვე ქალებიც.
ყველა მათგანი, მართლაც, კალმით
იყო ნახატი,
მაგრამ იმ ერთს კი ვერავინ ვერ
შეედრებოდა.
შორიდან მისი სილამაზე
რომ ალუწერეს,
იმაზე უფრო მომხიბლავი
ეჩვენა ბევრად.
იმ მონათვაჭარს ჰკითხა მეფემ:

„მითხარი ერთი,
რა ხასიათის და ზნის არის
ეს ქალიშვილი?
თუ გადავწყვიტე მისი ყიდვა,
ახლავე გეტყვი,
რასაც აფასებ, იმაზე მეტს
მოგცემ ბევრადო!“
მონათვაჭარმა უპასუხა
ამაზე მეფეს:
„ამ ქალს, მეფეო, რომ ჩამოდის,
ტუჩებზე თაფლი,
რაც გულის წარმტაც და ლამაზ ქალს
ხიბლი აქვს, ასჯერ
უფრო მეტი აქვს, თორემ ამას
თავადაც ჰხედავ.
შემკული არის ყოვლად, მაგრამ
ეს ერთი ზნე სჭირს:
ვისაც ის უყვარს, მას ვერაფრით
ვერ ჰგუობს თავად.
გავყიდი ამ ქალს, სიხარულით
მიჰყავთ შინ, მაგრამ
ძარღვებაშლილნი დილით ისევ
უკან მომგვრიან.
პატრონი თურმე ფუჭად ცდილობს
მასთან დაწოლას,
არავითარი ცდა არ უჭრის
და მოხერხება.
და თუ იძალა საცოდავმა
მყიდველმა მისმა,
სიკვდილს ანატრებს, მალე ისეთ
დღემდე მიიყვანს.
ჭირვეული აქვს ხასიათი
ამ ქალს, ბატონო,
შენც ჭირვეული ხარ საკმაოდ,
როგორც მსმენია.
ის ჭირვეული იქით, აქეთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ ჭირვეული,
ერთმანეთს როგორ შეეწყობით,
არ ვიცი სწორედ.
იყიდი ამ ქალს ჩემგან დიდი
სიხარულით შენც,
მაგრამ, ხომ ვიცი, ისევ უკან
რომ დამიბრუნებ.
უკეთესია, მის ყიდვაზე
აიღო ხელი
და შეარჩიო სხვებში უფრო
შესაფერისი.
დაადე ხელი ქალს, რომელიც
მოგეწონება
და მას ამ წუთში სახლში მუქთად
მოგართმევ მე!“.
მეფემ გასინჯა სათითაოდ
ყველა ფერია,
მაგრამ ვერც ერთმა გულში ძარღვი
ვერ შეუტოკა.
ისევ და ისევ ის პირველი
მოსწონდა ქალი
და საჩეცელზე წოლა მხოლოდ
მასთან ეწადა.
ოღონდ ეს იყო, არ იცოდა,
რა ემოქმედა,
ვით ეთამაშა ნარდი ნარდის
უცოდინართან.
აქეთ თუ თვალი ვერ ძღებოდა
იმ ქალის ცქერით,
იქით იმ ქალის უცნაური
ზნე აფიქრებდა.
ბოლოს და ბოლოს, ქალის ეშხმა
სძლია და თვალში
მტვერი აყარა მეფის ამდენ
თავშეკავებას.
ჯერცხლი უყარა ფეხთან ვერცხლის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფეხებზე შემდგარს
და შეისყიდა მეფემ ვერცხლით
ვერცხლის გუმბათი.
ფერის სახის მქონე ქალი
სრასასახლეში
შეუდგა მხევლის და მოახლის
მოვალეობას.
და იყო იქ, ვით ბუტკო კანში
გამომწყვდეული,
გარედან უკმეხს ჰგავდა, გული კი
სათნო ჰქონდა.
არ უწვებოდა შაჰს ლოგინში,
ეს იყო მხოლოდ,
თორემ დანარჩენ საქმეს იგი
არ თაკილობდა.
გამოდიოდა ყველაფერი მხევალს ხელიდან,
მის ზურგზე იყო ის იმხელა
სამეფო სახლი.
თუმცა ხელმწიფემ ალაზევა
საროს ზროსავით,
ქალი ჩრდილივით უწვებოდა
პ ტრონს ფეხებთან.
ამ დროს გამოჩნდა სასახლეში
ის დედაბერიც —
ხარჭისთვის ჰსურდა აექცია
როგორმე მხარი.
მაგრამ უყვირა იმ კუდიანს
ერთგულმა ქალმა:
„მე მოახლე ვარ მხოლოდ, მეტი
არაფერი!“
მიუხვდა მეფე, თუ რა იყო
იმის მიზეზი,
მისი ხარჭები კუდს ყავარზე
რომ დებდნენ დღემდე.
ის დედაბერი სულ კინწისკვრით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გააგდო გარეთ
(ავი მიეზღო მაცდურს ავი
სამსახურისთვის).
ისე აღზევდა კაცის გულში
ქალის ტრფიალი,
რომ თავის მხევლის მონად იქცა
ქვეყნის ხელმწიფე.
ეგონა, ქალი ხიმანდროობდა
რალაცას მასთან,
მაგრამ ითმენდა და ჟამამდე
თავს იკავებდა.
ბოლოს კი ერთხელ, ღამით, მეფეს
და იმის მხევალს
ერთად მოეგზოთ გულს სურვილი
ერთიმეორის.
იმ ღამეს ხარჭას, წესისამებრ,
მისი პატრონის
ფეხის გულები ჰქონდა გულში
ჩახუტებული.
ქალს თავზე თავის შეკავების
დაექცა ცეხე,
ისე უშენდა მეფე თავის
ვნების ლოდსატყორცნს.
როცა ხელმწიფე გაახურა
ამდენმა ცეცხლმა,
ასე მიმართა იმ ქორფა ვარდს,
ვარდის წყლის მფრქვეველს:
„ეჰა, შენ, ჩემო ინდისხურმავ,
მწიფევ და ტკბილო,
ეჰა, სიცოცხლევ, ორთავ თვალის
სინათლევ ჩემო!
საროს შენს ტანთან შედარებით
ბალახს ვამსგავსებ,
წყალს ვერ დაგისხამს ხელზე
ასე ნაქები მთვარე.
ერთი შეკითხვა მაქვს მე შენთან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძნელად სათქმელი
და ძალიან გთხოვ, სიცოცხლეო,
სიმართლე მითხრა.
შენი პასუხი მოგონილი
თუ არ იქნება,
შენი ტანივით გამართული
მექნება საქმე".
თქვა ეს თუ არა, მეფემ თავის
ხარჭის ქორფა ვარდს
ამოდ სასმენი სიტყვით შაქრის
დაუწყო ფრქვევა:
„ერთხელ ბილყისი, ქალი ცისკრის
ვარსკვლავის მსგავსი,
ქმართან, სოლომონ ბრძენთან, იჯდა
სამეფო ტახტზე.
წინასწარმეტყველს ერთი შვილი
ჰყავდა და ისიც
სნეული იყო, წართმეული
ჰქონდა ხელ-ფეხი.
ასე მიმართა ბილყისმა ქმარს:
„ფეიდამბარო,
მე და შენ ხომ ღვთით არ ვუჩივით
ავადმყოფობას.
რა მოუვიდა ჩვენს შვილს, ბავშვი
რად გვეტანჯება,
ხელებს და ფეხებს რომ ვერ ანძრევს
თავის ნებაზე?!
გაგება უნდა, რა მოგვირჩენს
ბავშვს ამ სენისგან,
იქნება იყოს ქვეყნად რამე
წამალი მისი.
როცა უფლისგან მოციქული
გამოგეცხადოს,
უამბე ჩვენი გაჭირვება
მას დაწვრილებით.
შენგან რომ წავა, იქნებ, რამე

ლონე იძიოს
და მიაკვლიოს საშველს ჩვენი
დამძიმებისო“.
სოლომონ ბრძენი გაახარა
მეუღლის რჩევამ
და ღვთის მოციქულს სასოებით
ლოდინი უწყო.
ბოლოს, როდესაც გაბრიელი
გამოეცხადა,
შესჩივლა თვისი გაჭირვება
მოციქულს ღვთისას.
ისიც გაფრინდა და როდესაც
მობრუნდა, ამცნო:
კურთხევა, ვისგან? მისგან ცა და
მიწა ვინც შექმნა.
ახარა: „ორი რამ ყოფილა
წამალი ბავშვის,
ორივე ერთად არის ერთი
საშუალება.
ასეთი არის ეს წამალი:
შენ და მეუღლემ
შენმა ერთმანეთს ხამს სიმართლე
არ დაუმალოთ.
იცოდეთ, თქვენი ერთმანეთთან
გულახდილობა
სენის მომრჩენი ერთადერთი
წამალიაო!“
სასწრაფოდ იხმო სოლომონმა
ცოლი და ამცნო
ღვთაების რჩევა, მოციქულის
პირით ნათქვამი.
სიხარულისგან ცას ეწია
საბრალო დედა:
ავშენდი, ღმერთო, გადამირჩა
ტანჯვას შვილიო!
ქმარს მიუბრუნდა: „გულახდილად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა უნდა გითხრა,
თქვი და რაც გულში მაქვს, არაფერს
დაგიმალავო!“
მაშინ სოლომონ ბრძენმა თავის
მეუღლეს ჰკითხა:
„ეჰე, მშვენება ვისიც თვალის
ჩემის შვებაა!
ამ ქვეყანაზე გაგივლია
ოდესმე გულში,
ჩემ გარდა ვინმე მამაკაცთან
წოლილიყავო!“
მიუგო ცოლმა: „ღმერთმა ავი
გაშოროს მუდამ!
შენ ჩემთვის მზეზე უფრო ნათობ,
სიცოცხლევ ჩემო.
ხარ ვნებით სავსე, ვერ მოგტაცებს
თვალს კაცის შვილი,
მთელს ქვეყანაზე სუყველა შენ
გაქებს და გმონებს;
ბუნება სათნო გაქვს, ალერსი
საამო იცი,
ლხინი სამოთხეს გიგავს, თავად
ანგელოზს ჰგავხარ;
მორჭმით განაგებ ქვეყანაზე
ცხადს თუ დაფარულს,
მუცლით ნაშობი ჯერ ბადალი
არვინ გყოლია.
და მაინც შენი სილამაზის
და სიჭაბუკის,
შენი მეფობის და დიდების
მიუხედავად,
ვინმე ლამაზ და ეშხიან ყრმას
რომ დავინახავ,
ვერ დავიფიცავ, მასთან წოლა
არ მინდა-მეთქი!“
ესმა თუ არა გულახდილი

ეს ალსარება,
ბავშვმა დედისკენ გაიწოდა
ორივე ხელი
და დაიყვირა: „გამიმრთელდა
ხელები, დედი,
ალარ მჭირდება სხვისი ხელის
მოშველებაო!“
როცა ფერიის მსგავსმა ქალმა
თავის ანგელოზს
გამრთელებული დაუნახა
ორივე ხელი,
მეუღლეს უთხრა: „ფერიათ და
გრძნეულთ უფალო,
სიქველის მსგავსად სასურველო,
სიბრძნისებრ ქველო,
ბავშვის საშველი შენც თქვი ახლა
შენი სათქმელი.
ხელი ავუბი მე, შენ, იქნებ,
ფეხი აუდგა!
ერთ კითხვას მოგცემ, თუ ეს კითხვა
არ დაგალონებს:
შენ, ვისაც განძით დაძეძგილი
გაქვს სრასასახლე,
ათასში ერთხელ მაინც ნეტავ
გულს თუ შეგირხევს
სხვისი ქონება და თუ გრჩება
მასზე თვალი?“
ასე მიუგო სოლომონმა,
უფლის მოშიშმა:
„განძი იმდენი მაქვს, კაციშვილს
რომ არ ჰქონია;
ვრცელი სამეფო, ზღვა ქონება,
დიდი საუნჯე
მაქვს და განვაგებ ყოველს ციდან
მიწის გულამდე,
მაგრამ ასეთი ზღვა სიმდიდრის

მიუხედავად,
ვინმე რომ ტახტზე მჯდარს მორჩილად
მომეახლება,
ქურდულად მისი ხელებისკენ
გამირბის თვალი,
რა მოსაკითხი მომიტანა
ნეტავი-მეთქი?!“
რა მოისმინა დავრდომილმა
ყრმამ ეს ამბავი,
გაშალა ფეხი და წამოხტა
ზეზე თავისით.
უყვირა მამას: „მამაჩემო,
ხედავ ,რა მოხდა? —
შენმა სიმართლის თქმამ მე ფეხზე
დამაყენაო!“
რადგან სიმართლის თქმამ ღვთაების
საჯო კართან
ხელი და ფეხი დაუბრუნა
ხელფეხწართმეულს,
ხამს, — უთხრა მეფემ ხარჯას, — ვსდიოთ
ჩვენც გზას სამართლის,
თუ გვსურს საწადლის
მოვახვედროთ ისარი საგანს.
მაშ, გამიმხილე, ერთადერთო,
სატრფოვ გულისა,
რამ გაგიცივა ასე გული
სასიყვარულოდ?
მე რა დღეში ვარ, შენ არ იცი,
გულ-ღვიძლი მეწვის,
შენთვის შორიდან ყურებამ სულ
მომილო ბოლო.
შესახედავად ლამაზი და
ბუნებით სათნო
უხასიათო ამისთანა,
რის გამო ხარო?“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოპწია საროომ, წყაროს პირზე
ტანის მრწეველმან
სიმართლე ეთქვა, გადაწყვიტა,
ხელმწიფისათვის.
და უპასუხა თავის პატრონს:
„ჩვენს უბრალო გვარს
ერთი სიავე აედევნა
დასაბამიდგან:
ჩვენი ქალები მამაკაცთან
რომ იცხოვრებენ,
ბავშვს კი აჩენენ, მაგრამ თავად
მუცელს ჰყვებიან.
როდესაც იცის, უეჭველი
სიკვდილი ელის,
ისეთ საქმეში ფეხი კაცმა
რად უნდა ჩადგას?!
თავის გაწირვა არ ღირს ერთი
ალერსის ფასად,
თაფლში თუ შხამი გეგულება,
არ უნდა ჭამო!
რასაც შენ მიქებ, სული მასზე
უფრო ტკბილია,
როგორ გავწირო სული ერთი
ალერსისათვის?!
სულს უფრო ვყვარობ, ვიდრე მას, ვინც
„სულო“ მეტყვის.
აჰა, ავხადე საბურველი
ჩემს საიდუმლოს!
აწ, როცა ჩემი გულცივობის
მიზეზი იცი,
გინდა, დამტოვე შენთან ხარჭად,
გინდა, გამყიდე!
არ დაგიმალე ხვაშიადი,
მეფეო, გულის
და მოგიყევი გულახდილად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი სათქმელი.
ახლა იმედი მაქვს, ხელმწიფე
ზღვის და ხმელეთის
თავადაც თავის საიდუმლოს
არ დამიმალავს
და მეტყვის მართალს: რატომ არის
მზისლაწვებიან
ქალთ რომ ვერ ჰგუობს და იშორებს
თავიდან მალე?
რატომ ვერავინ შეიყვარა
ამდენ მხევალში,
ერთ თვეზე მეტ ხანს რატომ არის,
რომ ვერვის უძლებს?
ქალს, ვისაც მეფე წინ უნთია
კანდელის მსგავსად,
თავს აჭრის, სანთელს მაკრატლით **რომ**
თავს ვაჭრით, ისე.
ჯერე პატივით და დიდებით
ალიყვანს ცამდე,
მერე კი მიწას დაანარცხებს
უპატიოდო".
ამაზე მეფემ უპასუხა:
„ეს მიტომ ხდება,
რომ მათგან არც ერთს მე არასდროს
არ ვყვარებივარ.
საკუთარ თავზე ზრუნვა ჰქონდათ
მათ ფიქრის საგნად,
თავს სათნო ქალად მაჩვენებდნენ,
ავნი კი იყვნენ.
ჩემს სასახლეში შვებას გემო
რომ გაუსინჯეს,
ოჯახის საქმეს და სამსახურს
ააღეს ხელი.
თავისი ტანის შესაფერის
ნაბიჯს დგამს ყველა,

ყველა მუცელი ყოველგვარ პურს
ვერ მოინელებს.
მაგარი უნდა ჰქონდეს ხომ კაცს
მუცლის დოლაბი,
მისი წისქვილი ჭამისგან რომ
არ დაზიანდეს.
დიაცი, როცა გულგადახსნილ
კაცს დაინახავს,
ცერად შეხედავს მას, თავად კი
თავს დაიფასებს.
ქალს ნუ ენდობი ნურასოდეს,
ქალი ჩალაა,
ქარი საითაც დაუბერავს,
იქით გაჰყვება.
ოქროს მოყვარეს, აფთიაქის
სასწორის მსგავსად,
ოქროს ნამცეციც გადასწონის
გულნამცეცისკენ.
ვიშ ბროწეული! როცა იგი
მოწეულია,
სავსეა ლალით, ხოლო კუხე —
მარგალიტებით.
ქალი კი ყურძენს ჰგავს; კუხე რომ
არ შეიჭმევა,
ხოლო როდესაც დამწიფდება,
პირშავი ხდება.
ყველა დიაცი კვახს მაგონებს:
სანამ კუხეა,
მანამდის არის კარგი, მწიფე
კი არ იჭმევა.
ქალის სიწმინდე მამაკაცის
ლირსება არის,
როცა უნათებს მთვარე, ღამეც
მშვენიერია.
ჩემი მხევლები საკუთარ თავს
იმკობდნენ მხოლოდ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და არასოდეს არ მინახავს
სიკეთე მათგან.
მხოლოდ შენა ხარ ერთადერთი
მხევალი ჩემი,
სახლში პირნათლად რომ ასრულებ
მოვალეობას.
და თუმცა გულის წადილს არა
და არ მისრულებ,
მაინც მიყვარხარ და ყოველთვის
მეყვარებიო!"
მეფემ ასეთი საკვირველი
სიტყვები უთხრა
იმ ხარჭას, მაგრამ მიზანს მაინც
ვერ მიაღწია.
ქალი კვლავ და კვლავ თავის მიზეზს
იმიზეზებდა,
მეფის ისარი ვერა და ვერ
ხვდებოდა საგანს.
რა უნდა ექნა, სიმძიმილის
მძიმე უღელი
დაიდგა ქედზე და შეუდგა
სალი კლდის მტვრევას.
წყაროსთან იდგა და ითმენდა
ამდენ ხანს წყურვილს,
თვითონ იცდიდა, საწუთრო კი
გარბოდა მისი.
იმ კუდიანმა დედაბერმა
(ხელმწიფის ხარჭამ
რომ მოიშორა და გააგდო
სრასასახლიდან)
გაიგო, მეფე უიმქალოდ
რა ცეცხლს ითმენდა,
როგორ ეწადა გამწარებულს
ხარჭასთან წოლა;
რა დღეში ჰყავდა ახალ მხევალს

ამხელა მეფე,
როგორ დაედნო ეს დევივით
კაცი დედაკაცს!
თქვა: „დამდგომია დრო, მზაკვრობით
და მოხერხებით,
გრძნეულთა ტაშზე რომ ვაცეკვო
ბრიყვი ფერია!
მზეს დავულეწო ახლა უნდა
აკვნის ფიცარი
და ძირს დავამხო ცაზე მთვარის
ციხესიმაგრე.
ვინძლო ისარმა ქალწულთ მიერ
გამოსროლილმა
ბებერთ ზურგის მშვილდს ვერაფერი
ვერ დააკლოსო!“
რალაც ხრიკებით შეალწია
სრასასახლეში,
მეფე ხალვათად მოიხელთა
და ეთათბირა.
ოლონდ მიეზღო იმ ქალისთვის
სამაგიერო, —
ხელმწიფეს რალაც ჯადო უქნა
და დააჯერა.
ასე ურჩია: „თუ გსურს, მეფევ,
ამ გაუხედნავ
ფაშატს მოაჯდე შენს გემოზე
და დაიოკო,
ერთ გახედნილ კვიცს ერთი-ორჯერ
ამ ხარჭის თვალწინ
დაადგი შენი უნაგირი
და გააჭენე!
ცხენის მხედნავნი, როცა უნდათ
გაუხედნავი
კვიცი გახედნონ, ამნაირად
იქცევიანო“.
ეკეთა მეფეს კუზიანი

ქალის თათბირი,
ასეთ ყალიბზე მოჭრილ აგურს
ეძებდა სწორედ.
იყიდა ერთი ქორფა,
ნამუსახდილი ქალი,
მამაკაცებთან დაწოლაზე
გაწუწკებული;
ვინც თავის დროზე გაეხედნა
გამხედნავს ისე,
რომ მცირე ჯაფაც ამ საქმეში
არ დადგომია;
ვინც კაცის ყინის მოსაკლავად
ღმერთს გაეჩინა,
თითო თამაშზე ვინც ას ყირას
გადადიოდა.
იმ ხარჭის თვალწინ იკლავდა ყინს
მეფე ამ ქალთან,
ხოლო თვით ხარჭას მოწიწებით
ეკიდებოდა.
მეფე ჯერ ხარჭის ხელში საგდებს
ისვრიდა ბადეს,
შემდეგ კი ვნებას იმ თვინიერ
ქალთან იცხრობდა;
იმას შორიდან უყვავებდა,
ამასთან იწვა,
ჯიგარს ხეთქავდა იქ, ხოლო აქ
მარგალიტს ხვრეტდა.
ხარჭა მხევალთან მეფის წოლამ
ისე ატეხა,
მასაც მოუნდა მარგალიტის
თვისის გახვრეტა.
მეფის საყვარლის მიმართ თუმცა
ალეძრა შური,
კაცთან ეწადა წოლა და თავს
ძლივს იკავებდა.
მაინც ხარჭისთვის დაწესებულს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ აღლვევდა წესს
და მეფეს ისე მსახურებდა,
როგორც მხევალი.
მიუხვდა ბოლოს, რომ აქ ხერხი
ჰქონდათ ნახმარი
და იმ დედაბრის თონე იყო
წარღვნის სათავე.[11]
იყო თავისთვის და ითმენდა
ასეთ წამებას.
მაგრამ მოთმენა სიყვარულში
სად გაგონილა!
ბოლოს კი ერთხელ, ღამით, ხარჭამ
მშვენებით სავსემ
იხელთა დრო და ხელმწიფესთან
გაიხალვათა.
უთხრა: „ჰე, მეფევ, ანგელოზის
ბუნების მქონევ,
ქვეყნის მმართველო სამართლით და
სარწმუნოებით.
თუ მართლის მთქმელის სახელი გაქვს
და მართლის მქნელის,
ჩემთანაც გმართებს, ეს სიმართლე
გამოამჟღავნო.
დღეს რომ დღე ჰქვია, განა მუდამ
ერთნაირია,
მისი საწყისი ცისკარია,
ბოლო კი — მწუხრი
(დაე, ნურასდროს ნუ დადგება
შენი დღის მწუხრი
და ყოველ ღამეს დე, სიამე
მოჰქონდეს შენთვის).
თავში რომ შვება მომიტანე
შენ ცისკარივით,
ახლა მწუხრივით, რატომ არის,
ძმარი რომ მასვი?
არ გიწვნევივარ ჯერ, მაშ რატომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგყირჭდი უკვე,
რატომ ჩამაგდე პირაშკმული
ლომის ხახაში?
გამოიყვანე და რომ ტანჯვით
მომილო ბოლო,
ჩემს საჩვენებლად საზარელი
გყავს გველეშაპი.
რალა უნასით მომისწრაფო
გინდა სიცოცხლე,
თუ სიკვდილია, თავი თვითონ
მომკვეთო, არ სჯობს?!
ვინ დაგაყენა ასეთ გზაზე,
ნეტა ვიცოდე,
ან ვინ გირჩია, ასეთი რამ
ჩაიდინეო?
გამაგებინე, გეაჯები,
თუ გინდა დავრჩე,
თორემ საფრენად ფრთები უკვე
გამართული მაქვს.
მიფიცავს ღმერთი და სიცოცხლეს
ვიფიცავ შენსას,
თუ ფარდას ახდი ბნელით მოცულ
შენს საიდუმლოს,
მაშინ მეც ავხსნი ჩემი განძის
კარის საკეტურს
და რაც შენ ასე გინდა, იმას
შეგისრულებო!“
მეფემ, თავისი ტურფა ხარჭის
საბრალო მონამ,
როცა ირწმუნა, მტკიცე იყო
დიაცის ფიცი,
არ დაუმალა არაფერი
საყვარელს გულის
და უამბო ქალს, რაც ითქმოდა
და არ ითქმოდა:
„შენმა ტრფიალმა, შენმა მზერამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და შენმა ნდომამ
ცეცხლი მომინთო და დამბუგა
შეუბრალებლად.
გულში ნაღველი გამიქვავდა
ამდენი თმენით,
მეტი ღონე და არაქათი
აღარ შემომრჩა.
ბოლოს კი ისევ იმ ბებერმა
ქალმა მიშველა,
გამომიყვანა უსაშველო
გასაჭირიდან.
ერთი ისეთი დამინიშნა
განგებ წამალი,
მისი დალევა არ დამჭირდა,
ისე განმკურნა.
ცეცხლი დავაგზეთ გულის შენის
გასახურებლად,
ქვა ჩავიდევით გულში შენი
დარბილებისთვის.
ცეცხლის გარეშე წყალი, იცი,
არ ადუღდება,
ცეცხლს უნდა მისცე რკინა, თუ გსურს,
დაარბილოო".
ეს რომ ისმინა, მისი გულის
წამლებმა თურქმა,
მიუშვა მეფე შროშანივით
ფშვიად საროსთან,
დააჯდა ბუტკოს მისი ეშხით
ხელი ბულბული,
ბუტკო გაიხსნა და დაათრო
მიჯნური მისი.

მწვანე სასახლე

ცხოვრობდა რუმში ერთ დროს
ერთი
ყმაწვილი კაცი,
ისეთი ტკბილი, ვით ფიჭაში
ჩამდგარი თაფლი.
რაც კი ადამის ძის სიკეთე
თქმულა ამქვეყნად,
ამკობდა ამ ყრმას,
დარბაისელს და გამორჩეულს.
გონებით ბრძენს და სილამაზით
სახელგავარდნილს
გულზე სულ მუდამ სათნოება
ეჭიდებოდა.
სახელი მისი მოწიწებით
ისმოდა ხალხში, —
თუმც ბიშრი ერქვა, უმანკო ბიშრს
უხმობდა ყველა.
ერთ მშვენიერ დღეს ეს სათნო და
ლირსეული ყმა
თავისთვის გზაზე მიდიოდა
მშვიდად და წყნარად.
ანაზდად გზაზე სიყვარული
გამოუხტა ვაჟს,
თავზარი დასცა და ცახცახი
დააწყებინა, —
ქალს გადააწყდა გზაში ჩადრით
სახედაფარულს,
შავი ლრუბლიდან გამომზირალ
ქათქათა მთვარეს.
ქალს ბიშრის ფიქრი არც ჰქონია,
როცა უეცრად
დაბერა ქარმა და სახიდან
ჩადრი ახადა.
გულში გრიგალის გავლის მაცნე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოდგა ქარი,
როდესაც მთვარე გამოვარდა
შავი ღრუბლიდან,
მუხლი მოეჭრა ბიშრს, იმ ქალს რომ
დაადგა თვალი,
ბოძალმა, სადაც იდგა ვაჟი,
იქ დაალურსმნა.
დიაცი იყო, მთვრალი თვალით
რომ მოგხედავდა,
რჯულს შეგიცვლიდა კაცს და თავბედს
გაწყევლინებდა.
ხომ ვარდის კონა იყო, ტანად
საროზე იდგა.
პირი ებანა, მაგრამ იცით,
რით? ხოხბის სისხლით!
მძინარესავით მიბნედილ მის
დაბინდულ თვალებს,
ვინც თვალი მოჰკრა ახლომახლო,
ძილი გაუკრთა.
ტუჩები ვარდის პირს უგავდა
მაგრამ ეს იყო
საკვირველება, — ვარდის პირი
თაფლს აწვეთებდა.
მძინარე ნარგიზს მიუგავდა
თითქოს თვალები,
მაგრამ შიგ შფოთი და ამბოხი
თვლემდა ფარულად.
სახე, რხეული ზილფ-კავებით
შემოხვეული,
არწივის ფრთებში გამომწყვდეულ
ყანჩას უგავდა.
მისი ხალები ზილფებზე მეტს
აფრქვევდნენ ამბარს
და ხალზე უფრო რჯულზე თვალებს
აელოთ ხელი.
მისი ზილფების და ხალების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემყურე კაცი,
გული არ მაქვსო დახალული,
ვერ იცრუებდა.
ასეთი მორთო საცოდავმა
ბიშრმა ყვირილი,
ეგონებოდა კაცს, უკბინა
ბავშვს კრაზანამო.
ვაჟის ასეთი ყვირილის ხმა
რომ შემოესმა,
ქალმა მაშინვე პირზე ჩადრი
ჩამოიფარა.
ფეხს აუჩქარა და წავიდა
შინ წელის რწევით
ზურგზე საბრალო ბიშრის
ცოდვამოკიდებული.
რომ გაახილა ვაჟმა თვალი
და გონს მოეგო,
აღარსად ჩანდა გულის მისის
წესის ამგები.
„ულამაზოა, — თქვა გულში, — ქალს
რომ გავეკიდო,
მაგრამ უმისოდ გაძლებაც რომ
არ ძალმიძს, რა ვქნა!
მეტი რა გზა მაქვს, დავატანო
თავს უნდა ძალა
და მოვითმინო უნდა, თავი
რომ არ მომეჭრას.
თუმცა ნება და მოთმინება
წამართვა ვნებამ,
უნდა გავუძლო დარდს, კაცი ვარ,
ბოლოს და ბოლოს!
ვნების დათრგუნვა არის ფუძე
სარწმუნოების,
ის არის თავის შეკავების
თავი და თავი.
მიჯობს, ავიკრა იმ ქუჩიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გუდა-ნაბადი
და სალოცავად გაემგზავრო
იერუსალიმს,
ვინძლო უფალმა, ვინც განაგებს
მადლსა და ცოდვას,
შემიმსუბუქოს ეს ტანჯვა და
განსაცდელიო!“
შეჰკრა, სამგზავროდ რაც სჭიროდა
ბარგი-ბარხანა
და გაემგზავრა ლოცვად წმინდა
ქალაქისაკენ.
იქ მუხლმოყრილი წარსდგა კრძალვით
უფლის წინაშე
და შეავედრა თავი თვისი
ქვეყნის შემოქმედს.
ოხოვა, დაეცა მონა თვისი
მაცდურისაგან
და სული მისი განსაცდელით
არ წარეწყმიდა.
დიდხანს ეყუდა უფლის სახლში
ძირს დამხობილი,
შემდეგ კი ადგა და შინისკენ
გამოემართა.
გზად ერთი კაცი აემგზავრა
ღვთისმოსავ ყმაწვილს,
თითქოს ეკალი ამოსვლოდა
გზაზე მიმავალს.
ვილაცა შფოთისთავი იყო,
შარის მომდები,
ჩხუბის ამტეხი, შულის მდომი
და ჭინჭყლიანი.
რა უნდა ექნა მისთვის ბიშრს ან
რა უნდა ეთქვა,
რომ მაშინათვე მისთვის კილო
არ გამოება.
ასე კი არა, ისეთ! —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰიჭყინს იწყებდა, —
მე ვარ მართალი,
შენ რას ამბობ,
რას მიქარავო!
ბიშრსაც რა ექნა, მის ყბედობას
ყურს უყრუებდა,
ერიდებოდა თანამგზავრთან
უთანხმოებას.
მაგრამ ის კაცი არ მოეშვა
და ჩააცივდა.
ჰკითხა: „ვინა ხარ, შენ, სახელად
რას გიხმობენო?“
მიუგო ბიშრმა: „მე, ბატონო,
ბიშრს მეძახიან,
თუ უკაცრავად არ ვიყო, თქვენ
ვინ ბრძანდებითო?“
„მაშ, ბიშარი ხარ, ადამის ძის
სირცხვილი? აბა,
მე მალიხა ვარ, ქვეყნის მკვიდრთა
წინამძღოლიო![12]
ცაში რაც სუფევს და მიწაზე
რაც კი ჭაჭანებს,
კაცი რას ფიქრობს და გონება
რასაც მისწვდება.
სუყველაფერი ვუწყი, ასე
ნუ კი მიყურებ,
რაა კარგი და რაა ავი,
მე უნდა მკითხო.
ერთი ვარ, მაგრამ ჩემისთანას
ათასს ვჯობივარ,
თორმეტი სიბრძნე ჩემი ხუთი
თითივით ვიცი.
მთისა და ბარის, ზღვისა და ტყის
ამბავი გინდა
თუ სხვა რამ საქმე, ამ ცარგვალის
ქვეშ რაც კი ხდება,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სუყველაფერი ზედმიწევნით
მაქვს შესწავლილი.
ძალმიძს აგიხსნა, რა და როგორ
ჰგიეს ამქვეყნად.
ცა რომ ცა არის, იქ რაც ხდება.
აქ წვრილად ვიგებ,
ვარ იმისთანა მეცნიერი
და გამჭრიახი.
სად რა ჭირი და განსაცდელი
იქნება, ვატყობ,
ისეთი ჭკუანათელი ვარ
და მიხვედრილი.
რომელი ქვეყნის რომელ მეფის
ძალაუფლებას
რა ემუქრება, ორმოცი წლით
ადრე შევატყობ.
ქრთილი აკლდება გაისად ნივთს
თუ ემატება,
გესმის? მე წლეულს შემიძლია,
წინასწარ გითხრა.
მაჯის გასინჯვა, შარდის ცნობა
და აქიმობა
ისეთი ვიცი, რომ კვდებოდეს
კაცი, მოვარჩენ.
ჯადოქარი ვარ, მე რომ ცეცხლში
ნალს გადავაგდებ,
ძალმიძს უბრალო ჩალის ღერო
ლალად ვაქციო.
ქვა მარგალიტი ხდება ჩემი
ელექსირისგან;
ხელს რომ მოვკიდებ, ოქროდ ვაქცევ
აყალო მიწას.
უბრალო თოკის ნაგლეჯს სული
რომ შევუბერო,
ჭრელ გველად ვაქცევ მაშინათვე,
მე რომ მიყურებ.

ამ ქვეყანაზე ღმერთს რაც განძი
გაუჩენია,
სულ მე მაქვს ხელში გასაღები
მათი თილისმის.
რა უნდა მკითხო, გინდ ცის, გინდა
მიწის შესახებ,
თვალდახუჭულმა მე რომ მყისვე
არ გიპასუხო.
მთელი ქვეყანა კიდით კიდე
რომ დაიარო,
მე რომ მაჯობოს, ისეთ სწავლულს
ვერ იპოვიო!“
ის კაცი ასე და ამგვარად
იმდენს ყბედობდა,
დაისდა ბიშრი, აღარ ჰქონდა
მეტი გაძლება.
შავმა ღრუბელმა გადიარა
მათ თავზე ამ დროს.
მას რომ შეხედა, საცოდავ ბიშრს
ეცა მალიხა:
„თქვი, ის ღრუბელი რატომ არის
კუპრივით შავი,
როცა მეორე, აგერ, რძისებრ
თეთრი არისო?“
ბიშრმა მიუგო: „შემოქმედმა
განაგო ასე,
ნაირ-ნაირი ყოფილიყო
ეს ქვეყანაო.“
მალიხა ახტა: „პასუხისგან
თავს იძვრენ, ძმაო,
ისარს კი ისვრი, მაგრამ მიზანს
რომ ვერ ახვედრებ!
შავი ღრუბელი არის კვამლი
ბუღად ამდგარი.
ვინც საგანს იცნობს, არსს საქმისას
ამგვარად ახსნის.

ხოლო რძესავით თეთრ ღრუბელს რომ
უყურებ ახლა,
იგი ბუნებით ორთქლი გახლავს
სინესტისაო“.
ამასობაში დაუბერა
უცბად ნიავმა
და მისი ახსნაც მოინდომა
ჭკუის კოლოფმა.
ჰკითხა ბიშრს: „ქარი რით მოძრაობს,
ეს მაინც მითხარ,
კაცი მგონიხარ და ხვადაგი
არ გამოდგეო!“
ბიშრმა მიუგო: „ესეც უფლის
ძალით იქნება, —
ქვეყნად რაც ხდება, მხოლოდ უფლის
ნებით ხდებაო“.
კვლავ აუხირდა: „შენ საქმეზე
ილაპარაკე,
რეებს ტატყანებ აქ ჩერჩეტი
დედაბერივით!?
ქარს ჰავა აჩენს, მეგობარო,
ეს დაიხსომე! —
მიწიდან ორთქლი ადის და ის
ამოძრავებსო“.
მერე შეხედა მაღალ მთას და
ახლა იმაზე
ჰკითხა: „მაღალი რატომ არის
სხვებზე იგი?“
ბიშრმა მიუგო: „შემოქმედმა
განაგო, ერთი
მაღალი იყოს მთა, მეორე
კი — დაბალი“.
მალიხამ ისევ დააყარა
ქოქოლა ყმაწვილს:
„სანამდე გინდა, ყველაფერი
ღმერთს მიაწერო?

როდესაც ციდან ძირს ჩამოდის
ღვარი და დელგმა,
მთას ნიღვარი რეცხავს, ლევს და
აპატარავებს.
ხოლო მაღალ მთას რომ უყურებ,
მას ნიღვარი
არ შეხებია და სიმაღლეც
მიტომ შერჩაო“.
ბიშრმა ამაზე აბეზარ კაცს
ასე მიუგო:
„შენ შემოქმედის ნებას ასე
ნუ ეკიდები!
ნუ გეგონები მეც უწრთენელი
და უმეცარი,
სიბრძნის ყოველი დარგი შენზე
უკეთ მე ვიცი.
მაგრამ მიზეზი, არ ირწმუნო,
იცოდე საგნის,
შენი არშინით სუყველაფრის
გაზომვა არ ხამს.
ჩვენ ფარდის უკან დაფარულის
გზა განა ვიცით,
ფარდების გარეთ რაც წერია,
მას ვარჩევთ მხოლოდ.
ვინ გვყავს თავმდები, რომ გზა-კვალი
არ აგვერევა,
რა მაჭნისია დაწერილის
მცდარად წაკითხვა!
ვითუ, როცა გადასწევენ
იდუმალ ფარდას,
ცოდვამ უწიოს გაწბილებულ
მცდარად წამკითხველს!
უკეთესია, მე მგონია,
ამ ვეება ხეს
თავხედის ხელი არასოდეს
წაეტანოსო!“

ასე დამოძღვრა თანამგზავრი
თავისი ბიშრმა,
მაგრამ რად გინდა, შეაყარე
კედელს შენ ცერცვი!
    რამდენიმე დღე იარეს მათ
ამგვარად გზაზე,
მაგრამ იმ კაცმა არა და არ
უკლო ყბედობას.
გზაზე უდაბნო შეხვდათ ერთი
ვრცელი, ურწყული,
ცხელ თონესავით ხურდა და კაცს
ტვინს უდუღებდა.
მილასლასებდნენ გზაზე
ენაგადმოყრილები
მანამდის, სანამ, როგორც იქნა
და იმ ხრიოკში
არ მიატანეს ერთ ჩრდილოვან
ხეს, დიდს და მწვანეს,
ტოტებგაფენილს, ლაღად გაშლილს
და მოშრიალეს.
იმ ხის ჩეროში ხასხასებდა
ისეთი მოლი,
ვერ გაძლებოდა კაცის თვალი
მისი ყურებით.
ქვევრი იხილეს ხის ქვეშ ერთი
ვეებერთელა,
ცივი; კამკამა წყლით პირთამდე
ამოვსებული.
როცა მალიხამ დაინახა,
ანკარა წყალი
ქვევრში ხასხასა ყვავილივით
რომ ლივლივებდა,
მაშინვე ჰკითხა ბიშრს: „კეთილო
ძმობილო ჩემო,
ერთ რამეს გკითხავ და ეცადე,
რომ მიპასუხო:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს როგორ მოხდა, ამოდენა
ქვევრი ამ ხის ქვეშ
რომ ჩაუმარხავთ და პატრონი
მისი არსად ჩანს?
ან რატომ არის, რომ კამკამა
წყლით არის სავსე,
ამ უდაბნოში წყალი ქვევრში
როგორ ჩადგა?“
ბიშრმა მიუგო: „ამისთანა
რამ ხშირად ხდება,
ჩანს, ვილაც კეთილ კაცს უქნია
სამადლო საქმე.
ხოლო რომ ვინმემ სავსე ქვევრი
არ დაამტვრიოს,
იგი მიწაში ჩაუმარხავს
ამ ხის ძირშიო“.
მალიხამ ისევ დააყარა
ქოქოლა: „სანამ
ასე სჯი, შენგან ჭეშმარიტ აზრს
ვერვინ მოისმენს.
მოგართვეს აი! ვილაც კაცი
ვილაცისათვის
წყალს ეზიდება აქ, გამვლელს არ
მომიწყურდესო!
მერე სად, ხროკ უდაბნოში,
წამლად რომ გსურდეს,
წვეთი რა არის, სად წყალს წვეთსაც
ვერსად იშოვნი!
მე გეტყვი ამის საიდუმლოს:
ამ უდაბნოში
ნადირი იცის ბევრი, მხეცი
მრავალი დადის.
მონადირეებს აქვთ ეს ქვევრი
აქ ჩამარხული
წყლის მაძებარი ნადირთ ახლოს
მოსატყუებლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კანჯარი იცის აქ, ირემი
და ჯეირანი.
უდაბნოს მლაშე ბალახს ძოვენ
ისინი ველად.
რა მოწყურდებათ, დაეძებენ
ხრიოკში წყაროს.
აქ კი კამკამა წყლით სავსე ქვევრს
წააწყდებიან,
მონადირეა იქვე ახლოს
ჩასაფრებული,
მშვილდზე ისარი დადებული
აქვს და მსხვერპლს უცდის.
როცა ნადირი მოვა და წყალს
დაეწაფება,
ესვრის და მოკლავს, საამოა
ნადირის მწვადი.
აი, საგნის და არსის ახსნა
ამგვარად უნდა,
თუ გსურს, მსმენელმა მოგიწონოს
და შეგაქოსო!“
ბიშრმა მიუგო: „საიდუმლოს
მცოდნეთ ამ ქვეყნის,
ყველას თავისი გააჩნია
შეხედულება.
მე და შენ სხვებზე მხოლოდ იმის
მიხედვით ვმსჯელობთ,
რაც თაეად გულში გვიძევს და რაც
თვითონ ვართ. წელან
აკი გითხარი, სიავეზე
ნუ ფიქრობ-მეთქი!
სიავე მოაქვს სიავეზე
ფიქრს კაცისთვისო“.
როცა გაშალეს სუფრა ჩრდილში
იმ ჭურისთავზე,
გატეხეს პური და ცივი წყლით
სული მოითქვეს

(წყალმა, მართლაც რომ დასიცხულებს,
სული ჩაუდგა.
კამკამა იყო, ცივი, ცივი
და საამური),
ბიშრს შეუყვირა ჭამის შემდეგ
მალიხამ მჭახედ:
„აბა, ჭურისთავს მოეცალე
და იქით მიდექ!
მინდა, ამ წყალში ჩავხტე ერთი
და ვიბანაო.
ხეირი თუა, სჯობს ბოლომდე
ხეირი იყოს!
ჭუჭყიანი ვარ, გაზინზლული
მაქეს წვირით ტანი,
მტვერმა და ოფლმა გამზინთა და
გამაბინძურა.
ჩავხტები წყალში, ამოვიბან
ტანს კარგად შიგნით,
ჭუჭყს მოვიშორებ და მოვითქვამ
სულს დასიცხული.
შემდეგ კი, სანამ წავალთ, ქვებით
დავლეწავ ამ ქვევრს
და გადავარჩენ ხიფათისგან
საწყალ ნადირთო“.
ბიშრმა მალიხას დაუშალა:
„კეთილო კაცო,
ასეთ ქვევრს ასე უფიერად
ნუ მოექცევი!
მოგვათქმევინა მან ორ მწყურვალ
კაცს დღეს წყლით სული
და ნაცვლად მასში ტანის ბანას
რას ემართლები?
არ ჩააფურთხებს ქვეყნად კაცი
ჭკვათამყოფელი
ჭაში, მწყურვალმა რომლის წყალი
თავად დალია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საოკის გაწმენდა ძმრით არავის
ჯერ არ უცდია[13]
და სისუფთავეს სიბინძურით
არვინ წაბილწავს.
ნუ იზამ ამას, სხვაც ხომ არის
ჩვენებრ მწყურვალი,
მადლია, მოვა და სულს ისიც
მოიბრუნებსო!"
იმ უკეთურმა არ ისმინა
ნათქვამი ბიშრის,
ბილწი ბუნების კაცი იყო
და ბილწს იქმოდა.
ტანთ გაიხადა, ტანსაცმელი
ერთად შეხვია,
ისკუპა მარდად და შიგ წყალში
ჩახტა ტიტველი.
თურმე ნუ იტყვით, ქვევრი იგი
ქვერი კი არა,
ჭა ყოფილიყო ღრმა, უძირო
და ყურყუმელი.
ის იყო თურმე მისი ბედიც.
მრავალს ეცადა,
მაგრამ ვერა და ვერ დაუძვრა
სიკვდილს ხელიდან.
იმდენი ყლაპა წყალი, ძალი
დაჰკარგა მკლავის,
გამოელია არაქათი
და ჩაიძირა.
ბიშრი კი იჯდა მოშორებით
გულშეკუმშული,
წყლით ევსებოდა თვალი საწყალს
იმ წყალზე ფიქრით.
„ამ არამზადამ, — წუხდა გულში, —
და გარეწარმა
როგორ ჰარამი გამიხადა
სალამი თვისი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულით და ხორცით უწმინდური
ეს კაცი, ვიცი,
წაბილწავს ასეთ კამკამა და
წმინდა წყაროს წყალს.
ჯერე ტურტლიან ტანს დაიბანს
შიგ, ხოლო შემდეგ
აიღებს ქვას და ქვევრს დაამტვრევს,
ვით დაიქადა.
უკეთურისგან მოელოდე
სიავეს, თორემ
კეთილშობილი და ჭკვიანი
სიავეს არ იქმს.
ღმერთო, ასეთი ამხანაგი
აშორე ყველას,
ნუ ამოიყვან ჭიდან ასეთ
უწყალო კაცსო!“
ასე ამბობდა თავის გულში
საბრალო ბიშრი.
დრო გადიოდა, მალიხა კი
კიდევ არ ჩანდა.
ნეტავ რას შვრება ამდენ ხანსო?
მივიდა ქვევრთან,
რას იფიქრებდა, რომ მას ჩვენი
ჭირი წაელო.
ნახა თავისი ამხანაგი
დამხრჩვალი წყალში.
ქვევრში ეპოვნა ალსასრული
ქვევრის წამბილწველს.
გაშტერდა ბიშრი, ეს რა უნდა
იყოს ნეტაო?
მივარდა ხეს და მოატეხა
მოზრდილი ტოტი,
იმისგან ასე შუბის სიგრძე
ჯოხი გამოჭრა
(კი არ გამოჭრა, გამოჩირკნა
ბრჭყალით და ფრჩხილით).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზღვის სილრმის მზომველს რომ უჭირავს
სილრმის საზომი,
ისე ჩაუშვა ჯოხი იგი
იმ ქვევრში ბიშრმა.
თურმე რა ქვევრი, რის ქვევრი!
ქვევრი კი არა,
ჭა ყოფილიყო ლრმა, აგურით
ამოკაზმული.
თავზე შუაში გადაჭრილი
ქვეცრი დაედგათ,
შიგ რომ ნადირი ფათერაკად
არ ჩაჭრილიყო.
ამოათრია, როგორც იყო,
დამხრჩვალი ჭიდან
და მიაბარა მიწას წყლიდან
ამოყვანილი.
როდესაც ბიშრი მორჩა საქმეს,
იქვე ჩამოჯდა
და მკვდარს მიმართა თანამგზავრმა
გულდაკოდილმა:
„აწ სადღა არის, უბედურო,
ან თავხედობა
შენი, ან შენი ესოდენი
სიბრძნით ტრაბახი?!
რა იქნა შენი ყოვლის ცოდნა
და ყოვლის ახსნა,
მხეცის, ავსულის და ადამის
ძის პატრონობა?!
ანდა რას გარგებს ახლა,
წელან რომ იკვეხნიდი,
ცაში რაც ხდება, მე აქ ვხვდები
სუყველაფერსო?!
სად არის ახლა ან ის შენი
თორმეტი სიბრძნე,
ანდა კაცობა რა უყავი,
შე არაკაცო?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ ტრაბახობდი, მე წინასწარ
ვჭვრეტ ყველაფერსო,
ასეთი ჭკუის და გონების
პატრონი ვარო,
რატომ ვერ ნახე თავახდილი,
ჭა, შე საწყალო?
ცხვირწინ რა იყო, ვერ იცან და
ცას ვით იცნობდი?
ჭის თავზე რაზე არ ვიყბედეთ
მე და შენ წელან,
რამდენ რამეზე არ ვიდავეთ
და ვიტატყანეთ!
მაგრამ ნათქვამი რომ გავჩხრიკოთ
ჩვენი, მივხვდებით,
რომ საქმის არსზე თურმე სულაც
არ გვიმსჯელია.
ახლა ნამდვილი ხომ გაიარკვა:
ქალის რომ ვბილწავდით,
თურმე იმ ბილწით სული ჩვენი
იწყმიდებოდა.
ჩვენ სხვას ვფიქრობდით, სინამდვილე
სულ სხვა აღმოჩნდა
და ანგარიში შეგვეშალა
ორივეს თურმე.
განგების ძაფის წვეროს ვერ იგდებ
ხელთ, ტყუილია,
ისე აქვს ზეცას ძაფი თვისი
გამოკვანძული.
რაც ვთქვით ჩვენ მასზე, რაც ვიფიქრეთ
და ვიკამათეთ,
სულ მცდარი იყო, შენ ცდებოდი
და მეც ვცდებოდი.
შენ დაილუპე (დამხრჩვალი ხარ),
მე კი გადავრჩი,
შენ უმაღური იყავ რადგან
და მე კი — არა.

ნადირთა მახეს უწოდებდი
შენ წყლით სავსე ქვევრს
და ნადირივით ამ მახეში
თავად გაები.
მე მას კეთილად ვუყურებდი,
განზრახვა ჩემი
კეთილი იყო და კეთილად
გადავრჩი დღესო“.
ეს რომ თქვა ბიშრმა, ზე წამოდგა
მიმოიხედა,
მალიხას ბარგი, გადაწყვიტა,
წამოეკრიფა.
იპოვა შალის მოსასხამი,
გააზის ჩალმა
(ჭის ახლოს ჰქონდა დარჩენილი
მის პატრონს ოხრად).
როცა გაშალა ტანსაცმელი,
მისრული ოქროს
ფულებით სავსე გადმოვარდა
ვეება ქისა.
ბიშრმა ათასი დაითვალა
დინარი. თუმცა
ძველი მოჭრილი იყო, სიქა
ჯერ არ გაცლოდა.
ფული ქისაში ჩააბრუნა
ისე, ვით იყო,
კაიკაცობის ხარბი ოქროს
არ დაეხარბა.
თქვა: „ამ საცოდავს რაც გადარჩა,
უნდა მოვკრიფო,
ოქრო თუ ჩალმა, ტანსაცმელი
თუ სამკაული.
იქნებ, პატრონი ჰყავდეს ვინმე
ან ნათესავი.
უნდა-მოვძებნო, რაც არ უნდა
გამიჭირდესო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოვიკითხო უნდა მისი
სახლი და კარი
და ჭირისუფალს ყველაფერი
ეს ჩავაბარო.
მას ვერაფერი ვერ ვარგე მე,
ვერ დავიხსენი
და რაც გადარჩა, იმას მაინც
არ დაუშკარგავ.
მე რომ იმგვარად მოვიქეცი, ვით
თეით იქცეოდა,
სამაგიერო მეც სასტიკი
მომეზღვევაო!"
ეს თქვა თუ არა გულში. მყისვე
მალიხას ბარგი
შეჰკრა ბოხჩაში და იმ ხეტში
იან წამოიღო.
ბევრი იარა დაქანცულმა
და როგორც იქნა,
უდაბნო განვლო და ქალაქს
ბჭეს მიატანა.
ერთი-ორი დღე დაისვენა
ქანცგაწყვეტილმა,
მოითქვა სული, ჭამა, სვა და
გამოიძინა,
მერე დაუწყო ხალხს მალიხას
ხალმის ჩვენება:
„ხომ არ გეცნობათ ეს ამბავი
ვისი არისო?"
ერთ მოქალაქეს დასტურ ეცნო
მალიხას ჩალმა:
„ამის პატრონი არც ისე წორს
ცხოვრობს, ბატონო.
ამა და ამ გზით ამა და ამ
ტუჩს რომ გახვალ,
ერთი სასახლე გამოჩნდება
ცად აზიდული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიადექ იმ სახლს და კარებზე
დააკაკუნე.
ნუ გერიდება, ის კაცი იმ
სახლში ცხოვრობსო“.
წავიდა ბიშრი და წაიღო
მალიხას ბარგი,
მისი ამამა, მისი ფული
და მოსასხამი.
კარი ვიღაცა თვალწარმტაცმა
ქალმა გაუღო.
შაქრის ტუჩები ჰქონდა, პირით
თაფლს აწვეთებდა.
ჰკითხა: „რა გნებავს, ან ვინ გნებავს,
ჩემო ბატონო,
მიბრძანე, რითი შემიძლია
გემსახურო?“
ბიშრმა მიუგო: „მინდა ენახო
დიასახლისი.
გადასაცემი მაქვს ძვირფასი
ნივთები მისთვის.
თუ ნებას დამრთავთ, შემოვიდე,
რაც სათქმელი მაქვს,
ყველაფერს წვრილად მოვიყვებით
და მართალს გეტყვით.
გამცნობთ, მალიხას, საიდუმლო
ცის ვინც იცოდა,
ზეცამ რა უქნა, რა ოინი
გაუკეთაო“.
უცხო სტუმარი ბანოვანმა
ტკბილად მიიღო,
შინ შეიყვანა მოწიწებით
და ნოხზე დასვა.
ჯერ პირზე ჩადრი აიფარა
და მერე ჰკითხა:
„ბრძანეთ, ბატონო, რა სათქმელიც
გაქვთ, მე გისმენთო!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ადგა ბიშრიც და რაც სათქმელი
ჰქონდა იმ კაცზე,
წვრილად მოუყვა იმ პირმთვარეს
და ვეროცხლისტანას.
ის და ვილაცა უცხო კაცი
ვით შეხვდნენ ერთურთს.
რა ყბედი იყო, რა ლაქლაქა
და გატლეკილი.
ცეცხლივით როგორ ენთებოდა
სუყველაფერზე,
ყოველ სიტყვაზე პირში როგორ
უვარდებოდა.
როგორ ფიქრობდა ავს. ყოველზე
და ყველაფერზე
და სიბინძურით სისპეტაკეს
როგორ ბილწავდა.
მოუყვა წვრილად იმ ჭის სხვისთვის
გაჭრის ამბავი
და ისიც, ჭაში თავად იგი
როგორ ჩაიჭრა.
ვით მოევლინა მღელვარე ზღვად
მისი ტალღები
და იმ ჭის წყალში ვით დაიხრჩო,
ბოლოს და ბოლოს.
    რა დაასრულა იმის თხრობა,
რაც თვით ენახა
და მალიხასგან რაც სმენოდა,
ისიც მოუყვა,
თქვა: „არ გეტკინოს არაფერი
იმის მოსელამდე,
მას რას უშველის, მიწაში წევს,
შენ იყავ კარგად!
მისი ცხედარი წმინდა წყალში
ამობანილი,
მიწას მე თვითონ მივაბარე,
როგორც წესია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბარგი კი მისი, რაც დატოვა,
ერთად შევკარი.
აი, ბატონო, ეს არის და
ჩაიბარეო!“
ეს რომ თქვა ბიშრმა,
ტანსაცმელი და ოქროს ქისა
ქალს წინ დაუწყო. მოიხადა
თავისი ვალი.
    მალიხას ცოლი გამჭრიახი
დიაცი იყო,
მყისვე აუღო ალღო მომხდარს
და მოსახდენსაც.
ცოტა ხანს იჯდა დაბნეული
და ფერაყრილი,
წამოიტირა კიდეც ერთი
წამოტირება,
შემდეგ კი სტუმარს ასე უთხრა:
„კეთილო კაცო,
ღვთისნიერთ შორის სათნოებით
გამორჩეულო,
აფერუმ ამ შენს გულს ლმობიერს
და კაცთმოყვარეს!
გეტყობა, კაცი ხარ გულწრფელი
და გულახდილი.
ვინ გამოიჩენს ლირსის მიმართ
იმ ვაჟკაცობას,
შენ რომ ულირსი კაცის მიმართ
გამოიჩინე?!
კაიკაცობა, ჩემო კარგო,
განა ის არის,
რომ ბუზს როგორმე თაფლს გამორჩეს
ადამიანი?!
კაიკაცობა იმას ჰქვია,
არა საქმეში
ფულის სიხარბე ვაჟკაცს გულს რომ
არ შეუქანებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მალიხა მოვიდა, შავ სამარეს
ამოეფარა,
ახია მასზე ყველაფერი,
რაც მოუვიდა.
სულ მართალია, რაც აქ ბრძანე,
გულბილწი იყო.
იმის სიავეს და სიცუდეს
ვერც კი ჩამოვთვლით
მტარვალი იყო, მოლიზღარი
და უკეთური.
კაცის წვალებას არაფერი
ერჩია ქვეყნად.
ყველა ნაწყენი იყო მისგან,
კაცი თუ ქალი.
ამგვარად უნდა მოლებოდა
ასეთ კაცს ბოლო!
რჯული არ სწამდა, ვით ურია,
ურწმუნო იყო,
ჭრელი გველივით საზიზღარი
და საზარელი.
ეს რა ხანია, მე მის ხელში
ვიტანჯებოდი,
სიავის მეტი არაფერი
მინახავს მისგან.
მე უდრტვინველად მედო თავი
მის სასთუმალზე,
ის კი ათასგვარ ხრიკს მიგებდა
და ფანდს მიდებდა.
მე ვიყავ მისი თვინიერი,
მორჩილი ცოლი,
ის კი არაფერს აკეთებდა
ავის თვინიერ.
დამეხსნა მამაზეციერმა
ამ ჭირისაგან.
მისი ამბავი, მადლობა ღმერთს,
სხვებმაც გაიგეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინც იყო, იყო, კაცი იყო
თუ ცუდი იყო,
მოვრჩეთ ლაპარაკს მასზე, მკვდარზე
ძვირს არ იტყვიან.
წავიდა იგი საუდამოდ
და სულ სხვაგვარად
უნდა წაიღეს აწი მაინც
ჩემი ცხოვრება.
შენ რომ გიყურებ, ჩემი გულის
კაცი ხარ, ვატყობ,
და მინდა ჩემი კაცი იყო,
შენ თუ მისურვებ.
მე მდიდარი ვარ, თვინიერი
და თვალად ტურფა.
ჩემზე უკეთეს ქალს ვერ ავინ
ინატრებს ცოლად.
მაშ ნუ ყოყნებ და გვირგვინი
ისკვნი ჩემთან,
შემირთე ცოლად, როგორც წესი
და კანონია.
შენ რომ გიყურებ და სიკეთეს
შენსას რომ ვხედავ,
მოხიბლული ვარ, გამოგტყდები,
და მსურს, რომ გიქმრო.
შენც თუ მოგწონდე და თუ ჩემი
სურვილი გქონდეს,
თუ გსურს, შინ გეჯდეს ერთგული და
მორჩილი ცოლი,
შემირთე! აბა, მე გითხარი
ჩემი საქმელი,
სიმდიდრე ხომ ვთქვი, სილამაზეც
ნახე ჩემი!"
ეს რომ თქვა, ქალმა აიხადა
პირიდან ლიბე
და ლრუბლებიდან პადრი მთვარე
გამოავორა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიშრმა რომ კალმით დასატელ ქალს
შეავლო თვალი,
მისი თვალები და ხელები
რომ დაინახა,
იცნო მაშინვე: ეს ქალი ის
გულის წარმტაცი
დიაცი იყო, იმ დღეს გზაში
რომ შეეფეთა!
ერთი იყვირა და დაკარგა
გონება მყისვე
მან, ყურმოჭრილმა მონამ ქალი!
თვალისმომჭრელის.
ვაჟი რომ ნახა გულწასული,
წამოხტა ქალი,
მოურბენინა საყნოსელი
და მოაბრუნა.
როდის და როდის გულწასული
გონს რომ მოვიდა,
მიმოიხედა ირგვლივ ჭერე,
მერე კი შერცხვა.
ბოლოს ეს უთხრა ქალს: „ფერიამ
წამართვა გონი,
ჩემი დაბნედა ჭკუის შეშლას
არ დააბრალო!
ხალხი ავსულის გადაყრაზე
კარგავს გონებას,
მე კი ფერიას შევეყარე,
ჩემო ფერიავ,
ეს სიყვარული დღევანდელი
ნუ კი გგონია,
კარგა ხანია მას აქვთ, რაც
სახმილი მდაგავს.
ამა და ამ დღეს, ამა და ამ
ქუჩაზე, — გახსოვს? —
მოურიდებლად ქარმა რიდე
რომ მოგარიდა?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე დაგინახე და ხელიდან
წავედი კაცი,
დავთვეური ხელად, თუმცა ხელადით
ღვინო არ მესვა.
მას აქეთ ვიწვი დამალული
ტრფიალით შენით,
შენზე ვაებამ გამათავა,
აღარ ვარ მეტი.
და თუმცა მუდამ მახსოვდი და
მტანჯავდი მუდამ,
ეს ხვაშიადი არავისთვის
გამიმხელია.
ხოლო, როდესაც ველარ შევძელ
მეტის მოთმენა,
გადავიკარგე და შეწევნა
ვთხოვე შემოქმედს.
უფალმა ჩვენმა, მწყალობელმა
და მადლიანმა,
მიბოძა, რაც მას გულით ვთხოვე
და რაც მეწადა.
რადგანაც ხარბი არ ვყოფილვარ
და შურის თვალით
სხვის ლამაზ ქალებს და ქონებას
არ ვუყურებდი,
ფულიც მიბოძა და ლამაზიც
უფალმა, თანაც
ალალი, განა უკანონო
და ჰარამით!"
ქალმა რომ ბიშრის ამნაირი
გაიგო ენება,
მისი სურვილი კიდევ უფრო
გაუცხოველდა.
ცოტა ხანს კიდევ ელაღობეს
ერთიმეორეს,
შემდეგ კი ბიშრმა საქორწინო
საქმეს მიხედა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეირთო იგი ცოლად ალე,
როგორც წესია,
ცხოვრობდნენ ტკბილად და ბედნიერად
უძღვნიდნენ უფალს.

წითელი სასახლე

გაბიგონია, ერთ დროს თურმე,
რუსთა მხარეში
ტურფა ქალაქი იყო ერთი
პატარძალივით.
რუსებს ხელმწიფე ესვათ ტახტზე
დაელათიანი,
ხოლო ხელმწიფეს ერთი ქორწილა
ასული ჰყავდა.
დაგავიწყებდათ თავს, ისეთი
მოხედვა ჰქონდა.
სახე უგავდა ვარდს, ტანი კი —
წერწეტა საროს.
მთვარე? მის პირთან რა უნდოდა
ქათქათა მთვარეს
და დაეკარგა შაქარს სიტკბო
იმის ტუჩებთან.
მუშთარისაგან შეეძინა
გულოვანება.
მისი შუქის წინ დაჰკარგოდა
სანთელს სინათლე.
შაქრის ტუჩები ისე ვიწრო
ჰქონდა, შაქარი
მის წელზე უფრო დაილია
მეტი შურისგან.
მუშკი სკდებოდა გულზე, მის თმას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ შეჰყურებდა,
ქაცვად ექცია ქორფა ვარდი
მის პირისახეს.
წერწეტა ჰქონდა ტანი, როგორც
წალკოტის საროს
და ანათებდა სახით წმინდა
ძელაპტარივით.
ელვა და ფერი მეტი ჰქონდა
ყრუპებზე უფრო,
ლაწვები მისი გაზაფხულზე
უფრო ყვაოდა.
მთვრალი ნარგიზი მის თვალებთან
ვერც მობედაღდა,
ყურმოჭრილ მონად გაეხადა
ქორფა სოსანი.
მსახურად ედგა ვარდი იმის
პირისფაფრეშებს
და ვარდის წყალი ხელზე წყალსაც
ვერ დაუსხამდა.
შესახედავად ხომ ასეთი
ლამაზი იყო,
შემკული გახლდათ ყოველგვარი
ნიჭიერებით.
ესწავლა სიბრძნის ყველა დარგი
და თავში ჰქონდა
სულ ჩაბეჭდილი, რაც კი არის
მეცნიერება,
თუ რამე იყო საჯადოქრო
წიგნები ქვეყნად,
სულ წაკითხული ჰქონდა გრძნეულს
და მისნად ქცეულს.
მაგრამ რად გინდათ, თმებდაყრილი
იჯდა თავისთვის.
და გათხოვების გაგონებაც
კი არ უნდოდა.
ის, ვინც უსწორო არის თავის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დროის და ჟამის,
მას გულის სწორი აბა როგორ
მოეძევება?!
    როცა მოედო მთელ ქვეყანას
მისი ამბავი —
ჰურია უზის შინ სამოთხის
რუსის ხელმწიფეს,
მზისა და მთვარის ნაშიერს ჰგავს
შესახედავად,
გამოზრდილი ჰყავს ოტარიდის
რძით ასპიროზსო,
მოაწყდა მეფეს, ვინც ჭაბუკი
იყო იმ მხარეს,
სუყველას მხოლოდ მისი შერთვა
უნდოდა ცოლად.
ერთი ოქროთი მოიწევდა,
მეორე — ძალით,
ქალი კი ერთსაც იშორებდა
და მეორესაც.
მეფეს რა ექნა, არ იცოდა, —
მისი ასულის
დაწუნებულნი აწუხებდნენ
სასიძოები.
ერთი და ორი ხომ არ იდგა
მის კარზე საქმრო,
ვით ეთამაშა ერთდროულად
ას კაცთან ნარდი?
    როდესაც ქალმა დაინახა,
სასიძოები
არ იძლეოდნენ მოსვენებას,
არა და არა,
ერთი მთა იყო იმ მხარეში
ცამდე მაღალი,
ამ წუთისოფლის ორომტრიალს
მოშორებული,
ქალმა იმ მთაზე ციხე-კოშკი

ალამართვინა
ისე მაღალი, მთაზე შედგმულ
მთას გაგონებდა.
მამას ბოდიში მოუხადა
და მერე სთხოვა:
„ნება მომეცი, იმ გოდოლში
გადავსახლდეო!“
ეძნელებოდა მოშორება
მისი ძალიან,
მაგრამ რა ექნა, შვილს ვერ უთხრა
მამამ უარი.
ესეც კი იყო, შინ რომ თაფლი
არ იდგმებოდა,
მოსვენებული იქნებოდა
კრაზანისაგან.
როგორც კი მამამ ნება დართო,
მზეთუნახავმა
არ დააყოვნა ციხე-კოშკში
გადასახლება.
გამოიკეტა იმ ციხეში
მეფის ასული,
როგორც ძვირფასი განძი
კრძალვით გადამალული.
კოშკის ფერია შეარქვეს რუსთ
ხელმწიფის ასულს,
მიუვალ ციხე-კოშკში დაცულს
მძიმე განძივით.
ვერ მისწვდებოდა ქურდი იმ განძს,
ბევრიც ეცადა,
სულ რკინით იყო დაჭედილი
და დაგმანული.
იჯდა იმ კოშკში, ვით სლავების
მზეთუნახავი,
თუმც მზეთუნახავთ არ უნახავთ
ასეთი კოშკი.
გზა ჩაუკეტა ყველა მისთვის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავგზადაკარგულს
და პირში ჩალა გამოავლო
ყველა სასიძოს.
განა ამქვეყნად რამე საქმე
ანდა ხელობა
იყო, იმ გრძნეულ მეფის ასულს
რომ არ სცოდნოდა?
მიწაში რა ძევს, ის იცოდა,
ცაზე რა ხდება;
შეწამებული ურთიერთთან
ჰქონდა ყოველი.
ეწიფებოდა მას უსულო
საგანზე ხელი,
ხოლო სულიერთ ხვაშიადი
ხელში ეჭირა.
ზეპირ იცოდა, თუ რა რისი
მაქნისი არის,
რატომ ცხელდება წყალი, ცეცხლი
რატომ ციდება.
რა შეიძლება, ხალხს რომ ხალხმ,
უქნას, უწყოდა
ანდა რა ძალუძს ცას, დამართოს
მოსახლეობას.
რაც კი სჭირდება მომზადება
მეცნიერებას.
და ადამს ძეს რისი ცოდნაც
ამკობს ამქვეყნად,
უკლებლივ ჰქონდა უფლისაგან
მომადლებული.
სახით სათუთი ქალი იყო,
გულით — ლომგული.
მოთმინებასთან რაკი ერთხელ
გაიხალვათა,
მოშორდა სოფელს, მოიწყვიტა
გულიდან ყველა.
ციხე-კოშკისკენ მთის კალთაზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიმავალ გზაზე.
ერთი თილისმა შეჰკრა ჯადოს
შემკვრელმა ქალმა,
თილისმა რკინით და ქვით იყო
გამოჭედილი,
ამოწვართული ეპყრა ხელში
მახვილი ბასრი.
სუყველას, ვინც კი გაბედავდა
იმ გზაზე გავლას,
ჰკრავდა თილისმა ხმალს და იქვე
ორად აპობდა.
მხოლოდ ერთადერთ კაცს შეეძლო
გაევლო ეს გზა,
ეს კაცი ციხისთავი იყო
იმ ციხე-კოშკის.
გზის საიდუმლო ციხისთავმა
იცოდა მხოლოდ,
მაგრამ თუ ისიც გზის გავლის ხერხს
არ დაიცავდა,
არ დაითვლიდა ნაბიჯს და თუ
ისიც იმ ასი
პირობისაგან ერთ პირობას
თუ დაარღვევდა,
შემოუქნევდა მაშინათვე
თილისმა მახვილს
და წააცლიდა ციხისთავსაც
იქვე თავს მშრალად.
ცას მიბჯენილი იმ ზვიადი
კოშკის კარები
მიუდგომელი იყო ზეცის
კარიბჭის დარად.
მისთვის რომ ოსტატს ირგვლივ ერთი
თვეც ეტრიალა,
ვერ მიაგნებდა მაინც კოშკში
შესასვლელ კარებს.
ფერია იგი, იმ ციხეში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომწყვდეული,
ისე ხატავდა, არ უდებდა
ტოლს ჩინელ მხატვართ.
ხელში რომ ყალამს აიღებდა
ქალი, შეეძლო
წყალში ხასხასა მარგალიტი
გამოესახა.
ისე ხატავდა შუქზე ყალმით
ჩრდილს, რომ იტყოდი,
სახეზე შავი ზილფი ჰყრია
მზეთუნახავსო.
თავად ხომ ციხე-კოშკის გახლა
მფლობელი, კოშკიც
არ დარჩენილა წაგებული, —
ხელთ მთვარე იგდო!
აიღო ხელში წამალი და
ყალამი ქალმა
და აბრეშუმზე გამოხატა
თავისი ხატი.
თავით ფეხამდე გამოსახულ
თავის სურათზე
ლამაზი ხელით ეს წარწერა
გამოიყვანა:
„ვისაც კი ქვეყნად აქვს სურვილი,
მე დამეუფლოს,
ამ ციხე-კოშკში, სადაც მე ვარ
გამოკეტილი,
მოვარდეს, როგორც ეტანება
სანთელს ფარვანა,
აქ შემოვიდეს, შორით ნუკი
მიწყებს ყბედობას!
აქ მხოლოდ რჩეულს შეუძლია
ფეხი შემოდგას;
მხდალს ჩემს ციხეში არაფერი
არ ესაქმება.
ვისაც ჰსურს, ხელში ჩამიგდოს მე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტკბილი კვერცვით,
მას ასი სული უნდა ედგას,
ერთი კი არა.
ვაჟკაცმა, ვისაც ჰკლავს სურვილი,
მე ცოლად ვყავდე,
უთუოდ უნდა შეასრულოს
ოთხი პირობა.
პირველი: უნდა იყოს იგი
კეთილშობილი,
სახელი უნდა ჰქუხდეს მისი
დედამიწაზე.
მეორე: თვისი გონებით და
გამჭრიახობით
უნდა აჯობოს ჩასაფრებულს
გზაზე თილისმას.
მესამე: როცა გადმოლახავს
ამ გზის სიძნელეს,
თილისმას დაძლევს და დააღწევს
თავს მას მშვიდობით,
უნდა მიაგნოს კოშკის კარებს,
ვინძლო საცოლის
საწოლში კარით შემოვიდეს
და არა ბანით.
მეოთხე: ის, ვინც შეასრულებს
ამ სამ პირობას,
ქალაქში უნდა გაემართოს
ამ გზითვე უკან.
მე მამაჩემის სასახლეში
გამოვცხადდები
და კითხვებს მივცემ, რომ ვცნა მისი
გამჭრიახობა.
ჩემს შეკითხვებზე იგი სწორად
თუ მიპასუხებს,
მე ჩემს პირობას შევასრულებ,
ვით მაქვს დათქმული.
(ქმარი გახდება საყვარელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის კაცი ჩემი.
ანდა რას ვერჩი, თუ პირობას
აკმაყოფილებს),
მაგრამ თუ იგი ვერ შეიძლებს
მას, რასაც ვითხოვ,
რაც მოუვიდეს, მე კი არა,
თავს დააბრალოს!
ვინც შეასრულებს ამ პირობას,
მე ხომ შემირთავს,
ხვითოსაც ოფლის დაუღვრელად
დაეუფლება,
ხოლო რომელსაც ამ საქმეში
არ გაუმართლებს,
თუნდაც კლდე იყოს, ქვიშასავით
დაიფშვნებაო!"
    როდესაც მორჩა რუსი ქალი
ამის დაწერას,
მსახური იხმო და სურათი
მას გაუწოდა.
უბრძანა: „წადი და წაიღე
თან ეს ნახატი.
დაე, ქვეყანამ გაიგოს, რაც
გვინებებია.
ჩადი ქალაქში და მილეთის
ხალხმა რომ ნახოს,
ზედ ალაყაფზე ჩამოჰკიდე
ჩემი სურათი,
ვინძლო ყოველმა იქ გამვლელმა
და გამომვლელმა,
ვინც ამისთანა ქალიშვილით
მოიხიბლება,
თავი გადასდოს და ხიფათში
ილბალი სცადოს,
ან დამეუფლოს მე, ან თავი
დაჰკარგოს სულო!"
    აიღო ის კაცი, ქალის სურათს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაავლო ხელი,
ჩაუყვა ქვევით, ქალაქისკენ
მიმავალ შარას.
ზედ ალაყაფზე ჩამოჰკიდა
მთვარის სურათი
მოწიფულ ვაჟთა საჭვრეტად და
გასახელებლად.
ვინძლო მას, ქალი გულს რომელსაც
შეუქანებდა,
ნება ჰქონოდა, თავის თავზე
აეღო ხელი.
    ყველა უფლისწულს, ყველა მეფეს
ყველა მხარეში
რუსის ხელმწიფის ქალიშვილის
ამბავი ესმა.
მაცდურმა ვნებამ აღიტაცა
მაშინვე ყველა.
და იწყეს დენა ქვეყნის ოთხივ
კუთხით ბიჭებმა.
მაგრამ სუყველამ, ყმაწვილური
ლვინით დამთვრალმა,
ფუჭად წააგო სათითაოდ
იმ გზაზე თავი.
როგორც კი კოშკში მიმავალ გზას
დაადგებოდნენ,
მსხვერპლი ხდებოდნენ მაშინათვე
თილისმის დაშნის.
რას არ ეცადნენ, რა არ ქნეს, რა
არ ჩაიდინეს,
მაგრამ ვერა და ვერ გადურჩნენ
თილისმის მახვილს.
ზოგი რაღაცას ახერხებდა
თითქოს თავიდან,
მაგრამ თილისმა ბოლოს მაინც
ბოლოს ულებდა.
ის საცოდავი ზოგს როგორღაც

აუვლიდა გვერდს,
მაგრამ იმ გზაზე თილისმის ჯარს
რა გამოლევდა?!
და კვლავ უტეხად, უშიშრად და
უანგარიშოდ
დასალუპავად მიდიოდნენ
თავალერილნი.
ასე უაზროდ დაიღუპა
იმ ქალის ხელით
იმ ქალის ხელში გდების მდომი
ყველა ყმაწვილი.
საბედისწერო გზა ვერავინ
ვერ გაიარა.
და გორაობდნენ ზედ მოჭრილი
მათი თავები.
თავს წააცლიდნენ ქალის თხოვნის
მსურველს თუ არა,
მას ზედ ქალაქის ალაყაფზე
ჩამოჰკიდებდნენ.
იმდენმა თავმა მოიყარა
ჭიშკარზე თავი,
რომ ზედახორა შეიქნა ზედ
თავის ქალების.
მთელს ქვეყანაზე, სადაც უნდა
მიხვიდე, ქალაქს
წითელი ფერით რთავენ ხოლმე
დღესასწაულზე,
ამ ანგელოზის და ფერის
მსგავსმა ქალმა კი
მთელი ქალაქი კაცის თავის
ქალებით მორთო.
ჰოი, რამდენმა ახალგაზრდამ
წააგო თავი
ისე, რომ ლანდიც ვერ დალანდა
მისი კარიბჭის!
    იმ მხარეს ერთი უფლისწული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხოვრობდა იმ დროს
კეთილშობილი, ახოვანი,
პირმშვენიერი,
გულისხმიერი, გონიერი
და საზრიანი.
შამბნარში ლომებს ისე ხოცდა,
ვით ველზე კანჯართ.
ეს უფლისწული სანადიროდ
გავიდა ერთ დღეს,
გაფურჩქვნილიყო ჰსურდა ველზე
გაზაფხულივით.
ნახა, ეკიდა კარზე ერთი
ტკბილი ნაწერი,
ნაწერის იროგვლივ ასი შუშა
ლენცოფა იდგა.
ქალის სურათი დაეხატათ
ერთ აბრეშუმზე
გულის წამრთმევი, თეალწარმტაცი
და მომხიბვლელი.
ყმაწვილმა ქალის სახეს მოჰკრა
თვალი თუ არა,
მყისვე დაკარგა მოსვენება
და მოთმინება.
ქება შეასხა იმ სურათის
მხატვრის ხელობას,
ყალამს, რომელმაც ამისთანა
ხატი დახატა.
ება სურათი ბჭეზე ქვეყნის
შემამკობელი,
ხოლო მის იროგვლივ ასი თავი
ეკიდა ქაცის.
გულში თქვა: „ეშმაკს, ხამს, ავართვა
ეს მარგალიტი.
რას იქმს გაქცევა! რომც გავიქცე,
სად გავიქცევი?
ვთქვათ, ჩავიკალი გულში ვნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და შევიძელი
მისი მოთმენა, მოთმინებამ
ხომ მომკლა მაინც!
თუ გულმა ჩემმა ამ ჭირს თავი
არ აარიდა,
თავს კი დავკარგავ, მაგრამ ჭირი
ჩემს თავს არ დათმობს.
ნახატში კია ქალი სათნოდ
გამოსახული,
მაგრამ განძს გველი ახლავს, ხოლო
ხურმას — ეკალი.
უკვე რამდენ კაცს წაუგია
ამ გზაზე თავი
და საწადლისთვის კი ვერავის
მიულწევია.
სადაც სხვა, იქაც ჩემი თავი! —
დიდი ამბავი,
თუ მიწიერი ისევ მიწად
გადავიქცევი!
თუ ამ განსაცდელს თავი ფრთხილად
არ ავარიდე,
ამ ალაყაფზე ჩამოკიდო
უნდა ეს თავი.
ვთქვათ და მივეცი ტანჯვას თავი
და მოვითმინე,
სული უარვყო? მაშ უსულოდ
ვით ვიცოცხლოო?“
შემდეგ იფიქრა: „ფერიებმა
ქალის სურათი
აქ ჩამოკიდეს მიმნდო მუშტრის
მოსატყუებლად
ფერიის ჯადოს კაცი როგორ
გაუმკლავდება,
თუკი თვითონაც არ იხმარა
რამე თილისმა?
სანამდის ენას არ ავუდგამ

ფერიას, მანამ
სულით და გულით ამ ფუჭ საქმეს
არ მივეცემი!
რაიმე ხერხი მჭირდება მე,
მარჯვე და სანდო,
რომ გამოვიხსნა მგლის ხახისგან
ბატკანი ჩემი.
საქმეს ვინც ჰკიდებს ხელს
აუწონ-დაუწონავად,
ამ ქვეყანაზე ის ვერაფერს
თავს ვერ მოაბამს.
იოლად ნუ თვლი ნურა საქმეს
შენ ნურასოდეს,
თორემ ხელიდან არაფერი
არ გამოგივა!
ამ ქვეყნის ხმაზე, ხამს ააწყო,
შენ შენი საზი,
ფრთხილად დაიჭი, მაგრამ მაგრად
კი დაუკარი.
გატეხილი მაქვს გული ფიქრით
ლამეზე უფრო,
ჯიგარი გულზე უფრო მეწვის,
ნაკლებ კი არა.
ასეთი გულის მქონე კაცმა
როგორ ვილხინო,
ასეთ ჭკუაზე მდგარი რაღას
გავიხსენებო!“
ეს რომ თქვა, ჭმუნვას და სიმძიმილს
მიეცა ვაჟი,
ცხელი გულიდან ცივი ოხვრა
ალმოხდა ერთი.
ცრემლი მოადგა თვალზე, როცა
წარმოიდგინა
ნატი და ხმალი აქეთ, იქით
ტაშტი და თავი.[14]
თავისი ვნება, როგორც იყო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამალა გულში,
დარდი და სევდა არავისთვის
შეუჩივლია.
იყო ამ დღეში და ბუგავდა
ცეცხლის ალმური,
დღისით ვერ იჯდა საცოდავი,
ღამით ვერ იწვა.
ცაზე ცისკარი ძლივს როგორც კი
ყურს ამოჰყოფდა,
აიჭრებოდა და გარბოდა
ქალაქის ბჭისკენ,
თავისი გულის მწველის სურათს
უწყებდა ცქერას,
ფარჰადის საფლავს და შირინის
გოდოლს უჭვრეტდა.
უტრიალებდა იმ კვანძს ირგვლივ,
ხერხით და ხვანჯით
ჰსურდა გაეხსნა და ვერაფრით
კი ვერ გაეხსნა.
ხედავდა, ამ ძაფს რომ ათასი
უჩანდა წვერი,
მაგრამ სად ჰქონდა ძირი, ამას
ვერ მიმხვდარიყო.
ბევრი ეცადა, აქეთ ეცა
და იქით ეცა,
მაგრამ ვერა და ვერ გაიგო
ეს საიდუმლო.
ბოლოს ფარი და ხმალი განზე
გადადო გმირმა
და ისევ ხერხის გამოძებნის
საქმეს შეუდგა.
ყველგან, ყოველთვის მხოლოდ იმის
მულამს ეძებდა,
როგორ გაეხსნა დაგმანული
რკინის კარები.
ბოლოს ვიღაცამ უთხრა: „ერთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სწავლული არის,
ავ სულებს ჩხიბავს, ანგელოზებს
კი ფრთებს უკვეცავს.
ქვეყნად რა უნდა იყოს განა
წამხდარი საქმე,
მისი საშველი იმ სწავლულმა
რომ არ იცოდეს!
ვინ უნდა იყოს კაცის შვილი,
მან რომ არ სძლიოს,
რა უნდა იყოს კარი, მან რომ
არ გააღოსო!"
    როცა იმ კაცის ამისთანა
ამბავი ესმა,
მავანს ასეთი და ასეთი
საქმე ძალუძსო,
ადგა და მყისვე გაემართა
იმ ბრძენთა ბრძენთან,
გეგონებოდა, ჩიტია და
მაღლა ფრინავსო.
ნახა ის კაცი, წალკოტივით
აყვავებული.
სად? სად და ტიალ და მიუვალ
გამოქვაბულში.
ხვიარის მსგავსად მის საწყვეტებს
ჩაავლო ხელი
და სამსახურად, როგორც ვარდმა,
წელი შეიკრა.
დაუდგა იმ ბრძენს ეს ყმაწვილი
შეგირდად იმ დღეს
და ხიზრისაგან შეისწავლა
სხვადასხვა ხერხი.
როცა მოითქვა ბოლოს სული
სიბრძნის წყაროთი,
ადგა და გულის საიდუმლო
სწავლულს გაანდო.
უთხრა ფერიის და ფერიის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციხის ამბავი,
ისიც მოუყვა, რა ყოფაში
ჰყავდა ქალს ხალხი;
როგორ ეყენა თილისმათა
გუნდი შარაზე
და ვით აცლიდნენ ისინი თავს
იმ გზაზე დამდგართ.
მოკლედ, უამბო რაც ენახა
იმ მოხუც სწავლულს,
წვრილად მოუყვა, არაფერი
არ დაუმალავს.
ფილოსოფოსმაც თუკი რამე
სიბრძნე იცოდა,
ბიჭს გაუმხილა, შეასმინა
და შეასწავლა.
    იგდო თუ არა სანუკვარი
ცოდნა ვაჟმა ხელთ,
უძღვნა ათასი მადლობა ბრძენს
და გამობრუნდა.
ორი თუ სამი დღე შინ იჯდა,
მარტო, თავისთვის
და ყველაფერი ერთხელ კიდევ
აწონ-დაწონა.
უპირველესად მოამზადა,
რაც ამისთანა
გზას, სახიფათოს, სჭირდებოდა
აღჭურვილობა.
ამას რომ მორჩა, უფრო ფაქიზ
საკითხს მიხედა,
ეს ძნელი საქმე სულ ადვილად
რომ დაეძლია.
გამოითვალა განლაგება
თილისმის ქსელის
და გზაზე გავლის გეგმა ამის
რიგზე მოხაზა.
უპირველესად ყოვლის საქმის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესასრულებლად
შეწევნა თხოვა მათ წმინდანებს
და მოციქულებს.
შემდეგ სისხლისფრად შეიღება
ტანისამოსი
ნიშნად იმისა, რომ ცა სისხლის და
რისხვას გზავნიდა.
გამოამჟღავნა ხვაშიადი
მრისხანე გულის
და მთელი ქვეყნის გასაგონად
გინება იწყო.
ყვიროდა: „რასაც ვიზამ, მარტო
ჩემთვის არ ვიზამ,
ათასი მსხვერპლის შური მინდა
ამით ვიძიო.
ან მოვაშორებ ხალხს მე იმ ყულფს,
ყელში რომ უჭერს,
ანდა მე თვითონ ამ ბრძოლაში
დავეცემიო!“
ყვიროდა ასე და ივლებდა
ტანსაცმელს სისხლში.
შემდეგ იშიშვლა ბასრი ხმალი
და გზას გაუდგა.
ვისაც ესმოდა მისი ჭექა
იმ ახლომახლოს,
ლომგული მოდის ხალხის შურის
მაძიებლადო! —
სიხარულისგან ეწეოდა
ცას და იმედით
შეჰყურებდა მას: „ნეტამც ამ ბიჭს
გაუმარჯვდესო!“
აქეთ თავისი გამჭრიახი
ჭკუა, იქით კი
ლოცვა-კურთხევა ხალხის ყმაწვილს
ძალას მატებდა.
ადგა ყმაწვილი და ზრდილობით,

როგორც წესია,
ხელმწიფეს თხოვა, ნება დამრთეს
ბედი ვცადოო!
მეფის დასტური რომ მიიღო,
ციხე-კოშკისკენ
აიღო გეზი განზრახულის
შესასრულებლად.
როცა თილისმის სამფლობელოს
მიუახლოვდა,
ხვრელი გაავლო თილისმის ქვეშ
და შეუღოცა.
ახსნა მაშინვე, იმ მიდამოს
რაც ჯადო ჰქონდა,
სახსრებში დახსნა დამალული
ყველა თილისმა.
რაც კი ჯამბარა და ღვედები
ჰქონდათ ერთურთთან
გადახლართული, სულ დაგლიჯა
და გადაჰყარა.
როცა გაწმინდა ვაჟმა ის მთა
თილისმისაგან
ჩასაფრებული იავარჰყო
ჯადო — თილისმა,
ქალწულის ციხე-კოშკისაკენ
აიღო გეზი,
დაავლო ხელი დოლს და დოლის
დაკვრა დაიწყო.
დოლის ბრაგუნით დაუარა
ციხე-კოშკს ირგვლივ
და იქ შეჩერდა, სადაც იგრძნო
სიცარიელე.
გამოანგრია იმ ადგილას
კედელი ციხის
და კედლის უკან ციხის კარი
აღმოაჩინა.
როდესაც მეფის ქალს აცნობეს

ეს, ქალიშვილმა
ვაჟს მაშინათვე მოციქული
გამოუგზავნა:
„ჰე, დაფარული საიდუმლო
ვინც ამოხსენი,
ბედსაც ეწევი შენ, ისეთი
მარჯვე ხარ, გატყობ.
ჯერე იყო და თილისმების
მუღამს მიუხვდი,
მერე კი ცეხის საიდუმლო
კარს მიაგენი.
ახლა ადექი და ქალაქში
ჩადი აქედან,
ორი დღე კიდევ მოითმინე,
თუ შეგიძლია.
ორი დღის შემდეგ მეც ჩამოვალ
მამის სრასახლში
და იქ გამოგცდი საბოლოოდ,
ვით საჭიროა.
ოთხ კითხვას მოგცემ, მეტს კი არა
და თუ შენ შეძლებ,
რომ ამომიხსნა სწორად ოთხი
ის ამოცანა,
მაშინ, რას გეტრჩი, შევასრულებ
ჩემს დაპირებას,
შენ გეცოლები, გიცნობ ქმრად და
მეყვარებიო!“
სასიძოს მეტი რა უნდოდა,
მობრუნდა უკან
და გაემართა რუსთა მეფის
სასახლისაკენ.
ქალაქის კედელს რომ მიადგა,
მისწვდა კისკასად,
ქალის სურათი ჩამოგლიჯა
ალაყაფიდან,
დახვია კარგად, მონას მისცა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესანახავად.
მთელმა ქალაქმა სიხარულის
ტაში შემოჰკრა.
შემდეგ ჩამოხსნა ის თავები
ზედ რომ ეკიდა
ალაყაფის თავს და ტანებთან
დაამარხვინა.
შინ გაემართა, მისდევდა და
ლოცავდა ხალხი.
მუტრიბი იხმო და გემოზე
დააკვრევინა.
ნესარს აყრიდნენ თავზე
ყმაწვილს მოქალაქენი.
წითელ-ყვითლებით მორთეს სახლის
ბანი და კარი.
მთელი ქალაქი შეიფიცა
ასეთი ფიცით:
„თუ ჩვენმა მეფემ არ ისურვა
ეს ვაჟი სიძედ,
მაშინ ჩვენ თვითონ დავამხობთ ჩვენს
ღვთის რისხვა მეფეს
და სახელმწიფოს ამ ღირსეულ
ყრმას ჩავაბარებთ!
რადგანაც იგი ტყავს გვაძრობდა
და თავებს გვჭრიდა,
ამან კი გვიხსნა და გადადო
ჩვენთვის თავით!“
იქით ის ქალი მეცხრე ცაზე
იყო ასული.
ოღონდაც! ცოლად მიჰყვებოდა
ღირსეულ ვაჟკაცს.
      როდესაც ღამემ მუშკის უპეს
გაუხსნა თავი
და მთვარის საფენს სურნელება
გადმოაფრქვია,
ქალწული ჩაჯდა ტახტრევანში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გახარებული.
ქათქათა მთვარე თან იახლა
მოსამსახურედ.
იმ მთიდან მამის სასახლეში
ჩამოქვეითდა
და წალკოტივით ააყვავა
იქაურობა.
მეფემ თავისი ქალიშვილი
რომ დაინახა,
ფრთები შეესხა, ცას ეწია
სიხარულისგან.
გოგოს მამისთვის არაფერი
არ დაუმალავს,
წვრილად მოუყვა ყველაფერი,
რაც ჩაიდინა.
უამბო, მისმა გულოვანმა
მხედრებმა როგორ
გათხარეს სხვისთვის ჭა და თვითონ
როგორ ჩაცვივდნენ.
მოუთხრო მათზე, მისი ცოლად
შერთვა რომ ჰსურდათ
და სათითაოდ კოშკის გზაზე
რომ დაიღუპნენ.
ბოლოს უამბო ისიც ერთმა
ხელმწიფის ვაჟმა
როგორ გადადო თავი მისი
სიყვარულისთვის.
როგორ მოვიდა აქ, კლდესავით
ვით დადგა მაგრად
და ვით დალეწა სათითაოდ
ყველა თილისმა.
როგორ ჩაიგდო მისი კოშკი
გულადმა ხელში
და ქალს პირობის შესრულება
როგორ მოთხოვა:
„სამი პირობა შევასრულე

ოთხისგან უკვე,
მეოთხის საქმე, მოპასუხე,
ვით იქნებაო?“

მეფე გაკვირდა: „ეს მეოთხე
კიდევ რაღაა?
პირობა ერთი თქმულა, ოცი
არ მსმენიაო“.
ქალმა მიუგო: „ოთხი კითხვა
უნდა მივსცე მას,
ოთხივე ძნელად საპასუხო,
საბედისწერო.
თუ მიპასუხა იმ ნართაულ
ოთხ შეკითხვაზე,
გვირგვინს დავარქვამ თავზე ნიშნად
გამარჯვებების,
მაგრამ საცოდავს თუ ტალახში
ჩაეფლო ვირი,
გუდა-ნაბადი აიკრიფოს
უნდა აქედან!
ასე შევთანხმდეთ: ხვალ როგორც კი
კარგად ინათებს,
შენ დაბრძანდები დიდებულად
სამეფო ტახტზე.
ვაჟს, როგორც სტუმარს საპატიოს,
მოიწვევ შენთან,
მე კი დარბაზში ფარდის უკან
დავიმალები.
იქიდან მივცემ იმ შეკითხვებს,
ძნელსა და ნართაულს,
იფიქროს კარგად და პასუხი
ისე გამცესო“.
მეფემ მიუგო: „კეთილი და
პატიოსანი;
რასაც შენ იტყვი, მეც იმისი
თანახმა ვარო!“
ასე შეთანხმდნენ, ამის მეტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არც რამე უთქვამთ,
თავ-თავის საწოლს მიაშურეს
და დაიძინეს.
        დილაზე, როცა ზეცის ჩარხმ
მინის მაგვარმა
მიწას ხოშორა მოაყარა
იაგუნდები,
მეჯლისი მორთო საკადრისი
რუსის ხელმწიფემ.
ილბალი ფეხზე ედგა ხელზე
მოსამსახურედ.
შეკრბა დარბაზი, დასხდნენ მძიმედ
დიდებულები
(სამართლის მქნელი იყო ყველა
და მართლის მთქმელი).
ბრძანა მეფემ და უფლისწული
შემოიყვანეს.
ტკბილად მიიღო, თავზე თვლები
გადააყარა.
ოქროს მაგიდა გაწყობილი
იყო ვეება,
ზედ სანოვაგე და ჭურჭელი
ვერ ეტეოდა.
სუფრაო, ვიტყვით, სუფრა იყო,
მაგრამ რა სუფრა!
სულო და გულო, რა გინდოდა
ზედ არ დგმულიყო.
        როცა იჯერეს ჭამით გული
მეფის სტუმრებმა
და გუნებაზე მოდგნენ კარის
დარბაისელნი,
ხელმწიფემ ბრძანა, გასულიყვნენ
ხასის დარბაზში,
ბაჯალლო ოქრო სასინჯი ქვით
რომ გაესინჯათ.
თავად ხალვათად დაიკავა

ტახტი ხელმწიფის,
ხოლო სტუმარი სტუმრის კუთვნილ
ადგილზე დასვა.
იჯდა ქალის წინ და ფიქრობდა:
ამ გოგომ ნეტა
საცოდავ საქმროს რა ოინი
უნდა უყოსო?
და თერაზელმა თოჯინების
მასწავლებელმაც
ფარდის იქიდან თოჯინების
თამაში იწყო:
ორი ხოშორი მარგალიტი
მოიძრო ყურით,
მეჭურჭლე იხმო და ორივე
მას ჩააბარა;
უთხრა: „წაიღე ესენი და
სტუმარს მიართვი,
მერე მობრუნდი და პასუხი
მომიტანეო!“
წავიდა მყისვე ის მეჭურჭლე
და, ვით უბრძანეს,
სტუმარს მიართვა ის ხოშორა
მარგალიტები.
ვაჟმა მეჭურჭლეს გამოართვა
გამოგზავნილი
და თითქოს განძად ინახავდა,
ისე აწონა.
შემდეგ კი სამი მარგალიტი,
იმ ორის ტოლი,
აიღო ხელში და დაადო
ქალის მორთმეულს.
ხუთივე ერთად იმ მეჭურჭლეს
ჩაუდო ხელში
და დააბარა: „ხელმწიფის შვილს
მიუტანეო!“
გულქვამ ხუთივე მარგალიტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთად რომ ნახა,
გასინჯვა უწყო, ერთმანეთის
ტოლი თუაო.
მარგალიტების ქვით აწონვას
მორჩა თუ არა,
აილო ქვა და ქვიშასავით
დაფშვნა ისინი.
ცოტა შაქარი დაუმატა
მარგალიტის ფხვნილს
და ერთმანეთში არეული
ხელახლა დაფხვნა.
მოსამსახურეს უთხრა: „სტუმარს
მიმირთვი ესო!“
მიუხვდა ვაჟი, გოგოს ამით
რისი თქმაც სურდა;
მოატანინა რძე, იმ რძეში
ჩაყარა ფხვნილი
და მოციქულად მოსულს უთხრა:
„გამომართვიო!“
მსახური უკან გამობრუნდა
და მოუტანა
ქალს, რაც სტუმარმა
ეს-ეს იყო, გამოატანა.
ადგა ის ქალიც და რძე იგი
იქვე დალია,
ხოლო ნაფხვენი, დალექილი,
ცომად მოზილა.
შემდეგ კი ფხვნილი დარჩენილი
აწონა ისევ
და რომ დარწმუნდა, ლექს წონაში
არ აქლიაო,
ერთი ბეჭედი ბროლის თითით
წაიძრო მყისვე
და სასიძოსთან გაატანა
წერწეტა მხევალს.
ვაჟმაც ბეჭედი გამოართვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მაშინათვე
იქვე წაიცვა თითზე კდემით
და მოწიწებით.
პასუხად მსხვილი მარგალიტი
გადასცა მხევალს,
თვალისმომჭრელი, შუქით ღამის
მანათობელი.
მობრუნდა უკან ის მხევალი
ჰურიის მსგავსი
და ის ობოლი მარგალიტი
იმ ლალს გადასცა.
ნებზე დაიდო მარგალიტი
მეფის ასულმა,
შემდეგ შეიხსნა, ყელზე მძიმე
მძივი რომ ება,
შიგ ერთი მსხვილი მარგალიტი
გამოარჩია,
ისიც ელვარე, ისიც ღამის
მანათობელი,
შემდეგ ორივე მარგალიტი
ააცვა ერთად
(ვერ გაარჩევდით ვერაფრით ერთს
მეორისაგან).
წავიდა მონა და მიართვა
ზღვას მარგალიტი,
ზღვას მარგალიტი მიართვა, ვთქვი?
მზეს ხომლი მისცა.
ვაჟმა ისინი ატრიალა
იქით და აქეთ,
მაგრამ ვერაფრით განასხვავა
ერთმანეთისგან.
ცხადი ეს იყო, მარგალიტი
რომ ორი იყო.
თორემ სხვაობას სხვას ვერაფერს
ვერ უპოვნიდით.
მაშინ ყმაწვილმა რუსთა მეფის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სასახლის მხევლებს
სთხოვა, სასწრაფოდ მოეტანათ
ცისფერი მძივი.
იმ მარგალიტებს დაადო ზედ
ის მძივი მძიმე
და მხევალს მისცა ქალწულისთვის
გადასაცემად.
ქალმა როდესაც მარგალიტებს
და მძივს შეხედა,
ვერ შეიკავა სიხარული
და გაიცინა.
გამოგზავნილი გამოართვა
და მაშინათვე
მკლავზე შეიბა მძივი, ყურზე —
მარგალიტები.
შემდეგ კი მამას ასე უთხრა:
„შეუდექ საქმეს,
მეყო, რაც ბედი ვცადე ჩემი
და რაც ვინაზე!
შეხე, იღბალმა გამიღიმა
როგორ, მეუღლედ
ლირსებით სავსე ვაჟი როგორ
ამარჩევინა!
ქმარი ვიშოვნე იმისთანა,
მისი ბადალი
არა მგონია, დუნიაზე
ვინმეს რომ ჰყავდეს.
ჩვენ ხომ ვართ ცოდნის მოყვარულნი
და მცოდნე, მაგრამ
ამის ცოდნასთან ჩვენი ცოდნა
როგორ მოვაო!“
ეამა მეფეს ქალიშვილის
ასეთი სიტყვა
და უთხრა გოგოს, ფერიის დარს:
„ჰე, ანგელოზო,
რაც მე აქ დღეს შენს შეკითხვას და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მის პასუხს ვუჭვრეტ,
გაოგნებული ვარ, რა მოხდა,
ვერ გამიგია.
მითხარი, ან შენ რა კითხვები
დაუსვი იმ კაცს
ანდა მან თვითონ რა და როგორ
გიპასუხათ?“
სულ ფერებაში გამოზრდილმა
მეფის ფერიამ
აუხსნა მამას მათი ქცევა
და ნარ-ოაული:
„ვაჟის გამოცდა, — მიუგო მან, —
იმით დავიწყე,
რომ მოვიხსენი ყურებიდან
საყურეები.
იმ ორ მარგალიტს რომ ვაძლევდი,
ვეუბნებოდი:
ორი დღისაა ეს ცხოვრება,
შეიგნე-მეთქი!
მან ორ მარგალიტს კიდევ სამი
რომ დაუმატა,
ამით ეს მითხრა: ხუთიც იყოს,
ცოტა არისო.
მე მარგალიტებს შაქრის კბილი
რომ დავადევი
და მერე ერთად რომ დავფხვენი
გირით ისინი,
ამით ვთქვი: ვნება და სიცოცხლე
ერთად არიან,
ვით მარგალიტი და შაქარი
აი, ამ ფხვნილში.
ჯადო იხმარე გინდა, გინდა
შელოცვა უწყე,
ვერ მოაცილებ, ტყუილია,
ერთმანეთს-მეთქი!
მან რომ რძე ასხა შაქრისა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარგალიტის ფხვნილს,
მარგალიტი რომ დარჩა, ხოლო
შაქარი დადნა,
ამით ეს მითხრა: თუ შაქარი
მარგალიტს ერთო,
წვეთი რძე კმარა, მას შაქარი
მოაცილოსო.
მე რომ რძე იგი შევსვი, ამით
ვაჟს გამოვუტყდი;
ძუძუმწოვარა ჩვილი ვარ მე
შენს გვერდით-მეთქი.
შემდეგ ბეჭედი გავუგზავნე
და მით თანხმობა
მივეცი ამ ვაჟს, მისი ცოლი
გავმხდარიყავი.
მან რომ პასუხად მარგალიტი
გამომიგზავნა,
ამით ეს მითხრა: ჩემს ცალს ქვეყნად
ვერ იპოვნიო.
მე რომ ეს ჩემი მარგალიტი
მას შევუტყუპე,
ამით ვუთხარი: მე ვარ შენი
სწორფერი-მეთქი!
მან რომ იმ წყვილი მარგალიტის
ტოლი და სწორი
სხვა მარგალიტი რომ ვერ ნახა
ვერსად მესამე,
ცისფერი მძივი მოითხოვა
და ის დაურთო, —
თვალი არ ეცეს სწორუპოვარ
წყვილ მარგალიტსო!
მე რომ ის მძივი მაშინათვე
მკლავზე შევიბი,
ამით ვუთხარი: თანახმა ვარ,
გამოგყვე-მეთქი!
ბეჭედი მისი სიყვარულის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაჭდვია გულზე,
ხაზინა ჩემი მისი ბეჭდით
მაქვს დახშულიო“.
მეფემ რა ნახა ჭირვეული
მორჯულებული,
ასული მისი — თასმასავით
ამყოლ-დამყოლი,
ისე მოიქცა, როგორც ასეთ
დროს შეჰფეროდა, —
მამა იყო და დაიჭირა
ქორწილის რიგი.
გვირგვინი უსკვნა გოგოს და ბიჭს
რუსის ხელმწიფემ
და შეაერთა მზე და მთვარე
ერთიმეორეს.
ედემის ბაღის მსგავსი იყო
ქორწილი მათი.
მუშკი და უდი იკმეოდა
ირგვლივ საამოდ.
არ დაუკლია არაფერი,
რაც ქორწილს უნდა,
სარო და ვარდი დასვა, თავიდ
ფეხზე დაუდგა.
როცა დააცხრა ლალს ყრმა
ლალის მაძიებელი,
გულწასულს ისევ დაუბრუნდა
საგულეს გული,
სახე უკოცნა ხან, ხან კიდევ
ტუჩებში კოცნა,
ხან ბროწეული კბიჩა მისი,[15]
ხან — ინდისხურმა.
ბოლოს ალმასმა მარგალიტი
დაიპყრო ბრძოლით
და ზედ დააჯდა ხოხობს ქორი
გამარჯვებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მკლავზე უნახა მისი მძივი
ხელმწიფის ასულს,
ხოლო თვალებში მისი ტრფობა
ამოიკითხა.

ფირუზისფერი სასახლე

იყო მისრეთში ერთი ვაჟი
სახელგანთქმული.
მაჰანს უხმობდნენ იმ ღირსეულ
ყმაწვილს სახელად,
ოსებს ჰგავდა მშვენიერს ის
თვალად და ტანად,
პირმოელვარე კაცი მასთან
ზანგად მოჩანდა.
ისე უყვარდა ამხანაგებს
მაჰანი, თვალში
რომ ჩავარდნოდათ, ერთხელ ხელს არ
ამოისვამდნენ.
ასეთი ჩვევა ჰქონდათ მას და
მის ამხანაგებს,
დაქეიფობდნენ ხოლმე ცის ქვეშ
დღეგადაბმულად.
ერთხელ რომ ერთი მიიწვევდა
მეგობრებს სახლში,
სხვა დროს მეორე ამხანაგი
იპატიჟებდა.
ერთ დღეს მაჰანის ერთმა დოსტმა
დიდგვაროვანმა
სუფრა გაშალა და მაჰანიც
სტუმრად იწვია.
ჰგავდა ედემის ბაღს იმ ვაჟის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წალკოტი, ხოლო
მოქეიფენი შიგ ვარდივით
იფურჩქნებოდნენ.
შუალამემდე დრო ატარეს
ბაღში ტოლებმა,
ღვინოს წრუპავდნენ ხან, ხან კი ხილს
შეექცეოდნენ.
გულს იხარებდნენ ქეიფით და
დროის ტარებით,
ჩიტის რძე — ჩიტის რძე რომ არის,
ისიც არ აკლდათ.
შებინდდა, ღამემ ზე აღმართა
მუშკის ალამი,
კუპრის ყალამმა ვერცხლი შაედ
მოასევადა;
ქეიფის ემხში შესულები
ვერ თმობდნენ სუფრას
და იღვრებოდა თასით ღვინო
და პირით — ჰანგი.
ვერ შეელიენ სამოთხის ბაღს,
ვერა და ვერა.
შეჰყვნენ და შეჰყვნენ ღვინის სმას და
დროის ტარებას.
მთვარეც იმგვარად ანათებდა
ირგვლივ მიდამოს,
ღამე არისო, კაცი მართლა
ვერ იფიქრებდა.
დათვრა მაჰანი და წამოდგა
სუფრიდან მთვრალი,
ბაღს ანათებდა მთვარე, წყარო
კი ჟღურტულებდა.
იბორიალა დიდხანს ბაღში
მხარაქცეულმა,
დანაკისკუდის კორომს სანამ
არ მიაღწია.
ვიღაცა მისკენ მომავალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაცი ლალანდა.
ესა და ეს ვარ მეო! — ესმა
მთვრალს ნაცნობი ხმა.
მაჰანმა იცნო, ამხანაგი
იყო ის კაცი,
მასთან ვაჭრობდა მისი საქმის
თანაზიარი.
ყრმას გაუკვირდა: „აქ საიდან
ან როგორ გაჩნდი,
ასე უდროო დროს აქ მარტო
რას აკეთებ?“
მიუგო მაჰანს ამხანაგმა:
„შორიდან მოვალ
და ერთი სული მქონდა, სანამ
შენ შეგხვდებოდი.
კარგად ვივაჭრე, მოგებული
დავბრუნდი უკან.
ხელი ვნახეთ ისეთი, რომ
მადლობას მეტყვი.
გვიანი იყო, ქალაქის კარს
რომ მოვადექი,
ალაყაფები ჩაეკეტათ,
შიგ ვერ შევედი.
ქალაქის გარეთ მდგარ ქარვასლას
მივმართე მაშინ,
იქ დავბინავდი და დავხსენი
ქარავანს ტვირთი.
შენზე რომ მითხრეს, სტუმრადაა,
შენ არ არისო,
მაშინვე შენთან შესაყრელად
გამოვეშურე.
არ იქნებოდა ცუდი, მაჰან,
ავმდგარიყავით
და ქალაქისკენ რომ აგველო
ახლავე გეზი.
მოდი, სიბნელით ვისარგებლოთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ნახევარი
გადავუმალოთ ბაქის ამღებს
საქონელიო“.
მთვრალმა მაჰანმა, საქმის სარფით
გახარებულმა,
მხარი აუბა მაშინათვე
თავის ამხანაგს,
ჩუმად გააღეს ბალის კარი
და გაიპარნენ
ისე, რომ მათთვის თვალი არვის
არ შეუსწრია.
ქალაქისაკენ მიმავალ გზას
დაადეს თავი.
მამლის მეორედ ყივილამდის
არ ჩაუმუხლავთ.
წინ ამხანაგი მიდიოდა
გამალებული,
ხოლო მაჰანი მისდევდა მას
უკან მტვერივით.
ასე იარეს კარგა ხანი,
სანამდის მაჰანს
ისარი მიზანს აცდენილი
არ მოეჩვენა.
„აქედან, — თქვა მან, — ზედ ნილოსის
ნავსადგურამდე
ერთ მილზე მეტი არ იქნება,
ვიცი, მანძილი.
ჩვენ კი ოთხ ეჯზე მეტი გზა გვაქვს
გავლილი უკვე.
გზას უნდა ვიყოთ აცდენილი,
ასე ვატყობო“.
მაგრამ შემდეგ კი გულში ისევ
თქვა: „ნასვამი ვარ
და, ალბათ, მიტომ შემეშალა
მთვრალს ანგარიში;
თორემ ძმაკაცი მიმიძღვება

წინ, ხოლო იგი
ფხიზელიც არის და ამ გზაზეც
ნავალიაო“.
        და მიდიოდნენ იმ ღამეში
ორივე ერთად,
წიმ მიმავალი — ჩქარა, ხოლო
მიმყოლი — ნელა.
მაჰანი როგორც კი ცოტაზე
ჩამორჩებოდა,
შეჩერდებოდა ამხანაგი
და უძახოდა.
ასე იარეს მთელი ღამე
შეუსვენებლად
მანამდის, სანამ არ გათენდა,
ბოლოს და ბოლოს.
ხოლო როდესაც ფრთა გაშალა
დილის ფრინველმა
და კაცის თავი გაიწმინდა
ზმანებათაგან,
როცა ლანდების მოჩვენებას
მიჩვეულები
განთავისუფლდნენ ჩვენებათა
მოლანდებისგან,
გაუქრა მაჰანს ამხანაგი
თვალს და ხელს შუა.
დარჩა მარტოკა უდაბნოში,
გაგიჟდა კაცი.
ფეხზე ვერ იდგა თან ნამგზავრი,
თან ნამთვრალევი.
მოეჭრა მუხლი და დაეცა
მოცელილივით.
ელვენთებოდა კანდელივით
ცრემლები ცხელი.
ბოლოს კი იქვე მიეძინა,
გასავათებულს.
        ეძინა ასე შუადღემდე

ცის ქვეშ მკვდარივით,
სანამდის თავზე თაკარა მზემ
არ დააჭირა.
გამოახილა საცოდავმა
თვალი თუ არა,
მიმოიხედა მაშინათვე
აქეთ და იქით,
ბალი ეძება, მაგრამ ბალი
ვერ ნახა ვერსად,
სევდით ალსავსე გული შერჩა
მხოლოდ და მხოლოდ.
ირგვლივ ქვაბები აფჩენდნენ პირს
და ქვახვრელები,
უხსენებლებით სავსე იყო
იქაურობა.
ფეხების თრევა არ შეეძლო,
მაგრამ როგორმე
უნდა გაცლოდა მეყვსეულად
იმ არემარეს.
ძლივს იდგა ფეხზე, მაგრამ მაინც
წინ მიიწევდა,
ვიდოდა, მაგრამ არც იცოდა
სად მიდიოდა.
სანამდის ღამის არ ჩამოწვა
ირგვლივ წყვდიადი,
მანამ ლანდისაც საკუთარის
კი ეშინოდა.
როდესაც ღამემ გაღაღება
შავად ქვეყანა
და დედამიწა გამთეთრებლის
საქმეს დაეხსნა,
დაეცა ერთი დიდი ქვაბის
ახლოს მაჰანი,
დამფრთხალს ბალახიც
უხსენებლად ეჩვენებოდა.
იმ ჯოჯოხეთში ეგდო ერთხანს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულშემოყრილი,
როცა ბუჩანში წასულს კაცის
ხმა შემოესმა.
რომ გააღილა თვალი, ორი
არსება ნახა.
ერთი მათგანი ქალი იყო,
მეორე — კაცი.
ორივეს ზურგზე მოეკიდა
ვეება ტვირთი
და ქედმოხრილნი თავის გზაზე
ძლივს მიდიოდნენ.
კაცმა რომ გზაზე დავარდნილი
ყრმა დაინახა,
ქალი დააგდო და დაადგა
დავარდნილს თავზე.
„ეჰე, ძმობილო, — დაუძახა
მიწაზე განრთხმულს, —
სადაური ხარ, აქ რა ქარმა
გადმოგაგდო?“
ვაჟმა მიუგო: „ჩემი საქმე
საკვირველია.
უცხოელი ვარ მე და მაჰანს
მეძახიან.“
იმ კაცმა ისევ ჰკითხა: „ძმაო,
აქ როგორ მოხვდი?
ეს უდაბნოა, კაცის მოდგმა
აქ არ ჭაჭანებს.
ამ ვერან მხარეს ავსულები
დაძრწიან მხოლოდ,
ლომი რომ ლომი არის, მათი
შიშისგან ძრწისო“.
„ღვთის გულისათვის, — შეევედრა
მაჰანი იმ კაცს, —
გამოიჩინე, ღმერთი თუ გწამს,
ღვთისნიერება!
მე ჩემი ნებით არ მოვსულვარ

ამ უდაბნოში.
რა ავი სული, მეც შენსავით
ადამის ძე ვარ.
გუშინდელი დღე გავატარე
სმასა და ლხინში,
ერამის ბაღში ვიყავ სტუმრად
და ვნეტარებდი,
გამომეცხადა ამხანაგის
სახით ვიღაცა,
თანაზიარი ვარ მე შენი
საქმისო, მითხრა.
იმ სამოთხიდან მომიყვანა
ამ ჯოჯოხეთში.
მე აქ დამაგდო, ხოლო თვითონ
გადაიკარგა.
არ ვიცი, რამე შეეშალა
იმ ჩემს ამხანაგს
თუ მიმუხთლა და საგანგებოდ
აქ მომიტყუა.
კაცი არა ხარ? ღვთის გულისთვის
წყალობა ქენი,
აქცეული მაქვს მხარი, გზაზე
გამიყვანეო!“
იმ კაცმა მაჰანს ასე უთხრა:
„ჰეი, ყმაწვილო,
ბეწვზე ხარ სიკვდილს, ეს იცოდე,
გადარჩენილი.
შენ რომ ამხანაგს ეძახი, ის
ეშმაკი იყო,
უდაბნოს ჰაილს უწოდებენ
იმას სახელად.
ვინ მოთვლის, რამდენს აუბნია
გზა შენისთანას
და სასიკვდილოდ მოიტყუა
ამ უდაბნოში!
ნუ გეშინია, მე და ჩემი

ქალი გიშველით,
ამალამ გზაში გიპატრონებთ
და დაგიფარავთ.
გამაგრდი, ძალი მოიკრიფე,
ჩვენ არ ჩამოგვრჩე!
წინ წაგიძღვები მე, უკან კი
ეს მოგყვება“.
გაჰყვა მაჰანი იმ ორ უცნობ
მგზავრს უდაბნოში
და მთელი ღამე მიდიოდნენ
თავდაღებულნი.
გათენებამდე ერთხელ სულიც
კი არ ძოუთქვამთ.
კუდში მისდევდა ბიჭი თავის
კეთილისმყოფელს.
დილით, როდესაც მამლის დადგა
ყივილის ჟამი
და განთიადმა აქლემს ოქროს
ქოსი აჰკიდა,
მაჰანს ორივე თანამგზავრი
თვალს და ხელს შუა
ისე გაუქრა, თავად არც კი
შეუმჩნევია.
შიშისგან იქვე ჩაიკეცა
მოცელილივით
და გაუნძრეველად ეგდო ერთხანს
სასომიხდილი.
როცა ალმოხდა კაშკაშა მზე
ალმოსავლეთით
და ღამის სისხლი დაანთხია
დედამიწაზე,
ერთ მაღალ ქედზე, როგორც იქნა,
აფოფხდა ფორთხვით,
ვეფხვებით სავსე მთები მთებზე
ნახა განრთხმული.
შიმშილისაგან ძალა ჰქონდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოლეული,
(ჯერ არაფერი არ ეჭამა
მას შიშის მეტი).
მცენარის თესლებს და ბალახის
ფესვებს ლეჭავდა
და მუცელს ასე იტყუებდა
გამგელებული.
არ ეგებოდა იქ დადგომა
და გაჩერება,
მაგრამ არც სადმე წასასვლელი
გზა ჩანდა ირგვლივ.
დალამებამდე ბლოტვა-ბლოტვით
მთა-მთა იარა.
მობეზრდა თავი და სიცოცხლე
ალარ უნდოდა.
როცა შელამდა და სიბნელე
ჩამოწვა მთებში,
წამოწვა ისიც, არაქათი
არ ჰქონდა მეტი.
ცხრილი იპოვა ერთი ლრმა და
შიგ ჩაიმალა —
ირგვლივ მხეცები დაძრწიან და
არ შემჭამონო!
ძილ-ღვიძილში მყოფს შემოესმა
ცხენის თქარუნი,
და ცოტა ხანში ცხენოსანი
წაადგა თავზე.
ერთ ბედაურზე თავად იჯდა
ის კაცი, ხოლო
მეორე ცხენი, სამარჭაფო,
ხელით ეჭირა.
როცა მაჰანთან უფრო ახლოს
მოდგა მხედარი
და კაცი ნახა ქვებს და ლოდებს
მოფარებული,
უყვირა მაჰანს: „ვინა ხარ მანდ,

ჩქარა მითხარი;
აქ რას აკეთებ, ამ მთებში რამ
ამოგიყვანა?
თუ გულის შენის საიდუმლო
გითქვამს, ხომ კარგი,
და თუ არადა, ახლავე ხმლით
თავს წაგაცლიო!“
არქვა მაჰანმა, დამფრთხალმა და
შეშინებულმა:
„ოღონდ მისმინე და ახლავე
გეტყვი, ვინა ვარ!“
უთხრა თუ არა ეს, უამბო
იმ კაცს, ვინც იყო,
რა დაემართა და ამ მთებში
როგორ აღმოჩნდა.
მისი ამბავი ცხენოსანმა
რომ მოისმინა,
ისე განცვიფრდა, ხელის ზურგზე
იკბინა ლამის.
თქვა: „ფუი, ეშმაკს! ალაჰს უნდა
უძღვნა მადლობა,
განსაცდელისგან რომ მშვიდობით
გადაგარჩინა.
ის ორი სული, უდაბნოში
შენ რომ შემოგხვდა,
ორი ეშმაკი (დედალი და
მამალი) იყო.
გზას აცდენენ კაცს და ხრამში
გადაჩეხავენ,
მამლის ყივილზე გაქრებიან
თვალს და ხელს შუა.
დედალს სახელად ჰილა ჰქვია,
მამალს კი — ლილა.
მათი ხელობა სიავე და
ბოროტებაა.
ღმერთს უმადლოდე, რომ ცოცხალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადურჩი იმათ.
ახლა კი ადე ზეზე ჩქარა,
ნუ დააყოვნებ!
უნდა ვიჩქაროთ, დრო არა გვაქვს
დიდხანს საუბრის.
შეჯექი ფიცხლად მარქაფად რომ
მომყავს, იმ ცხენზე.
შენ მე გამომყევ, ხოლო გული
უფალს მიანდე
და თავს დაიხსნი საშინელი
განსაცდლისგანო!“
ძლივს აითრია დავარდნილმა
მაჰანმა წელი
და გრიგალივით მავალ ცხენზე
ჯახირით შეჯდა.
წინ მიმავალი ცხენს იმგვარად
მიაგელვებდა,
რომ უკან მისგან გაკვეთილი
ქშუოდა ქარი.
ასე იარეს კარგა ხანი,
სანამდის ბოლოს
ის კლდე-ღრეები და მთა უკან
არ მოიტოვეს.
გამოჩნდა ერთი დაცემული
ტრამალი ველი,
ისეთი სწორი, ვით — რა გითხრათ? —
ვით ხელისგული.
ირგვლივ ისმოდა საამო ხმა
ქნარის და ჩანგის,
ნიავს გალობის და სიმღერის
ჰანგი მოჰქონდა.
მარჯვნიდან ვილაც უხმობდა მგზავრთ:
„აქეთ, აქეთო!“
მარცხნიდან კიდევ — „გაამოთო!“ —
ვილაც ყვიროდა.
მწვანე და ნეშო არსად ჩანდა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამაგიეროდ
მავნე და ეშმა ფუთფუთებდა
მინდორზე ირგვლივ.
ისე დაეფრთხო მავნებელს და
მაცდურს ის მხარე,
ველად გარბოდნენ მთები, ხოლო
მთაში — ველები,
ეხონხლებოდა ზურგზე ქაჯებს
ქაჯების ხროვა
და იდგა ირგვლივ მათი ლრენა
და ლრიანცელი.
კორიანტელის ამყენებელს
მოჰგავდნენ ეშმას
და თიმთიმებდნენ შავად გრძელი
წურბელებივით.
ბოლოს და ბოლოს, იმისთანას
მიადგნენ აღგილს,
მიწით აღმდგარი ლრიალი რომ
ზეცას სწვდებოდა.
ეშმათა როკვის, ხტუნვის, ზრუნის
და ლრიანცელის
სოდომ-გომორი ადამიანს
ტვინს უდუღებდა.
რაც უფრო ველზე წინ წავიდნენ,
იმ ლრიანცელმა
უფრო იმატა და ქაჯებიც
უფრო გახშირდნენ.
არ გაუვლია კიდევ დიდხანს
და შორიახლოს
აურაცხელი ჩირაღდანი
აენთო წითლად.
უცბად, სად იყო და სად არა,
გამოაბოტეს
ველზე ვეება, მაჯლაჯუნა,
ოჩოკოჩებმა.
ზანგივით შავებს დაფჩენილი

ჰქონდათ ლაშები,
ფისი ემოსათ კაბად, ქუდად
კუპრი ეხურათ.
თავზე რქა ედგათ და ხორთუმი
ეკიდათ ცხვირზე.
(სპილოს ჯილაგიც ჰქონდათ, ალბათ,
და ხარის ჯიშიც).
ხელში მხრჩოლავი დაეჭირა
მაშხალა ყველას
და ჯოჯოხეთის მაშხალასაც
ამითაც ჰგავდნენ.
ცეცხლს მოაფრქვევდნენ ხახებიდან
ბლუჯად და ბლუჯად,
რაღაც მათებურ ლექსს ღნაოდნენ
და ხორხოცებდნენ.
მაჰანის ქურანს დაფა-ზურნის
ხმა რომ მოესმა,
თვითონაც ცეკვა მოესურვა
და როკვა იწყო.
ცხენის ასეთი საქციელით
გაკვირვებულმა
მხედარმა დაბლა დაიხედა,
რატომ ცეკვავსო?
თქვენს მტერს, რაც იმან იქ იხილა:
ცხენზე კი არა,
ურჩხულზე იყო საცოდავი
ამხედრებული.
ოთხ ფეხზე იდგა ცხოველივით,
ორი ფრთა ესხა.
ეს კიდევ რაა, შვიდი თავი
ება დევივით.
გაკვირდა, მაგრამ ნეტა რაა
აქ საკვირველი, —
განა ცარგვალიც რა, შვიდთავა
დევი არ არის?
მაგრად ჩაავლო ხელი ურჩხულს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიჭმა ქეჩოში
და შემოარტყა სარტყელივით
ფეხები წელზე.
ურჩხული რისი ურჩხულია, —
გავეშებული
რას არ შერებოდა და რა ფანდებს
არ იგონებდა!
გაცოფებული ფლოქვს მიწაზე
სცემდა და სცემდა,
იგრიხებოდა საბელივით
და ისკვნებოდა.
თითქოს ნაფოტი ყოფილიყო
მისი მხედარი,
უცბად მოვარდნილ ნიაღვრისგან
ატაცებული,
მაჰანს ხან აქეთ მიაგდებდა,
ხან კიდეც — იქით.
ქანცი გაუწყდა კაცს, დაიმსხვრა
და დაილეწა.
მიაქროლებდა მხედარს დევი
თავაშვებული,
ხან ალმართებზე მიათრევდა,
ხან დალმართებზე.
კაცს ჯერ ბურთივით აისროდა
ზურგიდან მაღლა,
მერე კი ზურგზე მოიგდებდა
გასავათებულს.
ასე ათრია და აწამა
მაჰანი, მანამ
არ ირიჟრაჟა და მამალმა
არ დაიყივლა.
როდესაც დილა ლამის ვეშაპს
დაუსხლტა ხელით.
მხედარს ურჩხულმა ძირს ზღართანი
მოადენინა.
ეაქრა ურჩხული და გნიასიც

შეწყდა მაშინვე.
შეწყვიტა შავი ფისით სავსე
ქვაბმა დუღილი.
როცა ურჩხულმა გადმოაგდო
მხედარი მისი,
დაჰკარგა გონი მაშინათვე
ჩვენმა მაჰანმა.
კარგა ხანს ეგდო გზაზე ასე
გონდაკარგული,
კაცი იტყოდა, დაჭრილია
ანდა მკვდარიო.
როდესაც სიცხემ დააჭირა
და დააჭირა,
გონზე მოვიდა ტანჯული და
შეჭირვებული.
გამოიღვიძა, მოიფშვნიტა
თვალები ჯერე,
მერე წამოდგა და გარშემო
მიმოიხედა.
ვრცელი უდაბნო იყო ირგვლივ
გადაჭიმული,
თავი და ბოლო რომ არ ჰქონდა
არსად, ისეთი.
ფერადი ქვიშა ელვარებდა
და ლივლივებდა,
წითელი, როგორც სისხლი, მწველი,
ვით ჯოჯოხეთი.
კაცის დასჯის დროს ლესულ ხმალს რომ
მაღლა ასწევენ,
გამოიტანენ ნატს და ქვიშას
მოაყრიან ზედ,
ისეთი იყო ის უდაბნოც:
მზე მაღლა იდგა
და მიწის ნატზე სისხლისმსმელი
ქვიშა ეყარა.
მაჰანმა, წუხელ იმნაირმა

ჭირგამოვლილმა,
სული მოითქვა, მოიკრიფა
ისევ გონება.
იპოვა მხეცის ბუნაგიდან
გამოსაკვლელი
და უდაბნოდან თავის დახსნის
საქმეს შეუდგა.
დაადო თავი და გაიქცა
ნიავქარივით,
დაფეთებული ხელახალი
საშინელებით.
რაც ძალი ჰქონდა, გაუტია
და გაუტია,
ისე მირბოდა, ისარიც ვერ
მიეწეოდა.
დღეც მიიწურა და უდაბნოც
გამოიარა.
სამშვიდობოზე გამოსული
იყო, ატყობდა.
მოლი იხილა, ნაკადულის
ყლურტული ესმა,
სიამე იგრძნო და სიცოცხლე
ისევ იწამა.
წყალს დაეწაფა, იბანავა
მერე წყაროში
და დაძინების თადარიგის
დაჭერა იწყო.
თქვა: „მოვისვენო, მირჩევნია
ლამით. როდგანაც
სულ ლამითაა, არეული
რომ მაქის გონება
სევდის სენი მჭირს, ვატყობ, ჰავა
კი აქაური
მშრალია. თანაც ახლომახლო
არვინ ჭაჭანებს.
მოხვერხებები რომ არ მქონდეს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არც შეიძლება,
გონება, ალბათ, ამირიეს
მოჩვენებებმა.
გამოვიძინებ აქ ამაღამ
და დავისვენებ,
არ მომეჩვენოს ამაღამაც
ვინძლო რამეო".
თქვა ეს თუ არა, წინა ღამით
დაშინებულმა
იქაურობა მოიკვლია
საგულდაგულოდ.
ბოლოს მიაგნო მყუდრო ადგილს;
რაღაცა ხვრელი
გამოდიოდა გვირაბივით
მაჰანის ახლოს.
ჭა იყო თურმე ის, უძირო
და ღრმა ისეთი,
შიგ ქაცის შვილი რომ ადგილად
ვერ ჩაალწევდა.
ჩავიდა ჭაში, როგორც იქნა,
ოსებივით,
თოკივით ჩახტა, წართმეული
ჰქონდა ფეხები.
შიგ რომ ჩავიდა საცოდავი,
გეგონებოდა,
ფრინველი არის და თვის ბუდეს
დაუბრუნდაო.
უშიშრად იგრძნო ჭის ჯურღმულში
თავი მაჰანმა.
წამოწვა იქვე, მოატყუა
ცოტა ხანს თვალი.
როცა აართვა ტკბილ ძილს თავი
და გაიღვიძა,
თავსასთუმალის და საწოლის
გამართვა იწყო.
მიმოიხედა, მაგრამ ბნელში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რას ვაარჩევდა.
ხელის ფათურით მოიარა
იქაურობა.
ერთი შაურის ხელა შუქი
შენიშნა ბნელში,
ვით ძეწნის ჩრდილში უცვეთელის
ყვავილის პირი.
აქეთ და იქით იმ შუქს კარგად
ახედ-დახედა:
საიდან მოდის ეს სინათლე
ამ წყვდიადშიო?
ნათელს რომ მიჰყვა, იმ ჯურღმულში
ერთ ხვრელს მიაგნო.
თურმე იქიდან იჭრებოდა
იმ ჭაში შუქი.
მთვარის ნათელი ილვრებოდა,
შეატყო, ჭაში,
მაგრამ შორს იყო მთვარიანი
თვითონ აქედან.
მივიდა ხვრელთან და ხელებით
ფხოჭნა დაუწყო,
გააფართოვა, როგორც იყო,
ის ვიწრო ხვრელი.
იმდენი თხარა თითებით და
ბრჭყალებით თიხა,
თავის გაყოფა შეეძლო კაცს
იმ ნახვრეტიდან.
გაჰყო კიდევაც თავი ხვრელში
და დაინახა
ერთი წალკოტი, საამო და
აყვავებული.
მაჰანმა ხვრელი იგი უფრო
გააფართოვა
და როგორც იყო, საოცნებო
ბაღში გადაძვრა.
ბაღი ვთქვი, თორემ ბაღი იგი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბალი კი არა,
სამოთხე იყო და ედემის
ბალად ითქმოდა,
ხეებით იყო დაჩრდილული
იქაურობა.
წერწეტა საროს თვლა არ ჰქონდა,
იმდენი იყო.
ტოტები დაბლა დაეზნიქა
ხეხილის ნაყოფს,
ძირს დაეხარათ ხეებს თავი
მლოცველებივით.
ვაშლი სიწითლით ღვინის ჯამის
იაგუნდს ჰგავდა
და გახლეჩილი ბროწეული —
ლალის ზარდახშას.
კომშზე იტყოდი, ბურთიაო
მუშკით ალსავსე.
ფისტა გამშრალი ტუჩით მსუყედ
ილიმებოდა.
ატამს ტოტები დაეზნიქა
და აქეთ-იქით
წითელ და ყვითელ იაყუთებს
აქანავებდა.
ილიმებოდა მსხალი ტკბილად,
როგორც შაქარი,
უნაბი კიდევ მძივს ასხამდა
მარგალიტებით.
თაფლი ლელვისა იმ წალკოტში
და ნუშის გული
ტკბილს აყენებდნენ საამოდ და
სალხინოდ სასმელს.
ვაზს დაეხურა თავს გვირგვინი
და გაჰყურებდა
საუფლოს, სავსეს სულ თეთრი და
შავი მტევნებით.
ნარინჯის ტოტში გაეხლართა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თურინჯის ვარდი
იმ ხელთუქმნელი და ზღაპრული
წალკოტის შემქმნელს.
სასწაულთმოქმედს ჰგავდა იმ დღეს
წალკოტი იგი.
სხვადასხვა ფერის დაგორავდნენ
ირგვლივ ნესვები.
როცა მაჰანმა ამისთანა
სამოთხე ნახა,
გადაავიწყდა ჯოჯოხეთი
გუშინ გავლილი.
გაოგნებული იყო ბაღის
მშვენიერებით,
ჭამდა და ჭამდა ხილს, ბერტყავდა
ხეს და ბერტყავდა.
უცბად მოესმა შორიახლო
ყვირილი კაცის:
„ქურდია, ქურდი! მომეშველეთ,
დავიჭიროთ!“
ერთი მოხუცი გამოვარდა
გაცოფებული,
გადადებული ჰქონდა ზურგზე
ვეება ჯოხი.
უყვირა მაჰანს: „ჰატ, შე ქურდო,
ეშმაკის წილო,
ვინ ხარ, მითხარი, ან ჩემს ბაღში
რა გესაქმება?
დავბერდი კაცი და არ მახსოვს,
ჩემს ბაღში ჯერე
ვინმე ქურდი და ავაზაკი
შემოსულიყო.
ვინ ოხერი ხარ, ვისი რჯულის
და რა ხელობის,
საღაური ხარ ან სახელად
რას გიხმობენო?“
როცა მოხუცმა ყრმას პასუხი

ასე მოთხოვა,
ნირი წაუხდა საწყალ მაჰანს,
თავგზა დაებნა:
„ერთი საწყალი ყარიბი ვარ,
ჩემო ბატონო,
უცხო მხარეში უგზო-უკვლოდ
გადაკარგული.
ყარიბს ურიგოდ არ მოექცე,
ღვთის გულისათვის,
და ყველა სტუმრის მოყვარე კაცს
დაგიძახებსო!“
მოხუცმა კაცმა მისი აჯა
რომ მოისმინა,
მოულბა გული და ყარიბი
ყრმა შეეცოდა.
ხელკეტს მაშინვე უშვა ხელი,
ბიჭთან მივიდა,
დასვა მდელოზე და თავადაც
ახლოს დაუჯდა.
უთხრა ყრმას: „შვილო, მომიყევი
შენი ამბავი,
რა ფათერაკი გარდაგხდა თავს
ან განსაცდელი?
რა სატანჯველი მოგაყენეს
უკეთურებმა
და რა სიავე გიქნეს ავის
მზრახველებმაო?“
როცა მაჰანმა დაინახა,
მოხუცი კაცი
როგორ მოულბა და გულთბილად
როგორ მოექცა,
ადგა და წვრილად მოუყვა მას,
თავს რაც გარდახდა,
რა განსაცდელი გაიარა
და ფათერაკი.
უამბო, როგორ დაესართა

ტანჯვაზე ტანჯვა
და ყოველ ღამე რა წამების
ბორბალზე ება.
იმედი როგორ გადეწურა
ბოლოს და ბოლოს,
ვით აციებდა ზოგჯერ, ზოგჯერ
ვით აცხელებდა.
ვით მიიტანა, როგორც იქნა,
ერთ ჭასთან თავი
და მის ჯურღმულში შუქის სვეტი
როგორ იხილა.
ისიც უამბო, ვით გამოძვრა
იმ ჭიდან ბალში.
ყველაფერი თქვა, არაფერი
არ დაუმალავს.
მოხუცმა მისი ნაამბობი
რომ მოისმინა,
გაკვირდა ფრიად, დიდხანს თავი
აქნია მწარედ.
უთხრა უცხოელს: „ღმერთს მადლობა
უნდა შევსწიროთ,
რომ უვნებელი გადაურჩი
ასეთ განსაცდელს;
რომ იმ ჯოჯოხეთს დააღწიე
ცოცხალმა თავი
და ამისთანა სამოთხეში
შემოხვედით!“
როცა მაჰანმა დაინახა,
ბალის პატრონი
ასე გულთბილად შეხვდა ყარიბს
და ღვთისნიერად,
ჰკითხა მასპინძელს: „ის ოხერი
და საშინელი
მხარე, მითხარი, რა მხარეა
ანდა ვისია?
მანდ მე ისეთი გარდამხდა თავს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეორედ მოსვლა,
რომ გამკითხავი ჩემი, გითხრა,
არავინ იყო.
გადამეყარა ავი სული
და მავნებელი
და გავეყარე საკუთარ თავს,
კინალამ კაცი.
სადაც დავადგი ფეხი, ყველგან
ეშმა მემთხვია,
ირგვლივ ავსული ფუთფუთებდა
და ბელზებელი.
ერთი რამ სადღაც მიმათრევდა,
მეორე მცემდა,
გავუსხლტებოდი ეშმას, მხეცი
მიგდებდა ხელში.
ბოლოს დავვარდი, დავუძლურდი,
დამებნა თავგზა,
ხახა გამიშრა, მხარი მექცა,
თვალთ დამიბნელდა.
მივაბიჯებდი მაინც, ხიფათს
არ ვუდრკებოდი,
უფალს ვესავდი და მაშველად
ვუხმობდი ალაჰს.
ბოლოს ისმინა შემოქმედმა
ვედრება ჩემი,
დალუპვისაგან დამიხსნა და
აქ მომიყვანა.
წალკოტი ვნახე უტურფესი
ედემის ბაღზე,
მებალეს შევხვდი ბაღზე უფრო
გულის გასაწყოს.
ან გუშინდელი განსაცდელი
რა იყო ნეტა,
ან დღევანდელი ნეტარება,
ჩემი რაად?“
მოხუცმა უთხრა: „ჭირისაგან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაჭსნილო კაცო,
შენმა და ლხინის მყუდრო საფეხურს
შეფარებულო,
უდაბნო იგი, ჩვენს მიდამოს
ოთმ აკრავს ირგვლივ.
ერთი უნახი ადგილია.
ეშმათა ბუდე.
იმ მწარის მკვიდრნი, სახით ზანგებს
მიმგვანებული.
ეშმაკ ყველა, მაცდური და
კაცეჭამია.
ჯერე კაცის გულს მოიგებენ
ენის ლაქარდით,
შემდეგ კი, მტრისას, იმ საცოდავს
რასაც უზამენ!
მათი სიტყვა და საქმე ერთურთს
არ ეთანხმება,
ხელს გაშველებენ, ფიქრობ. თურმე
საფლავს გითხრიან.
იმათ სიყვარულს სიძულვილი
უდევს საჩრდილად.
ასეთი არის ავი სულის
ზნე და ბუნება.
ავსულს ვინ ჩივის, კაცო. ავი
სული კი არა,
თუ მაცდურია, ეშმად უნდა
ჩათვალო იგი.
რამდენი ეიცი ავი სულის
ადამიანი.
თვითონ ტუტუცი, სხვას თითს უქნევს,
ტუტუცი ხარო!
სიმართლის ნიღბით ფარავს მუდამ
სიცრუის სახეს.
თაფლს გაწოდებო, გეუბნება
და შხამს კი გაჭმევს.
სიცრუეშია საფუძველი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაუტანლობის,
სიმართლე ჰგიეს უკუნითი
უკუნისამდის.
ჟამთა სვლა არის სასინჯი ქვა
სიმართლის, შვილო,
კაცნიც სასწაულს ამით ვარჩევთ
გრძნეულებისგან.
შენ, ასე გატყობ, გულუბრყვილო
ბუნება მოგდგამს,
ამიტომ იყო, რომ ზმანება
ცხადად მიიღე.
ასე სასტიკად და საშინლად
მას ატყუებენ,
ვინც მიმნდობია, გულმართალი
და მიამიტი.
შიშმა მოიცვა თავიდანვე
გონება შენი,
დაგიმორჩილა და ადვილად
გაგიყოლია.
ის მაჯლაჯუნა და უჟმური,
შენ რომ დაგაწვა,
გზას აცდენილი კაცის შეოთვის
შედეგი იყო.
შენ რომ გულმშვიდად ყოფილიყავ
და ხათრიჯამად,
ოცნება შენი შმაგ ზმანებებს
არ აჰყვებოდა.
გამოალწიე ავსულების
საუფლო მხარით.
ახლა თხლეს უშვი ხელი, თავი
ღვინო დალიე!
განა ვერ ხვდები, რომ ხელახლა
დაგბადა დედამ
და დაგაბრუნა იმ ქვეყნიდან
იზადმა უკან!
აგერ, ედემის ბაღის მსგავსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წალკოტი ჩემი
ჩემი ოფლით და ჩემი სისხლით
არის მორწყული.
ჩემია იგი, მე ვახარე
და მე მეკუთვნის.
ამას ყოველი ვარდის ბუჩქ-
დამიდასტურებს.
შვილივითა მყავს ნაფერები
ყოველი ბუჩქი,
ზოგი საიდან მოვიტანე,
ზოგი საიდან.
რაც გინდა ცუდი წელიწადი
გამოეროს,
მოსაგალს მაძლევს. ერთ დიდ ჭალაჭს
რომ ჰყოფნის, იმდენს.
ეს ბალი. ახლა სასახლე იქნა
და საგანძური,
შიგ ოქრო ზვინად მაქვს. მიყრია
თვალ-მარგალიტი.
ეს ყველაფერი, იცოცხლე, მაქვს,
მაგრამ რას ვაქნევ,
შვილი არა მყავს და სულ ოხრად
დამრჩება მალე.
შენ რომ გიხილე ჭაბიანი და
თვალადი მოყმე,
მაშინვე გულში ჩამივარდი,
არ დაგიმალავ.
მინდა გიშვილო, თუ თანახმა
იქნები ამის.
რაც მაბადია, სუყველაფერს
შენ დაგიმტკიცებ.
ვინძლო ჩემ ბალში შენ იხარო
და ინეტარო
და არაფერმა შეგაჭირვოს
ამ ქვეყანაზე.
შემდეგ ცოლს შეგრთავ, ქალი ვიცი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყალმით ნახატი,
ისეთი, შენს გულს და გონებას
რომ მოუნდება.
მე თქვენი ლხენით და სიამით
ვიხარებ მხოლოდ,
ვიქნები თქვენი მომგელი და
მოსამსახურე.
თუ თანახმა ხარ ამისთანა
პირობის, მაშინ
ეს საქმე ასე გავარიგოთ,
მომე ხელიო!"
მაჰანმა უთხრა: „აქ უარი
რა სათქმელია,
საროსთან ახლოს ყოფნას ძეძვი
ვით ითაკილებს!
შენ თუ ამიყვან შვილად, ჩემს ბედს
ძალი არ დაჰყეფს.
მონა ვიყავი და პატრონად
გადამაქციე.
ისე იხარე შენ, როგორც დღეს
მე გამახარე,
შენითამც ზეობს ჩემი სრა და
ქედელ-ყურეო!"
ეს თქვა თუ არა, ყრმა ბერიკაცს
ემთხვია ხელზე
და გაუწოდა ხელი თვისი
თანხმობის ნიშნად.
მოხუცმა ხელი ჩამოართვა
გახარებულმა,
პირობა შეჰკრა მტკიცე მასთან
მამა-შვილობის.
შემდეგ კი სთხოვა, ადექიო!
(წამოდგა ისიც),
მოჰკიდა ხელი, გაუხვია
მარჯვენა მხარეს,
ერთი სასახლე დაანახა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შორიდან დიდი,
სულ აბრეშუმით მორთული და
მოფარდაგული.
მალალი ჩანდა და ზვიადი
სასახლე იგი,
ზეცას სწვდებოდა თალი ნელი
და ლაჟვარდანი.
მარმარილოთი ნაშენები
იყო სრასახლი
და კიაფობდა დაწუროული
ვერცხლის ნაირად.
ფართო უჩანდა ივანი,
კამარა — ვიწრო
ხაროს, ტირიფის და ხვალოს ხის
ტოტებისაგან.
ისეთი ჰქონდა შესახვლელი
კარები, მისთვის
ზეცას ქამარზე თუ შეეძლო
ამბორი მხოლოდ.
იმ დიდებული და ნეფური
სასახლის ახლოს
ვეებერთელა სანდალოზის
ხე იდგა ერთი.
ტოტები ტოტზე ჰქონდა რა ხეს
გადაბჯენილი
და მორთულობა მისი დაბლა
მიწას სწვდებოდა.
ერთი საჯდომი იყო ხეზე
გამოწალდული,
შეკრული იყო ტახტი იგი
ფიცრებისაგან,
ნოხი ეფინა ტახტზე რბილი
და მოხატული.
ვარდის სურნელი ეფრქვეოდა
იქაურობას.
მოხუცმა უთხრა მაჰანს: „ახლა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ ხეზე ალი
და დაიამე საჭმელით და
სასმელით გული.
იქვე ჩქარია სუფრა, დოქი
ქვევით დგას ახლოს,
ბლოზად დაგხვდება თბილი პური
და ცივი წყალი.
მე სასახლეში წავალ მანამ,
საქმეს მიეხედავ,
მინდა სადგური, ვით წესია,
მოგიხაზირო.
სანამ არ მოვალ, მანდ იყავი
და დამიცადე.
არ ჩამოხვიდე ძირს არაფრით,
რაც უნდა მოხდეს!
რაც უნდა გითხრან, ყურადღება
არ მიქციო.
იჯექი შენთვის და ნურავის
ნუ გასცემ პასუხს!
არ მოგატყუოს ვინმემ ლიქნით
და მოფერებით.
არ ვაიკარო ახლოს, იგი
ვინც უნდა იყოს.
მე როცა მოვალ, ჯერ დარწმუნდი
კარგად, რომ მე ვარ
და მხოლოდ ამის შემდეგ ახლოს
მომიშვი შენთან.
რადგან პირობით (ერთმანეთთან
ჩვენ რომ დავდევით
და შეეაზავეთ ერთმანეთში
რძე და შაქარი)
ბალიც შენია ღღეს შემდეგ.
სახლიც შენია
და ჩვენ ბუდე შენ გეკუთვნის
ამიერიდან.
ოღონდ ამაღამ ფრთხილად იყავ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავ თვალს ეროდე,
შემდეგ კი მუდამ აოხერებულ
გქონდეს გულიო!“
ნოხუცმა ასე დაარიგა
ის ყრმა თუ არა,
კიდევ შეჰფიცა სიყვარული
და თანადგომა.
ხეზე ეკიდა ლვედის კიბე
და იმ კიბეთი
შეიძლებოდა ზედ გამართულ
სადგომზე ასვლა.
უთხრა შვილობილს: „ბიჭო, ლვედში
შეჰყავი ფეხი,
აძვერი მაღლა და იყავ მანდ.
როგორც გითხარი!
ხეზე რომ ახვალ, აიხვევ
ზედ ლვედის კიბე,
რომ — ფუი ეშმაკს! — არ ამოძვრეს
ლვედისფეხება[16].
ამაღამ ლვედის იქონიე
გველთან კავშირი,
ეინძლო ხვალ განძი, იმ გველი რომ
ფლობს, ხელთ იგდოო!“
ეს თქვა თუ არა, დაეთხოვა
მოხუცი სტუმარს
და გაემართა შინ სადგომის
გასამართავად.
მაჰანი ფიცხლად აძვრა ლვედის
კიბით იმ ხეზე
და ასხია კიბე, როგორც
მოხუცმა უთხრა.
შემდეგ ჩამოჯდა ზედ გამართულ
ტახტზე ნებივრად.
გადმოსუფრებლა იმ მაღალი
ხიდან ქვეყანას.
განალა ალეფრა და დანაყრდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

[illegible]
ირ აკლდა პური, წითელი და
სასმელი თეთრი.
სვა ცივი წყალი, ცხელი მცირდა
ნიავს გაუხსნა
და მოიბრუნა სული გულიდ
შეჭირვებულმა.
შემდეგ ბერძნულად მოიფიქრა ტახტი
წამოწვა რბილად
და მოისვენა ზედ დაგებულ
ჩინურ საფენზე.
სანდალოზის ხის ტოტმა. როგორც
ქაფურის შუშამ,
მაჰანს გულიდან გადაჰყარა
მძიმე ვარამი.
ტახტზე იდაყვით დაყრდნობილი
ბალს რომ უმზერდა,
უცებ შორიდან აკიაფდა
ოცი კანდელი.
ქორწა გოგონებს ეჭირათ -ს
კანდელი ხელში.
ტახტზე მოთხმული შაჰი ნათზე
ლოცვას შეუდგა.
ჩვიდმეტი გოგო დაინახა
ვაჟმა მთვარეზე
ჩვიდმეტჯერ უფრო ლამაზი და
ამოდ საჭვრეტი.
ერთის სამოსი არ მოჰგავდა
მეორის კაბას,
გააზი ჰქონდა მოხურული
ყველა ვარდს ოლონდ.
როგორც კი ბალში ნაშენ სუფას
მიატანეს მათ
ჩირაღდანივით მოკაშკაშე
სანთლებით ხელში,
მეფური სუფრა საქეიფოდ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაშალეს მყისვე,
ნოხი გაშალეს ძირს და მოძღვეს
იქაურობა.
სანთელი სანთელს მიუსაფლეს
სუფრაზე სუფის
და დაივანა ნეტარებამ
და შვებამ ირგვლივ,
ერთმა გოგონამ, სახით საცხე
მთვარის ბადალმა,
გამორჩეულმა იქ ობოლი
მარგალიტივით,
იმ დიდებული სუფრის თავში
მოიკალათა
და აქეთ-იქით შემოისხა
დანარჩენები.
ბულბულის მსგავსი მათი ტკბილი
ხმის მოსასმენად
ძირს ჩამოფრინდნენ მგალობელი
ჩიტები ხიდან.
ისე მღეროდნენ, მათი ხმის და
გალობის ეშხმა
მოაჯადოვა იქით მთვარე.
აქეთ — მაჰანი.
ცელქი ნიავი გამოეჭრა
სუფრაზე უცბად
და ქალებს ურცხვად გულსპირი
გადაუღელა.
შორიდან ქალთა გათქვეფილი
მკერდის შემყურე
სანდალოზის ზროს იხუტებდა
მაჰანი გულში.
ეწადა ყმაწვილს, ქალთა ჭვრეტით
ვნებაატეხილს,
ყამი დაეცა და ხიდან ძირს
ჩამომხდარიყო,
ვინძლო სამოთხის ჰურიებში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადარეული
გარეულიყო შიგ მეორედ
მოსელის გარეშე,
მაგრამ ვოხუცის დარიგება
მოაგონდა მას
და დაიოკა ატეხილი
ყინი და ენება.
ხოლო ქალები ცეკვავდნენ და
მღეროდნენ ისევ
და მათ შორიდან შემყურე ვაჟს
ჭკუაზე შლიდნენ.
ცოტა ხანს ასე ატარეს დრო,
შემდეგ კი მოლზე
გაშალეს სუფრა და შეუდგნენ
ლმასა და ჭამას.
წყლისა და ცეცხლის არ ერია
საჭმელში ხელი.
მუშკის და უდის სურნელება
სდიოდა სუფრას.
ქირმანის ფლავი, ზაფრანით დ,
შაქრით ნაზავი
და ბროწეულის ფლავი, მასზე
გემოიანი:
ძუძუს ბატკანი თუ მაწონი
ბულლარის ქვეყნის,
ახალი თევზი, თუ დედალი
ქონმოდებული.
ახლა ლავაში? თეთრი, თეთრი,
ქაფურის ფერი,
ისე ფუნთუშა,
ვით ჰურიის თეძო და ძუძუ.
ნაირ-ნაირი ნამცხვრით იყო
მაგიდა სავსე
სულ ერბოებით დატენილით,
სულ ტკბილეულით.
სუფრა იყო, ვამბობ, თორემ

ასეთი სუფრა
სუფრა კი არა, მთელი ქვეყნის
ნეტარებაა.
ლამაზმანების მეთაურმა
უბრძანა ერთ ქალს:
„იცი თუ არა, კენტი ლუწად
რომ უნდა იქცეს?
უდის სურნელი სანდალოზის
ხით მოაქვს ნიავს.
აღექ და მიდი სურნელოვან
ხესთან ახლავე!
გუმანით ვიცი, სანდალოზის
ხეზე ცაცი ზის
და ენებისაგან ატეხილმა
რა ქნას, არ იცის.
მიდი და ჩვენთან მოიწვიე
პატივით იგი,
რა იცი, იქნებ, გულის ჩვენის
გასაწყო იყოს!
თუ არ ქნას, სუფრა გავმალეთ-თქო
უთხარი, უკვე;
უთხარი, ჩემი რომ გარდახდა
გრძნობები სამანს:
მანამ არ ახლებს სუფრას ხელს-თქო,
ჩემზე უთხარი,
სანამ სტუმარი ჩვენთან ერთად
პურს არ გატეხს-თქო!“
წავიდა ვაჟის მოსაწვევად
ტურფა მხევალი.
ტუჩები ჰქონდა ვიწრო, ხოლო
სათქმელი — ვრცელი.
სალამი უძღვნა მაჰანს, ტკბილი
სიტყვები უთხრა
და ძრს ჩამოსვა მოწყვეტილი
ვარდივით ვაჟი.
მაჰანიც გაჰყვა, აბა რას არ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაჰყვებოდა ქალს,
როდესაც მასთან შუამავალს
თავად ეძებდა!
ყმაწვილი კაცი ატეხილი
იყო დიაცით
და ამის გამო დაავიწყდა
მოხუცის რჩევა.
როდესაც ყმაწვილს სიხარული უდუღს
და გადმოუდუღს,
მოხუცის რჩევას ყურს დაუგდებს?
თქვენც არ მომიკვდეთ!
ააღებინა სიყვარულმა
სიოცხვილზე ხელი
და დაალირა ქალისაკენ
პირდაპირ თავი.
ქალმა მოსული მასთან ვაჟი
რომ დაინახა,
თაყვანი სცა მას, თითქოს მეფეს
ესალმებაო.
გვერდით მოისვა სუფრის თავში
გამორჩეულად.
შაქარს აყრიდნენ და ვარდის წყალს
ასხამდნენ სხვები.
თავისი ჯამით აჭმევდა ვაჟს
კერძს და ასმევდა,
ასეა სტუმარ-მასპინძლობის
წესი და რიგი.
თავად ურჩევდა სტუმარს საჭმელს
და აწოდებდა:
ახლა ეს ჭამე, ეს გასინჯე,
ეს მიირთვიო!
ჭამას რომ მორჩნენ, იმის შემდეგ,
როგორც წესია.
გუნების სარჩოს მოეძალნენ —
იაყუთის ჯამს.
სამი თუ ოთხი გამოცალეს

ჯამი თუ არა,
გამოეცალა სულ ხელიდან
სიცოცხლილი ყველას.
როცა სიმთვრალემ მოიდების
ლახია ფარდა,
მაჰანს იმ ქალის სურვილისგან
ცეცხლი მოედო.
გაზაფხულივით იყო გოგო
აყვავებული,
ამქვეყნად ყველა კერპზე ტურფა
და სასურველი.
რბილი და ჩვილი ჰქონდა მკერდი
ჭყინტი ყველივით
და გემრიელი იყო რძე და
მაქარზე უფრო.
ლოყები წითელ ვაშლს უგავდა,
მაგრამ იმ ვაშლში
შიგნით სულ ვარდის წყალი იდგა
და ყანდის წვენი.
ტანი ვერცხლისწყალს მიუგავდა,
ვერ მოიგდებდი
ხელში, ხელიდან ისე ხელად
გაგისხლტებოდა.
მაჰანი გოგოს ხან ყანდივით
კბეჩდა კბილებით,
ხან. თითქოს თაფლი ყოფილიყო,
პირით წუწნიდა.
ბოლოს კი გულში ჩაიხუტა
ყმაწვილმა ქალი,
მაგრამ დიაცმა დაიცოცხვინა:
არ მისცა თავი.
ყრმა თავანკარა ღვინის წყაროს
მისწვდა ტუჩებით
და ზედ დააჭდო იაყუთის
ბეჭედი აყიყს.
როდესაც კარგად დააკვირდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავის სასურველს,
მის თაფლის თვალებს და მის ტუჩებს
ყანდივით ამოს,
როკაპი შერჩა ხელში თხემით
ტერფამდე მყრალი,
ადამიანზე უფლის რისხვის
დროს გაჩენილი.
კამეჩის ჰქონდა ტანი როკაპს,
ეშვები — ტახის.
კაცს არ ენახა ამისთანა
ურჩხული ქვეყნად.
რისი ურჩხული, აჰრიმანი
იყო ის თვითონ.
ცას უწვდებოდა დაფჩენილი
მიწიდან ხახა.
ზურგზე ვეება კუზი ედგა, —
უფალო, გვიხსენ! —
მშვილდივით იყო მოღუნული
და გადრეკილი.
ზურგი მშვილდოსანს მიუგავდა,
სახე კი — კირჩხიბს.
ყარდა, ას ეჯზე წაგაქცევდათ
იმისი სუნი.
ცხვირი ცეცხლოვან აგურხანის
ქურას უგავდა.
პირი ქვაბივით დაღებული
ჰქონდა საზარლად.
დაელო ხახა ნიანგივით
და რაც შეეძლო,
გულში იკრავდა და იკრავდა
საცოდავ მაჰანს.
ლოშნიდა ყმაწვილს, უკოცნიდა
თავსა და სახეს
და შიგადაშიგ ნიშნს უგებდა
ასეთნაირად:
„აბა, ბიჭიკო, ჩემს ბრჭყალებში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომწყვდეულო,
მკერდდაგლეჯილო და დაჭრილო
ჩემი ეშვებით,
ის კარგი იყო, მე რომ წელან
ჩამიგდე ხელში,
მკბინე და მკბინე და ტუჩებში
მკოცნე და მკოცნე?!
ჩემს ხმალივით ჭანგს და შუბივით
კბილებს შეხედე,
კბილი და ჭანგი ჩემსას ჰქვია,
შენსას კი არა!
აკი იყავი ჩემი ეშხით
გაშმაგებული;
წელან მკოცნიდი, აბა ახლა
რა დაგემართა?
მოდი, მაკოცე, ტუჩები ხომ
ისევ ჩემია;
ისევ ის პირი მაქვს, მაშ პირს მე
რატომ მარიდებ?
არ გამოართვა უნდა ღვინო
ისევ ღვინის მწდეს,
ფათერაკებით აღსავსე ჯამს
ვინც გაცლევინებს!
შენს ოხტში უნდა ამოვიდე.
შე გლახავ, ახლა
და ის მოგიზლო უნდა, რაც დღეს
დაიმსახურე.
შენ თუ მე იგი არ გიქენი,
რისი ღირსიც ხარ,
მაშინ ის ვიყო მართლა, აღრე
ვინც გეგონეო!“
იფოფრებოდა ასე ეშმა
და ბობოქრობდა,
ცეცხლის ბურჯღულებს ჰყრიდა პირით
სიტყვებს კი არა.
მიხვდა მაჰანი ამ შემთხვევით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეძრწუნებული,
როკაში იყო თურმე, წელან
ვისაც კოცნიდა!
სიცილი მოერთო მაშინ, როგორც
დამფრთხალმა ბავშვმა
ან როგორც მუცელმოწყვეტილმა
ოხსულმა ქალმა.
თეთრი დევივით საშინელი
შავი ტახი კი
ცეცხლით ლოკავდა ბიჭს. წნელივით
წელზე მოხვეულს.
ასე აწვალა და აწამა
გარიჟრაჟამდე,
სანამ ბიბალმა არ იყივლა
და არ გათენდა.
გადაეხადა დედამიწას
წყვდიადის ფარდა
და თან წაიღო საზარელი
სანახაობა.
ეგდო მაჰანი უგრძნობელად
სასახლის კართან,
ქვეყნის მნათობმა ვიდრე მაღლა
არ აიწია.
გამოელვიძა და როს ირგვლივ
მიმოიხედა,
სამოთხის ნაცვლად ჯოჯოხეთში
ეგდო ვაგლახად!
სად იყო ბაღი გუშინდელი!
ბაღის მაგივრად
ხრიოკი ველი იწვა, ხმელი
ქაცვებით სავსე.
საროს კორომი ქცეულიყო
ეკლის ჯაგებად.
ხილის წილ — მღილი, ხეხილის წილ —
უხსენებელი.
სად იყო შენი ქათმის მკერდი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ან ხარის ბეჭი!
სუყველაფერი მძორად იყო
გადაქცეული.
საკრავი ჩანგის, დოლისა და
დუდუკის ნაცვლად
ირგვლივ კანჯრის და ჯვირანის
ძვლები ეყარა.
ნაცვლად აუზის (ცრემლის მსგავსად
წმინდა წყლით სავსის)
აშმორებული წუმპე იყო
შემორჩენილი.
და რაც გადარჩა იმისაგან,
რაც მან იქ ჭამა
და იმისგანაც, რაც მან იქ სვა
ოქროს ჯამებით,
სულ, ბოდიში და, სკორე იყო
და განავალი,
სულ დაწურული შარავი და
ბალღამი იდგა.
მას თავი ღვინო რომ ეგონა
და ხარბად სვამდა,
თურმე წუნწუხი ყოფილიყო
ფეხისალაგის.
კვლავ განსაცდელში ჩავარდნილი
იყო მაჰანი,
ეველრებოდა უფალს ცრემლით,
დამიფარეო!
არც ის შეეძლო, რომ გაცლოდა
იქაურობას,
და თუ არადა, აქ დარჩენაც
არ იქნებოდა.
გაოგნებული იყო კაცი
და ბუტბუტებდა:
„ეს რა მჭირს, ნეტა, უსაშველო
და ამნაირი?!
ან ის წალკოტი თვალწარმტაცი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა იყო გუშინ,
ან დღეს ეს ხვატი და ხროლი
რა უნდა იყოს?!
ან ვარდი რატომ მომეჩვენა
გუშინ, ვიცოდე,
ან ეს ეკალი, დღეს რომ ვხედავ,
ნეტა რაკო?

ეკ არ იცოდა მან, რაც ეკ აქ
გვაბადია ჩვენ,
ურჩხული არის მტრედის ნიღაბს
აფარებული.
რომ გადახადო საბურველი
ჩვენს ყოფას, ნახავ,
რა არის იგი, დოყლაპიებს
აგრე რომ უყვართ,
თვალს რომ გვტაცებდა ბერძნული და
ჩინური სახე,
ზანგი ალმოჩნდა ამაზრზენი
სინამდვილეში!
კანი აქვთ გარეთ გამოკრული
შესახედავად,
გარეთ ლვინოა, ხოლო შიგნით —
ჩეჩმის წუნწუხი.
რომ მოაცილო კედელი და
თალი აბანოს,
შავი ლუმელი შეგრჩება ხელთ,
შეუხედავი.
ბევრი ყოფილა გულუბრყვილო
ამ ქვეყანაზე,
ულის ნაჭერი მუშკის პარკი
რომ ჰგონებია.

როცა მაჰანი ჩვენი მორჩა
მძიმე განსაცდელს
ისე, როგორც მე მოვრჩი უკვე
მაჰანის ამბავს,
ცხოვრების მიზნად დაისახა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კეთილი საქმე,
მოინანია და პირობა
მისცა შემოქმედს.
ალალი გულით შეევედრა
შეწევნა უფალს,
ვიდოდა გზაზე, ლაპალუპით
სდიოდა ცრემლი.
ბოლოს მიაგნო უდაბნოში
კამკამა წყაროს.
დალია წყალი, განიბანა
და უფალს სთხოვა:
„ეჰე, ყოველთა შემწევ, შემწედ
ექმენ შენს მონას,
ეჰე, ყოველთა მხსნელო, მიხსენ
განსაცდელისგან!
შენა ხარ მხოლოდ ჩემი მშველი
და სხვა არავინ,
შენ მიხსნი მხოლოდ, თუ დამიხსნი,
სხვა ვერვინ მიხსნის.
განა მარტო მე მაჩვენებ გზას
ამ ქვეყანაზე? —
ყოველი სულის შენ ხარ ერთი
წინამძღოლი!“
ევედრებოდა უფალს ცრემლით
მთელი საათი,
მიწას ურტყამდა მუდარით შუბლს
და ლოცულობდა.
ლოცვას რომ მორჩა და როს თავი
მაღლა ასწია,
კაცი იხილა მის წინ მდგარი,
მისივე მსგავსი,
მწვანით მოსილი იყო იგი
გაზაფხულივით
და რიჟრაჟივით ულიმოდა
ლაჟვარდა სახე.
ჰკითხა მაჰანმა: „ვინა ხარ შენ,

ნამდვილი მითხარ?
უბრალო კაცი რომ არა ხარ,
ზედ გეტყობაო?"
„ჰე, ლეთისმოსავო, — მიუგო, — მე
ხიზრი გახლავარ,
მოვედი შენთან, რომ დაგიხსნა
განსაცდელისგან.
შენი გულწრფელი ლოცვის მაღლი
იქნება იგი.
გზასაცდენილო, შინ მშვიდობით
რომ დაბრუნდები.
დადე გულზე ხელი და მე
მომეცი ხელი.
თვალი დახუჭე და აღარ ვიან
შემდეგ ისევ!"
ოცა მაჰანმა მოისმინა
ხიზრის ნათქვამი,
თითქოს მოკვდავმა უკვდავების
წყალი დალია.
ხიზრს გაუწოდა მაშინათვე
მორჩილად ხელი,
დახუჭა თვალი. ხოლო შემდეგ
კვლავ გაახილა.
მიმოიხედა და იხილა
თავისი თავი
იქ, სადაც აცდა გზას იმ ღამეს
მხარაქცეული.

სანდალოზისფერი სასახლე

ამბობენ, თურმე ერთხელ ორი
ვინმე ყმაწვილი
ერთად დაადგა გზას ერთ დილით
ერთი ქალაქის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაც სჭირდებოდა გზას, მანამდე
მოიხაზრეს.
ხურჯინში ეწყოთ ვით წესია.
საჭმელ-სასმელი.
ხეირი ერქვა ერთს, მეორეს —
შარი და მართლაც
ერთი ხეირი იყო, ხოლო
მეორე — შარი.
ორი თუ სამი დღე მშვიდობიანი
იარეს ერთად,
თავს ფათერაკი არაფერი
გადახდომიათ.
ხეირი საგზალს ჭამდა, შარი
კი — ინახავდა,
ერთი იმკიდა, მეორე კი
ახლა თესავდა.
ასე იარეს მანამ, სანამ
არ მიაღწიეს
ერთ დიდ უდაბნოს. თონესავით
გავარვარებულს.
ისე ცხელოდა უდაბნოში,
რომ სიცხისაგან
რკინა დნებოდა და ცვილივით
იღვენთებოდა.
ცხელი და მშრალი ჰავა გრილ ქარს
ჩრდილოეთისას
გაღააქცევდა ცხელ და ხორშაკ
სამუმად ხოლმე.
შარმა იცოდა თავიდანვე,
უდაბნო იგი
ვრცელი რომ იყო და შიგ წყალი
არ გადიოდა.
ჩუმად თხიერში გზისთვის წყალი
მოიმარაგა
და დარაჯობდა განძით საგზე
საგანძურივით.

ხეირს ეგონა, წყალს გზაშიაც
კი ვიშოვნიო,
ჭას მოელოდა გზაში, ქარაფს
კი გადააწყდა.
ვიდოდნენ ასე უკაცრიელ
და ხრიოკ ველზე,
ჩქარა უნდოდათ გაელიათ
უდაბნო ვრცელი.
გავიდა კიდევ ერთი კვირა
ამ სიარულში,
შარს კიდევ ჰქონდა წყალი, ხეირს
კი გაუთავდა.
შარი მალავდა წყალს, ვითომ აქ
არაფერია,
იყო თავისთვის ჩუმად და ხმას
არც კი იღებდა.
ხოლო ხეირმა შეამჩნია,
რომ ის უკეთურს
წყალი ჯერ კიდევ ბევრი ესხა
ჩუმად თხიერში.
ამხანაგისგან დამალულად
ხამუშ და ხამუშ
მოიყუდებდა და წრუპავდა
მოწყურებული.
თუმცა წყურვილი ჰკლავდა ხეირს
და იხრჩობოდა,
ითმენდა მაინც, კბილს აჭერდა
კბილზე მწყურვალი.
ხახაგამშრალი შეჰყურებდა
უძვდაებულ წყალს
და ადგებოდა პირზე ნერწყვი
იმის შემყურეს.
ცეცხლი მოედო ტანში ხეირს
წყურვილისაგან,
ისე დაეარდა, არ შეეძლო
თვალის გახელაც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თან ლალის ორი თვალი ჰქონდა
ცეცხლისმფრქვეველი,
წმინდა წყლის იყო, მაგრამ ქვაში
წყალს რას აქნევდა!
გადმოდიოდა იმ თვლებიდან
წყალი ფარულად,
თვალს ასმევდა ის წყალს კაცისას
და პირს კი — არა.
მაშინ ხელრმა ამოიღო
ის ორი თვალი
და წინ დაუწყო ქვიშას. ცივი
წყლის მეპატრონეს.
უთხრა: „გაიგე, მოვკვდი კაცი
წყუროვლისაგან,
ჩამიქრე ცეცხლი, ორი ყლუპი
წყალი შემასვი!
ეს შენი ცივი, კამკამა და
საამო წყალი
ან ისე მასვი, კაცი თუ ხარ,
ანდა მომყიდე!
ეს ორი თვალი შენი იყოს.
ჰა, გამომართვი.
არ ამომართვა ოლონდ პირით
სული მწყურვალსო!“
შარმა, — გაუწყრეს იმას ღმერთი! —
გამოამჭღავნა
მისი სახელის მნიშვნელობა.
რაც კი შეეძლო.
უთხრა: „ქვის გულში წყალს ნუ ეძებ
ფუჭად. ძმობილო:
ვერ მომატყუებ და ტყუილა
თავს ნუ იტყუებ!
ამ უდაბნოში თვლებს რომ მომცემ,
ეს მართლა მჯერა,
მაგრამ რად გინდა, მათ ქალაქში
წამართმევ ისევ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე განა იმის ამოდი ვარ,
ასე მოვტყუვდე?
შენ ვინ გგონივარ? ქაჯს ეფეურებ,
მე რომ მიყურებ.
ეს ოინები მე სხვებისთვის
მიკეთებია.
ამიტომ ჩემთან არ გაგვია
ამისთანები.
იმას არ ვიზამ, გამომტყუო
ახლა აქ წყალი,
ხოლო ქალაქში ჩასულს წყალი
გადამ-წყრა.
ვთქვათ, გამომართვი თვლები ახლა
მოწმის გარეშე,
მაშინ რალა ვქნა, რომ წამართვა
იქვე ქალაქში?
წყალი თუ გინდა, იმისთანა
რამ უნდა მომცე,
არ შეგეძლება დაბრუნება
უკან ორსიცო!“
ხელმა ჰკითხა: „რაა ეგი,
ჩქარა მითხარი,
რომ მოგცე, თუ მაქვს და სიცოცხლე
დაგიბრუნოო?“
შარმა მიუგო: „ის ორი რამ,
რასაც მე ვითხოვ,
ორი თვალია, ერთმანეთზე
საუკეთესო.
ან ორთავ თვალი, შენ რომ გახსენ,
მომეც წყლის ფასად,
ანდა მწყურვალი მოკვდი, წყალზე
ნუ ოცნებობო!“
ხელმა უთხრა: „უფლის შიში
მაინც არა გაქვს:
ცივ წყალს მხურვალე ცეცხლის ფასად
მაძლევ, ულმერთოვ?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კი, ქვეყნად წყალზე სანატრელი
რა უნდა იყოს,
მაგრამ თვალების დათხრა ვინ თქვა
წყლის გულისათვის?!
მე თუ დავკარგე სამუდამოდ
ჩემი თვალები,
მაშინ რას ვაქნევ წყალს, თუნდ ასი
წყაროც მაჩუქო?
თვალის გაყიდვა თუნდაც ნებელი
წყაროსთვალისთვის
ვინ გაიგონა? წყალი ოქროს
ფასად გაყიდე!
ამ თვლებს ხომ გაძლევ. ხელწერილსაც
მოგცემ იმისას,
რომ შენი იყოს, მე ჭონებს
რაც გამაჩნია.
მალალი ღმერთი მყავს თავეფარებად
და მის მადლს ვფიცავ,
რომ ამ პირობას არ გადავალ,
რაც გამაჩნია.
თვალებს ნუ მომთხოვ, ვაჭრებ
თვალის სინათლე:
ცივი წყალი გაქვს. მაგრამ ცივი
გული ნუ გაქვსო!"
შარმა მიუგო: „ზღაპარია.
რასაც შენ ამბობ.
მწყურვალ კაცს ბევრი საბაბი აქვს
ამის მაგვარი.
შენი თვალები მინდა, შენ თვლებს
რა თავში ვიხლი. —
თვლები ბევრია, ხოლო თვალი
ორად ორია."
საშინელ დღეში ჩავარდნილი
იყო ხეირი
და წყლის გულისთვის თვალებიდან
ცრემლს აწვიმებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხედავდა, უნდა მომკვდარიყო
წყურვილისაგან,
ვერ გააღწევდა უდაბნოდან.
გრძნობდა, ცოცხალი.
მხურვალე გული შეაცდინა
ცივი წყლის ნდომამ.
როდის უძლებდა წყლის ცდუნებას
მწყურვალე კაცი!
უთხრა: „თანახმა ვარ, ადექი,
მოიტა დანა,
ოღონდ ახლავე მომაწოდე.
ძმობილო, წყალი!
ამომაცალე ცეცხლოვანი
თვალები, ოღონდ
წყლით დამიშრიტე ცეცხლი,
მე რომ მიკიდიან!“
გულის კუნჭულში კიაფობდა
იმედი სადღაც,
ვინ იცის, იქნებ, არ ქნას ეს და
შემიცოდოსო!
მაგრამ საწყალმა თქვა თუ არა
ეს, მაშინათვე,
იძრო ხანჯალი და ეტაკა
შარი. ვით ქარი,
თვალის ნარგიზი ვარდისფერად
უქცია დანით
და ამოართვა მარგალიტი
გვირგვინს მთავარი.
დაუვსო თვალი წყურვილისგან
მომაკვდავ ხეიროს.
წყალიც არ ასვა, ისე ადგა
და მიიმალა.
დააგლო ხელი მისი ლალის თვლებს,
ბარგი-ბარხანას
და უდაბნოში უსინათლო
დაადგა კაცი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხვდა ხეირი, ამხანაგმა
რომ ულალატა
და დაეკარგა ანგარიში
ავის და კარგის.
სისხლსა და მტვერში ამოთხვრილი
ეგდო მიწაზე.
თვალი არ ესხა, კიდევ კარგი,
ეს რომ ენახა.
        იმ სანახებში ერთი დიდი
გვარის ქურთს თურმე
დაუდიოდა საძოვარზე
დროდადრო ცხვარი.
ხეირის ბედად იმ დღეს სწორედ
იმ ველზე იყო
იმ მომთაბარე ქურთის ფარა
მიმოფენილი.
ერთი ლამაზი ქალიშვილი
ჰყავდა ქურთს თეთრი
პირისახით და შავი ხალით
დამშვენებული.
კენარი სარო იყო ტანად,
რწეული იგი,
ნაზი და ქორფა, სათუთად და
აზიზად ზრდილი.
ნაწნავთ ბაწრები ეთრეოდა
კოჭების ქვემოთ
და ამ ბაწრებით გაეხლართა
რაყიფი მთვარე.
კავები კავებს გადაბმოდა.
ვით ბალის იას,
მე რა კავი! შავი, შავი
ყვავის ფრთასავით.
მისი თვალები მაჩხიბივით
კაცის მჩხიბავნი
მთვრალნი კი იყვნენ, მაგრამ ხალხს კი
თვალებს უხვევდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლამეს სიშავე ენათხოვრა
მისი თვალისგან.
მთვარე იმ ქალით ანათებდა,
თუ ანათებდა.
ბაგეთ თაფლივით ტკბილ ფუტკულებს
გადაეკეტათ
კოცნისთვის მისი ტუჩებისკენ
მიმავალი გზა.
ის კარვის მთვარე წამოსული
იყო გოგმანით
წყლის მოსატანად. ვით კალთახი
წყლის მაძებარი.
წყარო კი გზიდან კარგად იყო
მოცილებული.
ქურთის ბინებში წყალს იქიდან
ეზიდებოდნენ.
აავსო კოკა ქალიშვილმა
და გამობრუნდა
უცხო და უროცხვი კაცის თვალებს
მორიდებული.
უეცრად კვნესა შემოესმა
შორიდან გოგოს,
მიაყურადა, კვნესა ჰგავდა
დაჭრილის კვნესას.
მიჰყვა კვნესის ხმას მაშინათვე
და დაინახა
სისხლსა და მტვერში ამოთხეული
ვილაც ყმაწვილი.
იგრიხებოდა ტკივილისგან
ის საცოდავი
და ღმერთს უხმობდა, ნიშველი.
გამწარებული.
ახლა ნაზობის დრო არ იყო
და ნაზი ქალი
შველის მთხოვნელი კაცისაკენ
გაიჭრა მყისვე.

ჰკითხა უცხო ყრმას ქალმა: „ვინ ხარ,
შე საცოდავო,
მტვერსა და სისხლში ასე ულვთოდ
ამოლესილი?
ვინ გაიმეტა შენი სიყრმე
ასე ულმერთოდ,
ვინ იყო იგი, ვინც ასეთი
საქმე გიქნია?“
ყმაწვილმა იმ ქალს უპასუხა:
„ვე, ვინც, არ ვიცი,
ვინ ხარ, საძოთხის ფერია ხარ
თუ ანგელოზი?
ჩემი ამბავი უცნაური
ამბავი არის
და გრძელიც არის მოსაყოლად
და მოსასმენად,
წყურვილისაგან ვკვდები კაცი
და ვიტანჯები,
მიშველე მწყურვალს, რამე შველა
თუ შეგიძლია!
წყალს თუ შემასმევ
თუნდაც ერთ ყლუპს
მიშველო ეგებ
და თუ არადა, დამაგდე აქ,
ჩემთვის მოვკვდეო!“
შეწევნის ხელი გაუწოდა
მწდემ მწყურვალ ყმაწვილს
და მიაწოდა წყალი მსგავსი
უკვდავების წყლის.
ყმაწვილი ცივ წყალს დაეწაფა
გულ-ღვიძლ დამწვარი
და სვა იმდენი, რამდენის სმაც
შეეძლო მწყურვალს.
ისევ ჩაუდგა გვამში წყალმა
მომაკვდავს სული.
მოდგა საწყალი გუნებაზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და გაიხარა.
ქალმა ბუდიდან ამოყრილი
თვალები ყმაწვილს
ისევ ჩაუსხა და შესწირა
უფალს მადლობა.
გამოვარდნილი იყო გუგა
თუმცა უპიდან,
თვით თვალისჩინებს
დაშავება არ ემჩნეოდა.
ლონეც იმდენი ჰქონდა ბედად
შემორჩენილი,
რომ ფეხზე დგომა შეეძლო კვლავ
და სიარული.
ქონი დაადო თვალზე ქალმა
და შეუხვია,
მოჰკიდა ხელი (სიმორცხვის დრო
არ იყო ახლა).
წამოაყენა, როგორც იყო,
დაჭრილი ფეხზე
და წაიყვანა წალმართ გზაზე
ბედუკულმართი.
ასე ატარა უცხო კაცი
თვალდავსებული,
სანამდის მამის თვისის ბინებს
არ მიაღწია.
იქ კი ერთ მსახურს, ვისაც თვლიდა
თავისიანად,
გადასცა ვაჟი, მკლავი მკლავში
გააყრევინა.
უთხრა: „ეს კაცი, რამე რომ არ
ეტკინოს, ისე
ჩვენს კარვებამდე მიიყვანე,
ოღონდ ფრთხილადო!“
თავად კი ადგა და დედასთან
გასწია სწრაფად
და მას უამბო, რაც გარდახდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავს უდაბნოში.
დედა გაუწყრა: „რა უყავი
მერე საწყალი,
მარტო რომ მოდი, რატომ თან არ
წამოიყვანე?!
ეგებ გველონა მისთვის რამე,
ეგებ გვეშველა,
ცოტათი მაინც, იქნებ, შვება
ეგრძნო ბედშავსო!“
„წამოვიყვანე თან კიდევაც, —
მიუგო გოგომ, —
საცაა მოვა აქ, თუ სული
მოიტანაო.“
ამასობაში მოალწია
მათმა მსახურმაც
და დაკოდილი ყრმა კარავში
შემოიყვანა.
დასვეს ხეირი, გაუშალეს
სასწრაფოდ სუფრა,
წვენი დაუსხეს ლონემიხდილს,
მწვადი შეუწვეს.
ამოიოხრა ცივად ცხელი
გულიდან ვაჟმა,
ცოტა შეჭამა და კვლავ კვნესას
და გმინვას მოჰყვა.
დაბრუნდა ქუთაც შინ, შელამდა
კარგად თუ არა
და როცა სუფრა გაუშალეს
პურის საჭმელად,
შეხედა, ვიღაც უცხო კაცი
იწვა კარავში,
თვალდაკოდილი და ძალ-ლონე
გამოლეული.
ჰკითხა ცოლს: „ქალო, ვინაა ეს
დაჭრილი კაცი
ან ასე მწარედ დავარდნილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რატომ ირისო?“
რაც არ იცოდა ცოლმა, ამბა
რა უნდა ეთქვა
და ეკითხეო უთხრა ქალმა
თავის ქმუღლეს,
მხოლოდ ეს უთხრა, რომ თვალები
ჰქონდა დათხრილი,
თუ ვინ და რატომ უქნა მას ეს,
არც თვით იცოდა.
ოდესაც ქურთმა დაინახა,
ის საოდავი
რა ფლეში იყო ჩავარდნილი
უთვალსჩინოდ,
თქვა: „აქა და აქ ერთი დიდი
ხე რომ დგას, იმ ხეს
სულ ირიად ორი ფოთოლი რომ
მოსწყვიტოს კაცმა,
მერე რომ კარგად დანაყოს ის
და ამრიგ წვენში
ამოვლებული საფენი რომ
თვალზე დაადოს,
რაც გინდ დათხრილი ჰქონდეს თვალი,
ერთი წასმაა
სულ საკმარისი, სინათლე რომ
დაუბრუნდესო“.
როცა მამისგან ეს მოესმა
ქურთის ქალიშვილს,
იმ წამლის შოვნა გადაწყვიტა
მაშინვე გულში.
მამას ფეხებში ჩაუვარდა
და შეეხვეწა,
ეშოვნა ვაჟის მოსარჩენად
იმ ხის ფოთოლი.
ქურთმა რომ ნახა ქალიშვილი
ასეთ ყოფაში,
წავიდა იმ ხის იმ ფოთლების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსაძებლად.
მონახა ის ხე, მოაპუტა
ბლუჟი ფოთოლი,
თვალებდათხრილის უებარი
წამალი ჭურთმა.
რომ მოიტანა შინ, მაშინვე
ეტაკა გოგო,
დანაკა მაგრად, მწვანე წვენი
გამოადინა.
გაწოლა წვენი და თვალებზე
წაესვა ყმაწვილს.
შემდეგ კი კარგად შეუხვია
თვალი ალდმყოფს.
ხუთი დღე ედო ის წამალი
და ხუთი ღამე
და ჰა. მეექვსე დღეს ახადეს
ხვირის საფენი, —
თვალებდავსებულს მოუვიდა
სინათლე ისევ
და ისევ ნარგიზს დაემგვანა
მისი თვალები.
დიდი მადლობა უძღვნა ვაჟმა
ღმერთს, ბედნიერმა,
წისქვილის ხარის მსგავსად თვალზე
ფარი რომ ახსნეს.
ქურთის ქალებმა გაიხარეს
ხვირის ლხენით,
გული გადუხსნეს, მაგრამ სახე
კი დაიფარეს.
ცას ეწოდა სიხარულით
ქურთის ასული,
იმდენი ჰქონდა დადებული
ამაგი ბრმაზე.
წერწეტა საროომ როს აღახვნა
ნარგიზი თვალთა
და როს დაბეჭდილ თვალთ ზარდახშას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი ახადეს,
გულზე სულ უფრო მოეჭიდ-
ფერის ასულს
ვაჟი ტანადი, თვალადი და
თვალებბრიალა.
თავად ხეირი მოიხიბლა
სიკეთით ქალის,
(როგორი დადო ვაჟს ამაგი,
როგორ უარა!).
ჩადრით მოსილი ქალის სახე
ჯერ არ ენახა,
მაგრამ მის ტანს და მიხვრა-მოხვრას
ხომ უყურებდა!
მისი ხმა ტკბილი ჩაესმოდა
ყურში საამოდ,
ჟრუანტელს ჰგვრიდა შუბლზე მისი
ხელის შეხება.
გულს უძგერებდა ვაჟს ქალწული,
ქალწულს კი — ვაჟი
(რა კარგი დროა, ღმერთო, ეს დრო,
რა კურთხეული!).
ხეირი თავის მასპინძელს და
კეთილისმყოფელს
ეხმარებოდა როგორაც და
რითაც შეეძლო.
აქლემის რემას და ცხვრის ფარას
მწყემსავდა მისას.
მუყაითი და გამრჯე კაცი
ჩანდა ყარიბი.
ერთგული იყო და მისანდო
ჩვენი ხეირი
და მისცა ქურთმაც მას თავისი
მოურაობა.
ქურთის ოჯახში, როცა ასე
გაშინაურდა,
ყრმას გამოჰკითხეს აქეთური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და იქითური.
დათხრილ თვალებზე ჩამოუგდეს
ერთხელაც სიტყვა,
ეს ამისთანა საქმე რისგან
დაგემართაო?
არ დაუმალავს ყრმას თავისი
ამბავი მათთვის,
აღგა და წვრილად მოუყვა, რაც
შარმა დამართა.
ის ორი ლალი ერთ ყლუპ წყალში
ვით შეაძლია
წყურვილის ცეცხლზე, მაგ. მწვადიერით
შემწვარმა კაცმა;
როგორ დასთხარა ულმობელმა
შარმა თვალები
და ლალის თვლებიც თვალდაგსებულს
როგორ აართვა;
როგორ დატოვა ხახამშრალი,
ხახადამშრალი
იმ უდაბნოში და იქიდან
როგორ გაიქცა.
ქურთს რომ ეს ესმა, სიბრაზისგან
გახელებულმა,
ბერი რომ მიწას შუბლს სცემს. ისე
ქვას ურტყა თავი.
მადლობა უძღვნა ღმერთს, გრიგალმა
დაუნდობელმა
რომ არ მოთხარა ფესვიანად
ყვავილი ქორფა.
ისე შეიტკბეს თვალდათხრილი,
რომ ჩავარდნოდათ
თვალებში, თვალზე ხელს აძავენ
ამოისვამდა.
ჰყავდა დასმული ხელისგულზე
ხეირი ყველას,
მაგრამ მის მოვლას ქალი აძვის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ ანებებდა.
დასტრიალებდა თავს ნიადაგ
ფარვანასავით,
მას წყალს აწვდიდა, ხოლო თავად
ხანძარი სწვავდა.
და გამოსტაცა ხეირს გული
მისმა დამცველმა
და ჩაბარა სული მას, ვინც
სული ჩაუდგა.
ვაჟი ღელდალამ ქურთის ფარას
უვლიდა, მაგრამ
ღელდალამ მათი პატრონის იმ
ქალზე ფიქრობდა.
იტყოდა გულში ზოგჯერ ბიჭი
გულდაკოდილი:
„ჩემსავით ტიალს და ბოგანოს
ქალს ვინ გაატანს!
ასე ლამაზი და მდიდარი
ქალწულის შერთვა
ქონებისა და ფულის პატრონს
თუ შეუძლია!
აბა სად მე და სად ის ქალი!
ის მდიდარია,
მე კი სამადლოდ მამამისი
პურს მაჭმევს მხოლოდ.
იმაზე უფრო კარგს ვერაფერს
ვერ ვიზამ, ალბათ,
აქაურობას მალე ჩუმად
გავეცალოთ!“
ასეთ ფიქრებში გაატარა
ის ერთი კვირა
და კვირის ბოლოს, როგორც იყო,
ცხვრიდან დაბრუნდა.
ვერ ისვენებდა სიყვარულის
ცეცხლით დამწვარი.
განძზე კი იდგა, მაგრამ მაინც

ლატაკი იყო.
წყურიოდა საწყალს, მწყურვალე კაცს
წინ ედგა წყალი
და წყალი იგი მას ვერა და
ვერ დაელია.
ქალის წყურვილი ახლა ხელის
უფრო ახრჩობდა.
ვიდრე წყურვილი წყლის იქ, ბაში,
იმ უდაბნოში,
მივიდა ქურთთან და უთხრა მას:
„ყარიბთა შემწევ,
ბევრი ჯაფა გაქვს გაწეული
ჩემისთანებზე.
შენ დამიბრუნე მე ხელახლა
თვალის სინათლე,
სიცოცხლე შენგან ნაჩუქარი
მაქვს, მე ხომ ვიცი.
შენი პურით და მარილით ვარ
ნაპატივები
და სხვა სიკეთეც მახსოვს შენგან
მრავალნაირი.
შენი ბეჭედი ამ ჩემ შუბლზე
ვერც კი ეტევა,
სიტყვები არც კი მყოფნის ბეჭის
მადლობისათვის.
საკმარისია ამდენი ხნის
სტუმრობა ჩემი,
არ შემიძლია შეგაწუხო
ამაზე მეტად.
პატივისცემას შენსას ქვეყნად
ვინ გადაიხდის,
ვერც მე შევიძლებ. ალბათ. ვიზლო
სამაგიერო.
მაგრამ უფალს ვთხოვ, მოწყალება
მოიღოს ჩემზე,
ვინძლო როგორმე ეს ამაგი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ შეეძრჩინო.
ვიცი, უთქვენოდ ყოფნა მეტად
გამიჭირდება,
მაგრამ მაინც გთხოვ, ნება მომცე,
რომ დაგეთხოვო!
დიდი ხანია, მოწყენილი
ვარ ჩემს ქვეყანას,
უპატრონოდ მაქვს დაგდებული
სახლი და კარი.
გადაწყვეტილი მაქვს ამიტომ,
ხვალ უთენია
გავუდგე შორ გზას და დავბრუნდე
ჩემს საშობლოში.
ტანით ვიქნები მხოლოდ თქვენგან
დაშორებული.
თორე ფიქრები ჩემი თქვენთან
იტრიალებს სულ.
შენი იმედი მაქვს და შენი
მოწყალე გულის
და გთხოვ, გულიდან არასოდეს
მომიგეთოო!“

როცა ხვირმა ასეთი რამ
თქვა, მისმა სიტყვამ
თითქოს ხანძარი გაუჩინა
ქურთების სახლ-კარს.
ატეხეს ერთი ვიშვიში და
მოთქმა-გოდება,
აქეთ ზლუქუნი იდგა, იქით
ზრუნი ისმოდა.
ტიროდა ქურთი, ქურთის ქალის
ამბავს ნუ მკითხავთ,
გამშრალი ჰქონდა სისხლი, ხოლო
თვალები — სველი.
გაძღნენ ტირილით და ჩაქინდრეს
საბრალოდ თავი,
წყალი იყვნენო თითქოს და ზედ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაიყინენო.
ასწია ბოლოს თავი მაღლა
უფროსმა ქურთმა,
ჯალაბი თვისი დაითხოვა
და ხვეოს უთხრა:
„მისმინე აქეთ, გონიერო
ყმაწვილო კაცო,
კეთილშობილო, საყვარელო
და სიტყვაძვირო.
ვთქვათ და დაბრუნდი შენს ქალაქში,
წახვალი ჩვენგან,
იქ რომ კვლავ ისეთ შარიან კაცს
შეხვდე. რას შვრები?
აქ შენ ნებაზე ცხოვრობ ტკბილად
და ნებიერად,
ყველაფერი გაქვს, არაფერი
აქ არ გაკლია.
შენ იცი. ერთი ქალიშვილი
მივის მე მხოლოდ,
სამაგიეროდ სიმდიდრე მაქს
აუცილებელი.
მოყვარე გულის მყავს მე შვილი
და თვინიერი,
ცოდვა იქნება, მასზე ძვირი
რომ ვთქვა რაიმე.
მუშაი პარკშია გამოკრული
მაგრად. ხომ იცი,
მაგრამ მიდამოს ეფინება
მისი სურნელი.
ჩვენ თუ წიხლს არ გვკრავ და თუ
გოგოს
არ დაბირწუნებ,
არ მეყვარება შენზე უფრო
ქვეყნად არავინ.
რაც მაბადია, ცხვარი არის
ის, თუ აქლემი,

სუყველაფერი შენი იყოს,
შენ ეპატრონე!
მე სხვა რა მინდა, თქვენი ლხენით
ვიცოცხლებ ქვეყნად,
სანამდის ჩემი აღსასრულის
დღე დადგებაო“.
ოდესაც ხეირს ამისთანა
სიტყვები ესმა,
თაყვანი სცა ქურთს მეტისმეტი
მადლობის ნიშნად.
მეორე დღეს კი, ირიჟრაჟა
თეთრად თუ არა
და ოქროს ზარის ხმით მამალმა
რომ დაიყივლა,
ბედნიერ ფეხზე ადგა მეფე
აღმოსავლეთის
და დიდებულად დაბრძანდა ზედ
სამეფო ტახტზე,
წამოდგა ქურთი, ქალის მამა.
გახარებული
და საქორწინოდ თადარიგის
დაჭერა იწყო.
გვირგვინი უსკვნა იმავე დღეს
მის ქალს ხეირთან
და ჩაბარა ასპიროზი
ერმს ბედნიერმა.
უკვდავების წყალს დაეწაფა
მლაფავი სულის
და დასაზრობად გადადებულ
ვარდს მზემ მოუსწრო.
ქურთის ასულმა თავის თაფლის
ტუჩებით ხეირს
სიტკბო აგემა უკვდავების
წყაროზე ტკბილი.
ერთ მშვენიერ დღეს ზღვისპირა
ქურთებმა შეჰკრეს

ბარგი-ბარხანა და დატოვეს
ის იალაღი.
იმ სანდალოზის ხეს მიადგა
ხეიმი ჯიქურ,
რომლის ფოთოლმა დაუბრუნა
თვალის სინათლე.
მის ორ ტოტს ბლომად მოაგლიჯა
მწვანე ფოთოლი.
ორი ხურჯინი გამოტენა
პირთამდე წამლით.
ხის ერთი ტოტი ბნედიან ქაცს
არჩენდა თურმე,
ხოლო მეორე, როგორც ვიცით,
ბრმას თვალს უხელდა.
იმ ხის ფოთლების საიდუმლო
არ უთხრა არვის
და ჩვენებითაც არავისთვის
უჩვენებია.

ერთხელ ერთ ქალაქს მიატანეს.
იმ ქვეყნის მეფის
ქალიშვილს თურმე ბნედა სჭირდა
და ვერ არჩენდნენ.
რა არ იღონეს, რა არ ასვეს,
რით არ უწამლეს,
მაგრამ ვერა და ვერაფერი
ვერ არგეს საწყალს.
თუ სადმე კარგი ექიმი და
მკურნალი იყო,
თავზე ეხვია ავადმყოფს და
წამალს აძლევდა.
ასეთი ჰქონდა დადებული
მეფეს პირობა:
„ვინც შვილს მომირჩენს და მომარჩენს
ამ ჭირისაგან,
ცოლად გავატან ჩემს ქალიშვილს,
ხელმწიფის ასულს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიძედ გავიხდი მას და თავზე
გვირგვინს დავადგამ.
მაგრამ მას, სახეს ვინც შეხედავს
ჩემი ასულის,
ხოლო მას შველით კი ვერაფრით
ვინც ვერ უშველის,
ვაი მის შავ დღეს, მტრისას, რასაც
მე იმას ვუზამ,
მშრალად წავაცლი თავს, მითქვამს და
ვიზამ ამასო!"
მეფეს ამნაირ პირობაზე
დათანხმდა ბევრი,
მაგრამ სუყველამ სათითოდ
წააგო თავი.
ათასი კაცი შეეწირა
მეფის ქალიშვილს,
ზოგი მოსული, ზოგი კიდევ
იმ ქალაქელი.
ოცა ქალაქში ეს ამბავი
უამბეს ხეირს,
გულით იხარა: ეს ხომ ჩემი
საქმე არისო!
ხელმწიფეს კაცი გაუგზავნა
და შეუთვალა:
„მე შემიძლია, მოგირჩინო
სნეული შვილი.
უფლის შეწევნით შევასრულებ,
რასაც ვიქადი,
მაგრამ პირობა ასეთია,
ხელმწიფევ, ჩემი:
არავითარი საზღაური
არ უნდა მომცე.
ამ წამლით მხოლოდ იმის გამო
ვუწამლე შენს შვილს,
რომ მოვიხადო ვალი ჩემი
ღვთის წინაშეო".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როდესაც მეფეს შენაფიელი
ამცნეს ხეირის,
ნება უბოძა, ხლებოდა და
ხელზე ეკოცნა.
ეახლა მეფეს სამსახურად
ხეირი კდემით,
ხელმწიფემ ჰკითხა: „ღირსეულო
ყმაწვილო კაცო,
მითხარი, ვინა ხარ და სახელად
რა გქვია შენო?
ხეირმაც უთხრა თუ ვინ იყო
და რას უხმობდნენ.
მეფეს კეთილად ენიშნა ეს
სიტყვა: ხეირი.
უბრძანა: „ახლავ შეუდექი
საქმეს, ხეირო!
ღმერთმა ინებოს, ჩვენი ბოლო
კეთილი იყოს
და შენგან ვნახო ის, რაც გქვია
შენ სახელადო!“
ეს თქვა თუ არა, გაატანა
ერთი მსახური
და ქალიშვილის სასახლეში
გაგზავნა ვაჟი.
ნახა ხეირმა ქალი, მაგრამ
რა ქალი ნახა,
პირი მზის ჰქონდა, ხოლო ტანი
ალვას უგავდა.
ის ხის ფოთოლი, ბნედიანის
მომარჩენელი,
თან ჰქონდა ხეირს საიმედოდ
გადანახული.
დანაყა იქვე ის ფოთოლი,
გაწურა კარგად
და მისი ტკბილი წვენი მეფის
ასულს შეასხა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დალია ქალმა ის წამალი
ერთხელ თუ არა,
მაშინვე იქვე განიკურნა
ავი სენისგან.
დაუცხრა ყურში მაშინათვე
ხმა და გნიასი,
მიდო ბალიშზე თავი მშვიდად
და დაიძინა.
როცა ხეირმა დაინახა,
გაზავხულიერთ
აფეთქებული ქალი მორჩა
და განიკურნა,
დააგდო მისი ედემივით
ტურფა სასახლე
და შინისაკენ გაემართა
გახარებული.
ქალს სამი დღე და სამი ღამე
ეძინა მშვიდად.
ხოლო ხელმწიფემ არაფერი
არ იცოდა ჯერ.
მეოთხე დილა რომ გათენდა,
წამოდგა ქალი,
საჭმელი ჭამა და
გაიარ-გამოიარა.
როცა ახარეს მეფეს. ქალი
მორჩა შენიო! —
სულ ფეხშიშველა გამოიქცა
ქალიშვილისკენ.
შეხედა ასულს, საღი იყო
და სალამათი,
იჯდა თავისთვის ტახტზე, ვითომ
არაფერიო.
მეფემ მადლობის ნიშნად მიწას
დაადო შუბლი,
უფალს კურთხევა უძღვნა, შემდეგ
ქალიშვილს ჰკითხა:

„როგორ ხარ, შვილო, თავს როგორ
გრძნობ,
გაწუხებს რამე?
ღმერთმა ნუ მოგცეს ნურაფერი
საწუხარი!“
ქალმა მიუგო: „მამაჩემო,
გამიგონია,
მეფე პატრონი უნდა იყოს
თავის სიტყვისო.
როდესაც საქმე თავის მოჭრას
შეეხებოდა,
შენ შენს პირობას ასრულებდი
მუდამ პირნათლად.
ახლა გვირგვინის სხვაზე დადგმის
ჯერი რომ დადგა,
ხამს, რომ ხელმწიფე მისი სიტყვის
პატრონი იყოს!
ათასი კაცის თავის მოჭრა
თუ ბრძანე დღემდე,
დღეს ერთი კაცის თავზე ბრძანე
გვირგვინის დადგმა!
მკურნალის ჩემის გაწბილება
არ შეიძლება.
მხოლოდ ის მინდა ქმრად, იცოდე,
სხვა არავინო!“
მეფე პასუხად რას იტყოდა,
არც უთქვამს რამე,
კაცი გაგზავნა: ჩემი ქალის
მხსნელი მიხმეთო!
როცა აახლეს, — „ღირსეულო, —
შესძახა. — ყრმაო,
ზედ კარზე მომდგარ ბედს რაისთვის
ემალებიო?“
მოიხსნა ტანზე რომ სამეფო
ხალათი ეცვა
და მოახურა ხეიროს, ერთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საიდუმლო ყანა.
სხვა სამკაულიც უამრავი
ეძღვნა სასიძოს,
ოქროს ქამარი შეარტყა წელთ
თვლებით შემკული.
მორთეს ქალაქი და სახლები
წითლად და ყვითლად
და იდგა ერთი ზარ-ზეიმი
მთელს სამეფოში.
ბანზე გადმოდგა ვაჟის თვალწინ
ხელმწიფის ქალი,
შეხედა ხეირს სავსე მთვარის
მსგავსად გაბადრულს.
თვალადი იყო, ნახა, ვაჟ
და ეშხიანი,
კოხტა, კოკობი ულვაშებით
დამშვენებული.
ქალის ნებით და მეფის, ბაბის
მისის, კურთხევით
ხეირი მეფის სიძე გახდა
შარის ჯინაზე.
იმ მეფეს ერთი დიდებული
ვეზირი ჰყავდა,
ხალხის მოსარჩლე, მოწყალე და
სამართლიანი.
იმ ვეზირს კიდევ გოგო ესვა
კალმით ნახატი,
თოვლზე დაგდებულ ვარდს უგავდა
პირი ისეთი.
ერთხელ ყვავილი შეეყარა
თურმე, მოურჩა,
მაგრამ სიბრმავე დაუტოვა
ავადმყოფობამ.
ახლა ვეზირმა თხოვა ხეირს:
„ოღონდ ეს გოგო
მომირჩინე და შენთვის ცოლად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მომიციან!“
და ამ პირობით, მერე ცოლად
უნდა შეგრთოო!
ვეზირის გოგოს აუხილა
თვალი ხეირმა.
ადგა ხეირი და ის ქალიც
შეირთო ცოლად.
(შეხე ანდამატს, მარგალიტი
რამდენი ხვრიტა!).
იყო ხეირი იმ სამ ცოლთან
დიდ განცხრომაში,
ქაუსის ტახტზე იჯდა, ხოსროს
გვირგვინი ერქვა.
ხან იმ ვეზირის ნებივრობდა
ასულთან იგი
და გულისწადილს მოიჭამდა
მასთან გემოზე,
ხან იამებდა სულს ხელმწიფის
ასულთან წოლით
(ერთი მზე იყო შესახედად,
მეორე — მთვარე),
ხან კიდევ ქურთის ქალიშვილთან
იშვებდა ტკბილად,
ასე სამ ნარდზე თამაშობდა
გულის ნებაზე.
ბოლოს კი მეფე გახდა მთელი
ქვეყნის ხეირი,
გვირგვინი ირქვა და სამეფო
ტახტზე დაბრძანდა.
ერთ დღეს წალკოტში
სეირნობდა გვირგვინოსანი,
ტკბებოდა ბალის სილამაზით
და მყუდროებით.
უცბად სად იყო და სად არა,
შარს მოჰკრა თვალი,
ნახა თუ არა, მაშინათვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცნო უნასი.
უბრძანა მსახურთ: „აგერ რომ დგას,
აი, ის კაცი
ცოტა ხნის შემდეგ აქა და აქ
მომიყვანეთო!“
წავიდა თვითონ და დაბრძანდა
ბალის ყურეში.
სიმამრი გვერდში ედგა, ქურთი,
ხმალამოწვდილი.
ეახლა შარი მეფეს, მშვიდი
და ქმაყოფილი,
თავი დახარა და მეფის წინ
მიწას ემთხვია.
ჰკითხა ხეირმა: „რა გქვია შენ
სახელად, ვინ ხარ?
მინდა, ვიცოდე, თავი უნდა
ვინ იტიროსო?“
იცრუა შარმა: „მობაშარი
მქვია, ბატონო,
ყოველ საქმეში ვარ, ვით მხედავ,
გამოწვრთნილიო.“
უბრძანა მეფემ: „თქვი, ნამდვილად
რას გეძახიან
და მოიბანე პირი შენი
შენივ სისხლითო!“
მიუგო შარმა: „სხვა სახელი
არ მაქვს, მეფეო,
რაც გინდა ჰქენი, გინდ მომკალი,
გინდ გამიშვიო“.
მაშინ კი მეფე, ვით ეგების,
გაუწყრა თალლითს:
„შე არამზადავ, ხომ ხარ ლირსი,
წაგაჭრა თავი!
შარიანი ხარ და სახელად
შარი გქვია შენ,
თუმც ეს სახელი შენს სიბილწეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვერც კი ერევა.
შენ ის არა ხარ, ერთი ყლუპი
წყლის საფასურად
მწყურვალე კაცს რომ ამოთხარ,
ორივე თვალი?
მაგრამ ეს კიდევ არაფერი, —
თვალი დათხარე,
მაგრამ არ ასვი თვალის ფასად
ნაყიდი წყალი.
მწყურვალეს თვალებს არ დასჯერდი,
თვლებიც წაართვი
და ორჯერ დამწვარ კაცს მესამედ
ცეცხლი შეუნთე.
მე ვარ ის კაცი, თვალდათხრილი,
თვლებწართმეული.
ცოცხალი არის ბედი ჩემი,
შენი კი — მკვდარი.
შენ მე გამწირე, მაგრამ ღმერთმა
არ გამწირა მე.
ვისაც უფალი ფარავს, იგი
ნეტარი არის.
რადგან უფალი მწყალობდა მე,
ილბალმა ჩემმა
მიბოძა ტახტი და გვირგვინი
თავზე მარქვაო".
შეხედა შარმა მეფეს თვალში
და იცნო იგი
მაშინვე მის წინ მოწიწებით
ემთხვია მიწას.
ეაჯა ხეირს მუდარით და
ცრემლების ფრქვევით:
„შევცდი, მეფეო, და შემინდე
დანაშაული!
ზეცას დადევი პატივი, ვინც
ხეირი გარქვა
შენ, ხოლო შარი მომაშავა

მე ჩემს სახელად.
რაც მე გიქენი შენ, ჩემს სახელს
ეფერებოდა,
შენ კი მოიქეც, ვით შენს სახელს
ეკადრებაო!“
ხეირმა იღო ყურად შარის
ზმა მოსწრებული,
შეუნდო ცოდვა და გაუშვა
თავის ნებაზე.
სულ ფრენა-ფრენით გაეცალა
შარი იმ წალკოტს,
ფეხზე არ იდგა მეტისმეტი
სიხარულისგან,
მაგრამ აქ ქურთი, სისხლისმღვრელი,
წამოეწია,
გადაჰკრა ხმალი და მოსხიპა
ტანიდან თავი.

თეთრი სასახლე

ერთი ყმაწვილი ვინმე იყო
ტკბილმოუბარი,
კეთილად გაზრდილს პირიდან სულ
თაფლი სდიოდა.
იესო ქრისტეს ჰგავდა იგი
ჭკუით და ცოდნით,
მეჯლისში მჯდარი იოსები
გეგონებოდათ.
მეცნიერებას ხომ შემტკბარი
იყო და იყო,
მაგრამ უქებდნენ თავმდაბლობას
განსაკუთრებით.

ერთი ედემის ბაღის მსგავსი
წალკოტი ჰქონდა
ირგვლივ სხვა ბაღით და სხვა მტილით
შემოფარგლული.
მიწა გაცრილი მუშკის სუნით
ფშვენდა იმ ბაღში,
ხილს იქ მოწეულს კი სამოთხის
ხილად იტყოდნენ.
სულ გული იყო ის წალკოტი,
ვით ბროწეული,
სულ ვარდით იყო სავსე, ეკალს
იქ ვერ ნახავდით.
ერთი წვერბასრი ეკალიღა
ეკიდა მხოლოდ,
ისიც იმისთვის, ავი თვალი
რომ არ სცემოდა.
ნორჩ საროს ხეებს კამკამა რუ
უბანდა ფეხებს
და წყლის ნაპირი მოლით იყო
შემოჩითული.
ჩიტი უხმობდა ჩიტს წალკოტში
საამო ხმაზე
და იდგა გულის საამური
ყივყივი სირთა.
ხეებს ზეცაში აღეზიდათ
ზურმუხტის თაღი
და დაეხუნძლათ გვრიტებს სულ მთლად
საროს ტოტები.
საროთ ჩეროში ზედ მიწაზე
რომ ედგათ ფეხი,
ვინ იქნებოდა იმ ციურ ჰანგს
არ მოეხიბლა.
გალავნით იყო ბაღი ირგვლივ
შემორაგული,
ჩიტი რომ ჩიტი არის, შიგ ვერ
შეფრინდებოდა.

ყველა ნატრობდა ახლომახლო
ვინც კი ცხოვრობდა:
ნეტავ იმ ბაღში ერთხელ მაინც
შემახედაო!
ბაღის პატრონი, დაჩვეული
წალკოტში შვებას,
კვირაში ერთხელ ეწვეოდა
იმ ედემის ბაღს.
თავისი პირით უცვეთელას
რგავდა იმ მტილში,
ხოლო წერწეტა ტანით ქარში
საროს არწევდა.
ისეირნებდა ცოტა ხანი
ნებაზე ასე,
შემდეგ კი წალკოტს დაიგდებდა
და წავიდოდა.
ერთ დილით ადგა ეს ყმაწვილი
ფეხზე თუ არა,
თავის წალკოტში სასეირნოდ
გამოემართა.
ბაღის კარები დაკეტილი
დაუხვდა პატრონს,
მებაღეს ჩანგის ტკბილ ჰანგებში
ჩასძინებოდა.
გამოისმოდა წალკოტიდან
საამო ხმები,
არ იზოგავდნენ თავს დამკვრელნი
და მეჩანგენი.
თვალს იტაცებდა ბაღში ხილი,
თავად სხვის თვალში
როგორმე მოსვლის მძლე სურვილით
გატაცებული.
ისეთი ჰანგი შემოესმა
წალკოტის პატრონს,
რომ ვნებისაგან ტანზე ჩოხა
შემოეხია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არც ის შეეძლო, ბალიხათვის
აევლო გვერდი,
არც კლიტე ჰქონდა, რომ დახშული
კარი გაეღო.
კარს ბევრი ურტყა, მაგრამ ყური
არვინ ათხოვა, —
სარო ცეკვავდა, ხოლო ვარდი
ღრმა ძილში იყო.
ბალის გალავანს აქეთ-იქით
დიდხანს უარა,
მაგრამ ვერსაით ვერ უნახა
შიგ შესასვლელი.
როცა ვერა და ვერაფერი
ვერ მოახერხა,
გამოუნგრია ერთ ადგილას
ბალს გალავანი.
შევიდა შიგნით და დაუწყო
გულის ფანცქალით
ძებნა წალკოტში მომღერლებს და
ჩანგის დამკვრელებს.
საამო ხმებით გაბრუებულს
გულით ეწადა,
ახლოს ეხილა, ვინ ხიბლავდა
მუსიკით ასე.
ვინ იყო იგი, ვისაც მტილი
ჰანგით დაეპყრო,
ვინ იჯდა ბალში ან მებალეს
რა დამართნოდა?
იმ ყვავილთაგან, იმ დღეს მისი
წალკოტისათვის
ხმა რომ მიეცათ და მზის შუქი
რომ მოეფინათ,
ორი არსება (აკოკრილი
მკერდის და ვერცხლის
მქონე ასული) ყარაულად
ეყენათ ბალ-ს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რათა მთვარისებრ პირგაბადრულ
ჰურიათათვის
უცხო კაცს ვისმე ავი თვალით
არ შეეხედა.
როგორც კი შეძვრა შიგ ის ჩვენი
ბაღის პატრონი,
მყისვე შენიშნეს თავგასულმა
მოახლეებმა.
ქურდი ეგონათ იგი ბაღში
შემოპარული,
ცემეს საცოდავს და შეუკრეს
ხელი და ფეხი.
რა დააშავა ამისთანა
ბაღის პატრონმა,
საკუთარ ბაღში რომ გალახეს
ასე ვაგლახად?
კარგად რომ კაწრეს ფრჩხილით,
მუშტით
შავრად რომ ბეგვეს,
უყვირეს ყურში, რაც ხმა ჰქონდათ
და რაც შეეძლოთ:
„ჰატ, შე წუპაკო, რად წაბილწე
წალკოტი მწვანე!
ბედი შენი, რომ აქ არ არის
ბაღის პატრონი.
ის, ვინც სხვის ბაღში უნებართვოდ
შეიპარება,
უპრიანია, ბაღის მცველმა
გააპანღუროს.
რაც ჯოხი გირტყით, საკმარისი
არ არის შენთვის,
ახია შენზე, რომ ხელ-ფეხი
გაქვს გათოკილი.
შენ რომ მართალი კაცი იყო,
წალკოტის კარებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ აუვლიდი გვერდს და კედელს
არ გახვრეტდიო!“
    იმ კაცმა უთხრა ქალთ: „ეს ბალი
ჩემი ბალია;
რაც მჭირს, ჩემით მჭირს, სხვას რა
                უნდა
გადავაბრალო.
კარი მიბია დაფჩენილი
ვეფხვის პირივით,
მე კი, ვით მელა, აქ ხვრელიდან
შემოვიპარე.
ვინც თავის სახლში ამნაირი
ხერხით შემოვა,
იმას სახლ-კარი რომ არ შერჩეს,
ნურვის უკვირსო!“
მოახლეებმა იმ ყრმას კარგად
ახედ-დახედეს,
მისი ამბავი გამოჰკითხეს,
ბალის ნიშნებიც.
დარწმუნდნენ, რომ ის მართლაც ბალის
პატრონი იყო
და გულისწყრომა შეიცვალეს
გულმოწყალებით.
    როგორც კი ვაჟი იმ წალკოტი
პატრონად იცნეს,
ორივე დიაცს მოუბრუნდა
იმ ყრმისკენ გული.
ლამაზი იყო, ახალგაზრდა
და ოქროპირი.
ქალს სხვა რა უნდა, ამისთანა
კაცი თუ ნახა!
და ცნეს საჭიროდ შერიგება
ასეთ ყმაწვილთან, —
ეკეთათ ვაჟის საქციელი
და ხასიათი.
თავისი ხელით ახსნეს თოკი

ხელსა და ფეხზე
და დაუკოცნეს ამის შემდეგ
ხელი და ფეხი.
სულ ბოდიშები უხადეს ვაჟს
შიმურვანებმა,
სულით და გულით შეირიგეს
და შეითვალეს.
მოიღეს ნარი და შელობეს
გალავნის ხვრელი,
ვინმე ყაჩაღი ბაღში რომ არ
შემომძვრალიყო.
შემდეგ მიუსხდნენ ბაღის პატრონს
იქით და აქეთ
და დაწვრილებით ჩაუყაჭეს
მათი ამბავი:
„გაზაფხულივით აყვავებულ
ამ შენს წალკოტში
(ღმერთმა შეგარგოს ხილი შენგან
შიგ მოწეული!)
სტუმრად არიან გადმოსული
პირგაბადრული
და გულწარმტაცი ტანწერწეტა
ქალიშვილები.
თუ ვინმე ტურფა ქალწულია
ამ ჩვენს ქალაქში,
მშვენიერებით კაცის თვალს თუ
ვინმე ახარებს,
სუყველამ ერთად მოიყარა
დღეს ბაღში თავი,
ყველა ქორფაა, უბიწო და
გაუთხოვარი.
გთხოვთ, გვაპატიოთ ამისთანა
უმგვანო საქმე,
ვნანობთ, ჩვენსავე ჭაში თვითონ
რომ ჩავაფურთხეთ.
ახლა წამოდი და ნებაზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დრო გაატარე,
დაადგი თვალი, რომელიც გსურს,
იმ მზეთუნახავს
შენ სადმე ჩუმად მიეფარე
წალკოტში ჩირგვებს
და იმ გათქვიროულ მზეთუნახავთ
კარგად შეხედე!
ნებისმიერ ქალს, რომელიც შენს
თვალს მოეწონოს
და აგიჩქროლოს საალერსოდ
რომელმაც გული,
დაადე ხელი და მოგიყვანთ
ხელდახელ სახლში,
დაწექი მასთან და ნებაზე
ინეტარეო!“
    წალკოტის პატრონს ამისთანა
სიტყვა რომ ესმა,
გამოელვიძა მყისვე გულში
მთვლემარე ვნება.
ბუნებით თუმცა ზნეკეთილი
ყმაწვილი გახლდათ,
დიაცთა ხიბლი კი იცოდა,
რა ხილიც იყო.
იმ ვერცხლისტანა ქალწულებთან
ერთად ის ვაჟი
გამოემართა მოლოდინით
გახარებული.
მანამ იარეს, სანამ ერთ კოშკს
არ მიატანეს
(ადგილი იყო წარმტაცი და
გულის გასაწყო).
სამოთხის ბაღის ქალწულების
წინაშე, როცა
აგურის ტურფა კოშკი იგი
წამოიმართა,
ბაღის პატრონი შიგ შევიდა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩაკეტა კარი,
ხოლო ის ორი ქალი უკან
გამოაბრუნა.
საჭვრეტი იყო შუა კოშკი
დატანებული
და შიგ სინათლე იმ სარკმლიდან
შემოდიოდა.
ბალის პატრონმა საჭვრეტელში
რომ გაიხედა,
იხილა ვიწრო წყაროსთვალი
და ვრცელი წყალი.
ვარდისფაწვება სეირნობდნენ
ბალში ქალები,
წვიფები ვერცხლის ჰქონდათ, მკერდი
კი — ბროწეულის.
კელაპტარივით შუქს აფრქვევდნენ
ირგვლივ საამოდ,
მოწეულ ხილზე იყვნენ უფრო
გემრიელები.
ქალიშვილები, პატარძლებს რომ
ტკბილს დააყრიან,
იქაურობას პირით ისე
აყრიდნენ შაქარს.
გველი რომ განძზე წევს, ნაწნავნი
ეხვიათ ისე
და თურინჯები ნარინჯებად
გადაქცეოდათ.
ბროწეულის მკერდს ჭამდა თვალით
და ვაშლის ნიკაპს,
მაგრამ რად გინდა, მიაწერე
ყინულზე ნატვრა!
ედემს ბალში ერთი კორდი
ჩანდა ხასხასა
ტანაწვართული საროებით
შემოსარული.
და ვრცელ აუზში, მარმარილოს

ქვით რომ აეგოთ,
ისეთი, მასთან ქავსარს თითი
რომ მოეკაკვა,
წყალი დიოდა დაწურული
ცრემლივით წმინდა,
და შიგ თევზები ნებიერად
დანავარდობდნენ.
რა არ ხაროობდა პირკოიალა
აუზის ირგვლივ,
სოსანი გინდათ თუ ნარგიზი
თუ უცვეთელა!
მზეთუნახავნი რომ მოადგნენ
იმ აუზის პირს,
შიგ მთვარე იწვა და თევზები
იქნევდნენ კუდებს.
მოირწეოდნენ წელის რხევით
აუზისაკენ
გულს იღელავდნენ და იხსნიდნენ
გზაში საკინძეს.
ტანთ გაიხადეს, რაც ემოსათ
იქვე სასწრაფოდ
და გადაეშვნენ ტანქათქათა
ქალები წყალში.
ადგაფუნებდნენ ვერცხლის მკლავით
წყალს ხან აუზში,
ხან კიდევ შავი თმის სავადით
ტანს იხატავდნენ.
თევზი და მთვარე წყლის მორევში
ცურავდა ერთად
და ნეტარებდა ეს ქვეყანა
კიდით კიდემდე.
საკვირველია: ჩვეულებრივ
როდესაც მთვარე
წყალში ოქროს ჰყრის, თევზი მთვარის
შუქს ემალება,
მაგრამ როდესაც ტანშიშველმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალიშვილებმა
წყალში ჩაჰყარეს მთვარის მათის
ოქროს დინარი,
ბალის პატრონის თევზმა ამას
რომ მოჰკრა თვალი,
წამოხტა ზეზე და გასწია
იმ მთვარისაკენ.
კარგა ხანს იდგნენ წყალში ერთურთს
ჩაკიდებულნი
და უცვეთელას სასაცილოდ
იგდებდნენ ტანით.
ერთხანს ჭუკჭუკით ზედ ერთმანეთს
ეჭუჭკებოდნენ
და ძუძუ-მკერდი აცურავეს
წყალში ნავივით.
„გველი, გველო!“ — იკივლებდა
უეცრად ერთი
და აშინებდა ამხანაგებს
წვრილი ნაწნავით.
უსვეტოს ნიშნავს ბისოთუნი,
ბისოთუნის მთამ
(დიაცის თეძომ) კი ვაჟს სვეტი
წამოუყენა.
შირინის სრასახლს რძის არხი რომ
ჩაუდიოდა,
იმ არხს სათავე ამ აუზში
ჰქონდა, მე ვფიქრობ.
ვაჟმა საოკმლიდან ეს რომ ნახა,
გახელდა კაცი,
მაგრამ იმ ქალთა მოხელება
როგორ გინდოდა!
მთვრალს რომ მოსწყურდეს, მათთან
მისვლა
მოსწყურდა ისე,
წყალს უყურებდა, მიწვდომით კი
ვერ მიწვდენოდა.

ბნედიანს ჰგავდა ბნედამოსულს
ახალ მთვარეზე,
ხან ეცემოდა ძირს, ხან ზეზე
წამოხტებოდა.
პირზე ფერფური მისდიოდა
ქალთ რომ უჭვრეტდა,
მეორედ მოსვლის დღე ადგა მათ
პირველად მნახველს.
გული უხტოდა მკერდში, ძარღვში
სისხლი უდუღდა
და ყიჟინებდა მისი ტანის
ყოველი ნაკვთი.
გაქვავებული ერთ ადგილზე
იდგა ქურდივით
და ისიც, შენ რომ იცი, ფეხზე
წამოდგომოდა.
ორივეს ერთი სული ჰქონდათ,
გამომხტარიყვნენ
(თვითონ-საკმლიდან, მისი გველი
კი — ნახვრეტიდან),
მაგრამ ნახვრეტით გამოძვრომა
ვერ შეძლო გველმა.
რატომ? რატომ და ძლიერ ვიწრო
იყო ნახვრეტი.
პირიმზეებმა დაიბანეს
აუზში პირი
და უცვეთელას აბრეშუმი
შემოახვიეს.
ტანზე ცისფერი აბრეშუმის
ჩაიცვეს კაბა
და შურისაგან ცის გუმბათი
გულზე გახეთქეს.
ნამეტურ ერთი კიაფობდა
მათ შორის გოგო,
ისე ქათქათა იყო, სხვები
ზანგებად ჩანდნენ.

სახე მზის ჰქონდა, ლაბები კი —
ნახევარმთვარის.
მისი ტუჩების მარწყვი ჯერე
კაცს არ ეწვნია.
რა მისი ერთი მოხედვა და
რა ისრის ცემა,
რა მისი ბაგის ღიმილი და
რა თაფლის წთოლვა!
წერწეტა საროს ნაყოფშესხმულს
თუ წარმოიდგენ,
იმას მოჰგავდა მისი ტანი
მკერდგათქვირული.
ათასი გული დაეკოდა
ერთი შეხედვით,
ვინც მას უმზერდა, იმას ცოცხლად
რა დაარჩენდა!
აბა რა უნდა დადგომოდა
წინ, როცა ამ ქალს
გონზე მოჰყავდა სიყვარული,
გონს კი ათრობდა.
ისე გაუხდა ამის მნახველ
ჩვენს ნაცნობს საქმე,
ტაძარში ცეცხლის თაყვანისმცემ
კაცს დაემგვანა.
სძლია ცდუნებამ იმ საცოდავს
და სჯულს განუდგა.
აბა მუსულმანს ასეთი რამ
კი არ მოუვა!
ცოტა ხნის შემდეგ შვლისთვალება
ის ორი გოგო,
ტანში ტრფიალის ნაღვერდალი
რომ შეენახათ,
შვლებს რომ ჯაბნიდნენ ასხეპილნი
ფეხით და ტანით
(აუზში შვლები რომ აჩვენეს
ავაზას შორით)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახა ყმაწვილმა, კვლავ გამოჩნდნენ
და მასლაათით
გამოემართნენ იმ კოშკისკენ,
თვითონ რომ იდგა.
სადაც დატოვეს, იქ დაუხვდათ
ბალის პატრონი.
ჰკითხეს: „ხომ კარგად დაიხსომე,
რაც დაგანახეთ?
იმ ჰურიების მოდგმის ტურფა
თოჯინთაგან,
გვითხარ, რომელი მოგვივიდა
უფრო თვალშიო?“
ვაჟმა იმ ქალზე მიუთითა,
ვინც მოეწონა
(რადგან ისინი მოჭრილ პასუხს
ითხოვდნენ მისგან),
დამთავრებული არც კი ჰქონდა
ბიჭს ლაპარაკი,
ქალები, თითქოს გულმძვინვარე
ლომებიაო,
გავარდნენ ხელად და ის გოგო,
ვაჟს რომ მოსწონდა,
ჩანგის ყლერით და მღერა-მღერით
წამოიყვანეს.
ეს ისე მოხდა, ეჭვი არვის
მიუტანია,
რომც მიეტანა, დაბრუნება
გვიანი იყო.
მზეთუნახავი ქალი ციმციმ
მოჰგვარეს ყმაწვილს.
გამოუკეტეს კოშკის კარი
და სადღაც გაჰქრნენ,
ვაჟს ამისთანა არც სჯეროდა
ბედნიერება,
რას იფიქრებდა, ასეთ იღბალს
თუ ეწეოდა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ მისკენ ჩანგის კვრით მავალი
მზეთუნახავი
ჩანგის ლარივით აწყობილი
ჰყავდათ იმ ქალებს.
მათ კი მოეთხროთ მისთვის უკვე
ვაჟის ამბავი,
ვინ იყო იგი, რა გარდახდა
და რა ეწადა.
იმ ფერიასაც ისე, რომ ჯერ
არც კი ენახა,
გულს ჩავარდნოდა სიყვარული
ჩვენი ყმაწვილის.
ყრმა უკეთესიც დახვდა, ვიდრე
თვითონ ელოდა,
ვერცხლი აღმოჩნდა მისი რკინა,
ვერცხლი კი — ოქრო.
ვაჟს მოთმინება არ შეეძლო
მეტი ვნებისგან
და ტანწერწეტა საროს მყისვე
ასე მიმართა:
ვაჟმა: „რა გქვია შენო?“ — ჰკითხა,
ქალმა: „ბედიო“.
ვაჟმა: „ადგილი საით გაქვსო?“
ქალმა: „ტახტზეო“.
ვაჟმა: „ჯილაგით ვისი ხარო?“
ქალმა: „ნათლისო“.
ვაჟმა: „მაშ, ავი თვალი შენგან...“
ქალმა: „შორსამცო!“
ვაჟმა: „კოცნას თუ მაღირსებო?“
ქალმა: „ასჯერო!“
ვაჟმა: „და კოცნის დროც დადგაო?“
ქალმა: „მაშ, მაშო!“
ვაჟმა: „შენ ჩემი გახდებიო?“
ქალმა: „მალეო“.
ვაჟმა: „მაშ, ღმერთმა გისმინოსო!“
ქალმა: „ამინო!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაჟს აუდუღდა სისხლი ძარღვში,
თავს ვერ აჯობა
(ოას დაგიდევდათ აწი სოფხელის
და მოთმინებას!).
მხრებზე გადმოყრილ ნაჭრებზე
ჩაიღლო ხელი
და ჩაიხუტა გათქვიფული
დიაცი გულში.
მისი თავლივით ტკბილი ტუჩი
კოცნა და კოცნა:
ეროთხანს ითვალა კოცნა, წამდეგ
კი თვლა დაჰკარგა.
ოაც წეტი იყო კოცნა, ისეთად
ცხელი ხდებოდა
და საკმაოდ ალტყინა
ვაჟიც და ქალიც.
წამოხტა ვაჟი, ჰსურდა წყალი,
დაწაფებოდა
(მას უკვდავების დაელია.
ეწადა, წყალი),
დააცხრა დიაცს, როგორც ლომი
აცხრება კანჯარს,
დაავლო ხელი, ძირს მოიგდო
და ზედ დააჯდა.
მაგრამ სიმძიმეს ვერ გაუძლო
ქვეშ იატაკმა,
ჩაიქცა უცებ და ჩაშვავდა
ხე და აგური.
დაძველებული იყო თურმე
ის ჩვენი კოშკი.
კეთილი საქმის ბოლო ისევ
კეთილი არის.
ბერწეზე გადურჩნენ ოალაც ბედად
უეჭველ სიკვდილს.
შიშისგან ერთი აქეთ გახტა.
მეორე — იქით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ არ ზეედგა ვინმე გაბელელს
როყიოდ თვალი,
მაშინვე ადგნენ და დატოვეს
იქაურობა.
ყმაწვილმა გულზე შემოყრილმა
და დაზაფრულმა
გაინაპირა და მიეცა
წუხილს და ჭმუნვას,
ქალმა კი თავის ამხანაგებს
მიაშურა კვლავ,
პირს ვერ უხსნიდა დანა შემკრთალს
და დალონებულს.
რა განსაცდელიც გაიარა,
მოუყვა წვრილად,
მერე მიიდო მკერდზე ჩანგი
და აატირა.
თავისი გულის შესაფერი
მოძებნა კილო
და დაახელა სულ ისედაც
ხელი მიჯნურნი.
მღეროდა: „სალამს ვუძღვნი ჩემი
ჩანგის სახელით
ყველას. თუ ვინმე დაკოდილა
სიყვარულისგან!
შეყვარებული იგი არის,
ვინც იტანჯება,
ტანით მრთელია, მაგრამ სული
დალეწილი აქვს.
სანამდე ვმალო სიყვარული,
სანამდე ვმალო?
შეყვარებული ვარ, — გაიგეთ? —
შეყვარებული!
მე სიყვარულმა და სიმთვრალემ
მომიღო ბოლო.
შეყვარებულის მოთმინება
როგორ იქნება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უფათერაკო სიყვარული
სად გაგონილა,
მაგრამ ამაზე სინანული
დიდი ცოდვაა.
მონანიებას სიყვარულთან
რა ესაქმება,
აღკვეთილია სიყვარულში
მონანიება.
კარგი მიჯნური, ვინც სულს დათმობს,
ის მიჯნურია.
შეყვარებულებს ხმლით და ლანით
ვერ შეაკრთობ!"
ქალმა ლალისგან მარგალიტი
რომ გადმოყარა
და ამნაირად რომ აღწერა
თავისი სევდა,
იმ ორმა ქალმა, ამ საბრალოთ
საქმის მოთავემ,
ცეკვა-თამაში რომ უყვარდათ
და თავშექცევა,
მყისვე იაზრეს, რომ ქალის და
ვაჟის კელაპტარს
ბალში სასტიკი ქარაშოტი
დატაკებოდა.
მოძებნეს ვაჟი — ოსები
გადაკარგული,
კაბის კალთაზე მოეკიდნენ
ზელიხასავით.
ჰკითხეს თუ თავზე რა გარდახდათ,
რა დაემართათ,
ისიც მოუყვა და სულ ცხარე
ცრემლით ატირა.
შემოეყარათ ქალებს გულზე,
ეს რომ ისმინეს.
ბოლოს კი ასე მოიფიქრეს
და დაარიგეს:

„ნუ გეშინია, ჩვენ ამალამ
აქ გაგათენებთ,
რამენაირად რომ დავადგათ
შენს საქმეს თავი.
ნებას არ მივცემთ თავს, რომ საქმის
მომიზეზებით
ერთი ჩვენგანიც დღეს აქედან
სახლში დაბრუნდეს,
ვინ-ღა ის მთვარე, შენ რომ ასე
გული დაგწყვიტა,
ამალამ გულში ჩაგიხუტოთ
გულის ნებაზე.
დღე ნათელია და ყოველ ნიეთს
აშკარად აჩენს,
ღამე ბნელია და ყველაფერს
ფარდით ფარავს!“
უთხრეს თუ არა ეს, იმ ყმაწვილს
თვალს მიეფარნენ
და შეუერთდნენ მოტკარცალე
ქალებს წალკოტში.
ხოლო, როდესაც მოსახსამი
სიასამურის
თეთრი ყარყუმის ტანსაცმელზე
მოიხურა დღემ,
მოვიდა ვაჟთან ისევ ისე
ის ორი გოგო
და, ვით დაპირდნენ, ქალიშვილი
მოჰგვარეს ყმაწვილს.
მწყურვალე წყარომ მოიტანა
წყაროსთან თავი
და მზე და მთვარე კვლავ შემოხვდნენ
ერთიმეორეს.
მარტო ხარ გულისსწორთან და ხელს
არავინ გიშლის, —
ვის შეუძლია, შეიკავოს
ასეთ დროს თავი?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თხემით ტერფამდე ვაჟის სხეულს
ცეცხლი მოედო
და აუდუღა სისხლი ტანში
ყრმას დედაკაცმა.
და ის-ის იყო მარგალიტი
უბიწო ქალის
უნდა გაეპო, და შეერთდნენ
ცეცხლი და თივა.
რომ უცბად ტოტზე თურნე ნავსად
მჯდარმა ტყის კატამ
რაღაც ეშმაკად სოროში მყოფს
თაგვს მოჰკრა თვალი.
დააცხრა თავზე თაგვს უეცრად
და ჩვენს აშიკებს
კინალამ გული გაუხეთქა
იჩქითი ელდით.
წამოხტნენ ზეზე, არ იცოდნენ,
რა იყო მათ თავს.
შეშინდნენ მეტად და გიყვარდეთ,
იმათ მოკურცხლეს.
ვერ აისრულეს საწადელი,
გაიქცნენ ისე.
კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ
მაგ საცოდაებს.
თაფლისტუჩებამ მიაწყო
ყველავ თავის ტოლებს.
ჩანგი მიიდო შუალამეს
საბრალომ გულზე.
დაუკრა ჩანგს და აქვითინდა
გულმოსაკლავად:
„გამოზაფხულდა და აყვავდა
ყველავ არლავანი,
წვრწეტა ტანი გაესწორა
წალკოტში საროს.
ვარდმა ხელახლა გაიღიცა
ტკბილი ტუჩებით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოფრინდა ისევ და შემოჯდა
ხეზე ბულბული
და ნეტარების კვლავ გახურდა
ბაზარი ბალში.
მებალემ ბალი მოაშზადა
სალხენად გულის,
მოვიდა მეფე და წალკოტში
გაისეირნა.
ლვინით აღსავსე ჯამი ნახა,
აიღო ხელში,
მაგრამ ჭვა ეცა ჯამს და ჯამი
იგი დაიმსხვრა.
ჰე, ვინც წამაღთვი ყველაფერი,
რაც კი მებადა.
შენ გარდა შველა ჩემი არვის
არ შეუძლია.
თუმცა მე ჩემი საქციელის
მრცხვენია შენთან,
უშენოდ მაინც გული ჩემი
ველარ გულობსო".
ამ ქალიშვილის ხვაშიადის
მჭონე ქალებმა
მალე გაიგეს, რაც მას თავზე
გარდახდენოდა.
შეშოეყარეთ გულზე ქალებს
ამის გამგონეთ
და გაეშურნენ იმ საბრალო
ვაჟის საძებრად.
ვაჟი კი ამ დროს ერბოს ქურდი
მონების მსგავსად
მიმალულიყო, ვინმეს თვალი
რომ არ მოეკრა.
ერთი ვიწრო არხში ჩამხტარიყო
ის საცოდავი,
ხეებისა და ბუჩქების ქვეშ
განაბულიყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაოგნებული იყო, ეს რა
მომხვედრია,
ფერი ან ედო დამფრთხალსა და
ფერმკრთალს სახეზე.
ვაჟს გამოჰკითხეს, რა შეგემთხვა
ანდა როგორ?
იდგა ვაჟი და, რაც გარდახდა,
წვრილად მოუთხრო.
ქვლავ გადასწყვიტა ორმა გულის
მესაიდუმლემ,
დახმარებოდნენ ერთხელ ქალევ
შეყვარებულებს.
დაბრუნდნენ უკან და რაც იყო
საჭირო. ის ქნეს, —
ვაჟს ვაუგზავნეს ვარდისწყალი,
ყმაწვილს ქალწული.
ეახლა ისევ მიჯნურს ქალი
გულისვანცქალით,
ბიჭის ალერსი, ახლა უფრო
მეტად სწყურდა.
ვაჟმა დაავლო სატრფოს ხელი
და წაიყვანა,
სადაც ადგილი იყო უფრო
შესაფერისი.
ერთი ხეებით დაყურსული
კუთხე მონახა.
ვეება ტოტებს დაებურათ
იქაურობა.
შემოიყვანა დედაკაცი
მოფარებულში
და საალერსოდ მოამზადა
რბილი საწოლი.
მოჰკიდა ვაჟმა გოგოს ხელი
და მოიზიდა,
მერე გულივით სასოებით
ჩაიკრა მკერდში.

წეროწეტა საროს ჰგავდა ტანით
და წელის ოხვევით,
ქალი კი იწვა მოწყვეტილი
ვარდივით მოლზე.
გულში ჩაიკრა ვაჟმა ქალი
მკერდგათქვირული
(გინახავთ ვარდი საროს ჩეროზე
მიხუტებული?).
იტმასნებოდა ვნებისაგან
აჭეხილ დიაცს,
ხელებს ხმაროობდა, მუხლები კი
ეკვეთებოდა.
და როცა საქმე ალებამდე
მივიდა ციხის
და რა-ის იყო, ცეცხლი ნოდეს
უნდა ჩაქრო.
რაღაც ეშმაკად მინდვრის თაგვმა,
შემჯდარმა ხეზე,
თურმე გოგრები დაინახა
ბაწრით შეკრული,
ისკუბა ხიდან და მიახტა
გოგრების გალას,
ბასრი კბილებით ელვის ენაცა
გალღლნა ბაწარი
და ჩამოცვივდნენ ეს გოგრები
მიწაზე ისე,
რომ ოვიქრებდით, ძირს ფოლები
ჩამოჰყარესო.
მიწაზე გოგრის დაბეგვების
ხმამ საშინელმა
გულის ბაგუნი აუტეხა
ირგვლივ სულიერთ.
ასეთი იყო ხმა, რომ ელდა
ეტაკა ეფხვსაც
და ხელთ გდებული ნიამორი
პირით გაუსხლტა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყმაწვილს ეგონა, დარაჯები
დამესხნენ თავსო,
ქოში დაჰყარა და მოჰკურცხლა
თავქუდმოგლეჯით.
ერთ ბეჩო ადგილს შეაფარა
საწყალმა თავი
და იყო იქ, ვით მის გუნებას
ეფერებოდა.
ქალმა კი ისევ მიაშურა
თავის მეგობრებს,
გულის ხვაშიადს, ვისაც მიწყივ
უზიარებდა.
როდის და როდის მოიბრუნა
დამფრთხალმა სული,
ფარდა ახადა საიდუმლოს
და მოთქმა იწყო:
„ამბობენ, თურმე ერთხელ ერთი
შეყვარებული
წავიდა თავის გულისსწორთან
შესაერთებლად.
უფანქალებდა გული საჭრელს
ნახვის ლოდინში,
იმედი ჰქონდა, გულის შვებას
შეეყრებოდა:
გულის ნებაზე ჩაიკრავდა
სასურველს გულში,
გაიხარებდა საროს ახლოს
წითელი ვარდი:
მალე ჩაკბეჩდა საყვარლის მკერდს, —
კუხე ბროწეულს, —
და ვაშლის მაგვარ მის მრგვალ ნიკაპს
პირს ჩაავლებდა:
ხელს წაიღებდა მარგალიტის
მძიმე განძისკენ
და გააღებდა კარს აღთქმული
საგანძურისას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაფლსა და შაქარს აურევდა
ერთიმეორეს
და კვერის დაკვრით ტიტას ტანზე
სისხლს დაადენდა.
მაგრამ უეცრად იმისთანა
გრუხუნი ატყდა,
ზედმეტი იყო საოცნებო
ალერსზე ფიქრიც.
ფარვანა თავის სათაყვანო
სანთელს მოსწყვიტეს,
ხოლო მწყურვალი ბინულის წყალს
ვერ დაეწაფა.
ეჰე შენ. ვისი ფარდი ჩემს ჰანგს
არ ეფარდება.
ვითომ რა გიშლის ხელს, ჩემს ჰანგზე
შენც რომ დაუკრა?
შენი ხმა თუმცა ჩემს სიმღერას
არ შეეთვისა.
ნება შენია. ჰანგს მე მაინც
არ შევიცვლიო!"
მორჩა თუ არა ქალი თავის
თავზე სიმღერას,
მისმა ტოლებმა საფიქრალი
გაიგეს მისი.
ვაჟთან გასწიეს, მოეხადათ
რათა ბოდიში.
იპოვეს იგი ბალში მიწის
პირზე განრთხმული.
თან დარცხვენილი იყო ბიჭი.
თან დაბნეული,
გაშხლართულიყო ცივ მიწაზე
და არ იძროდა.
ფერება უწყეს, დააწყნარეს
და დაამშვიდეს,
სირცხვილის ოფლი როგორც იქნა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსწყურეს საწყალს.
ამბავი ჰკითხეს, მან უამბო,
რაც თავს გარდახდა
(ცოტაოდენი მოიშორა
გულიდან ტვირთი).
იმდენი ხერხი და იმდენი
ლონე იხმარეს,
შავი ფიქრები როგორც იქნა
გადაუტეხეს.
გულზე შემოყრილს ბორკილები
აჰყარეს ფეხზე
და გულს იმედი ჩაუსახეს
სასოწარკვეთილს.
უთხრეს: „სიმარჯვე გმართებს მეტი
და მოთმინება.
სიყვარული გაქვს, მაგრამ მეტი
რომ გქონდეს, გიჯობს!
ასეთი კუთხე გამონახე
ამჯერად სადმე,
სადაც უშიშრად შეგეძლება
ღიათან წოლა.
ჩვენ ჩვენდა თავად შორიახლო
გიყარაულებთ,
დარაჯებივით დაგიდგებით
გზაზე მზირადო!“
თქვეს ეს თუ არა. მაშინათვე
შეუდგნენ საქმეს
და მიაკითხეს უპირველეს
ყოვლისა იმ ქალს.
და თურქი ისევ დაეცა ვაჟს
თავს. — გოგომ ბიჭი
მონახა ძალავ და საალერსოდ
განოიწყინა.
გადაუგორა სევდის ლოდი
გულიდან მიჯნურს,
ეაჟმაც თავისი დიდკაცობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადაეფარა,
ვნებაატეხილს ნაწნავებში
მოჰკიდა ხელი
დ საალერსოდ მყუდრო ლეთხის
ძებნას შეუდგა.
რმ ბალში ერთი ყურე იყო
მოთვალებული,
იასამნებით დაბურული
და ჩრდილოვანი.
ვეებერთელა გალავანი
გაჭიმულიყო.
ზემოთ ტყე ჩანდა, ხოლო ქვემოთ —
გამოქვაბული.
სად მინახავდა ყრმა ამაზე
უკეთესს ადგილს!
შევიდა შიგ და საალერსო
კუთხე გამართა.
მ-სწრ-მოსწია იასამნის
ხშირი ტოტები
და სასოებით შეიყვანა
შიგ ქალიშვილი.
ჩახედა გოგოს საწმეროთუნი. —
განახენა კარნი. —
და შენ რომ იცი, ახლა იმის
გახსნას შეუდგა.
გულზე მიიკრა ვარდის კონა
და ის-ის იყო.
შაქართან უნდა მიეტანა
ზედ ნუშის გული.
ჯერ არც კი ჰქონდა ჩაწოებული
სურმაში ჩხირი.
საწუთრომ ისევ მოუგონა
ახალი ხრიკი.
გამოქვაბულში მელიები
ცხოვრობდნენ თურმე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და წაიკიდნენ სწორედ ამ დროს
ნანადირევზე,
თავად მელიებს ერთი მგელი
უდარაჯებდა,
ჰსუროდა, ისინი ხელში ეგდო
და გაეგლიჯა.
და მელიებმაც, ამ მგლის ლუკმა
არ შეექნეთო
(მგელი კი მათთვის დიახაც რომ
საშიში გახლდათ),
მოკურცხლეს. უკან გამოენთო
მგელი მელიებს.
და გზა იმათი შეყვარებულთ
საწოლს დაემთხვა.
ძლივს თავის საქმეს შედგომილი
ქალ-ვაჟის თავზე
ჯერ მელიებმა გადირბინეს
შემდეგ კი — მგელმა.
ბიჭს ჩაეფუშა დაწყებული
სანატრი საქმე,
დაფრთხა, ეგონა თავს დამესხნენ
და ეს არისო!
რა დაემართა, არ იცოდა,
წამოხტა ზეზე,
ხან რას ეცა და ხან რას ეცა
მტვერში მოთხვრილი.
ჯიგარი სისხლით ჰქონდა სავსე,
თავი კი ფიქრით, —
როგორ გავიდე ამ წყეული
ადგილიდანო?
ამ დროს ის ორი ანგელოზი
გამოჩნდა სწორედ,
ვაჟი ამ ხათას და იმ გოგოს
ვინც გადაჰკიდა.
კაბის კალთები დაეჭირათ
იმ ქალისათვის

(ორ ნიანგს შორის გამომწყვდეულ
მარგალიტს ჰგავდა).
გაუწყრნენ გოგოს: „რას აკეთებ,
ნეტა, თუ იცი,
როგორ იქცევი, რა ეშმაკი
შეგაჯდა მხრებზე?
ეს მერამდენედ გაუფუჭე
ამ ყმაწვილს საქმე,
შენი სიავით, ვერა ხედავ,
მკვდარია კაცი!
შენ რომ შენს მიჯნურს მოექეცი,
ისე უგულოდ
ადამიანი ვიგინდარას
არ მოექცევა.
ამ ერთ ღამეში მერამდენედ
გააგდე იგი,
რამდენი ხრიკი და ოინი
უქენი მასო!
ქალმა უფიცა თავის ტოლებს,
უბრალო ვარო,
მაგრამ არავინ შეისმინა
სიმართლე მისი.
სწორედ ამ დროს წამოადგათ
ის ბიჭი თავზე, —
სანთელი ნახა მომწყვდეული
ორ მარწუხს შუა.
თანაც კიცხავდნენ და ნამუსზე
აგდებდნენ თანაც,
ერთი ჩქმეტდა ქალს, მეორე კი
თავში ურტყამდა.
ვაჟმა შესძახა: „თუ ღმერთი გწამთ,
გაუშვით ხელი,
რაც მას ბედისგან სჭირს, სატირლად
ისიც ეყოფა!
დაცული არის ცოდვისაგან
ბუნება მისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცოდვა თუ ვინმეს ეკითხება,
მე მეკითხება.
ყველა გულადი და მამაცი,
ვინც კია ქვეყნად,
პატიოსნების ყურმოჭრილი
მონაა მხოლოდ.
დაუსაბამოს თანადგომას
ვუმადლოთ უნდა,
ჩვენ ამ ცოდვისგან რომ დაგვიხსნა
და დაგვიფარა;
ის ფათერაკი, რაც გარდაგვხვდა
ჩვენ თავს ამაღამ,
მან მოგვივლინა, ხიფათისგან
რომ დავეხსენით.
დაგვაჯილდოვა სათნოებით
ჩვენ ბედმა ჩვენმა
და დაგვიფარა ბილწი საქმის
ჩადენისაგან.
ის, ვინც ეშმაკის გადაურჩა
ყბაში ჩავარდნას,
კეთილი არის, კეთილი კი
სიავეს არ იქმს.
როგორც წესია, ისე უნდა
შევირთო იგი
და რაც ეკუთვნის, მასზე მეტი
პატივი ვსცეო!"
თქვა ეს თუ არა, გამობრუნდა
ვაჟი ქალაქში
და ის ქალწული წესის დაცვით
ცოლად შეირთო[17].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კომენტარები

1. მწუხარე და ლამაზი შაოსანი ქალი შედარებულია შავი სევადით მოხატულ ვერცხლს.

2. ირგვლივ ბუნება ისე ყვაოდა, რომ არლავანი აღტაცებისაგან სახტად დარჩენილიყო. ენა მუცელში ჩავარდნოდა.

3. ხუზისტანი განთქმული იყო შაქრით. პოეტი გვეუბნება: ყოველი ქალის ტუჩები ისე ტკბილი იყო, როგორც მთელი ხუზისტანის შაქარი.

4. ინდოელი (რომელიც აქ ზანგს გულისხმობს) შავი ფერის მეტაფორაა და მწუხარებაზე მიგვანიშნებს. ვაჟი ამბობს: მწუხარება გავანადგუროთ, ვიმხიარულოთ.

5. თეთრი ქაფური — ქალის ტანია, შავი მუშკი — თმა.

6. ბროწეული — ქალწულის მკერდი.

7. სულით ავადმყოფებზე მთვარე უარყოფითად მოქმედებს.

8. კეთილელს მძინარესაც გახელილი აქვს თვალები, მტერს ფხიზელი ვეგონებით.

9. ხალხელი — თეთრი და ლამაზი, ჰაბაშელი — შავი მონა.

10. როცა კაცს მეფის თვალწინ სიკვდილით სჯიდნენ, ძირს ნაგს აგებდნენ, რათა სისხლს იატაკი არ დაესვარა.

11. აღმოსავლეთში გავრცელებული გადმოცემის მიხედვით, წარღვნა დაიწყო ეოთი ქუფელი დედაბრის თონის მიზეზით.

12. „ბიშრი“ არაბულად სიხარულს ნიშნავს, „ბიშარი“ კი — საზიზღარს. მალიხა განზრახ ამახინჯებს ბიშრის სახელს, ბიშრობით რომ იხსენიებს, უნდა იგი ლანძღოს.

13. სარკე ძველად გაპრიალებული ლითონისა იყო. ლითონს კი ძმრით არ გაწმენდენო, ამბობს ბიშრი.

14. იხ. კომენტარი 10.

15. იხ. კომენტარი 6.

16. აღმოსავლური თქმულებით, უდაბნოს ბოროტ სულს სუსტი, ღვედივით წვრილი და მოწყვეტილი ფეხები აქვს. იგი მგზავრს თავს აცოდებს, აჯდება ზურგზე და ღუპავს.

17. როგორც ანოტაციაშია აღნიშნული, წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ნიზამის პოემის შემოკლებულ ვარიანტს, პოემის ძირითადი ამბის ჩარჩოში ჩართული შვიდი თქმულების თარგმანს. თავისთავად პოემის ჩარჩო დაახლოებით ასეთი შინაარსისაა:

17. ირანის მეფეს იაზდიგარდს შეეძინა ვაჟი, რომელსაც ვარსკვლავთმრიცხველებმა კარგი ბედი უწინასწარმეტყველეს, მაგრამ მამას ურჩიეს, იგი სამეფო სახლისათვის მოეშორებინა და იემენში გაეზარდა. მეფემ, რაღვან სხვა გზა არ ჰქონდა, ბავშვი, რომელსაც ბაჰრამი დაარქვეს, იემენში გაუგზავნა თავის ვასალს ნოყმანს. იემენის ჰავა ირანელი უფლისწულისთვის მავნე არ იყო და ნოყმანმა გადაწყვიტა, სადმე სააგარაკო ადგილი მოენახა, იქ აეშენებინა ციხე-კოშკი და უფლისწულიც იქ გაეზარდა. საამისოდ მან გააგზავნა თავისი შვილი მონზერი. მონზერმა, მართლაც, მონახა შესაფერისი ადგილი, ხავარნაყი და ნოყმანის დაკვეთით ბერძენმა ხუროთმოძღვარმა იქ რამდენიმე წელიწადში მშვენიერი ციხე-კოშკი ააშენა. იემენის მეფემ გულუხვად დაასაჩუქრა ხუროთმოძღვარი. ამ უკანასკნელმა ასეთი საზღაური რომ დაინახა, ინანა: რომ მცოდნოდა, უფრო უკეთესს ციხე-კოშკს ავაშენებდი და გასამრჯელოსაც უფრო მეტს მივიღებდიო. იემენის მეფეს ხუროთმოძღვრის ნათქვამი გულში მოხვდა: ფულს დახარბებული ოსტატი ჩემზე უკეთეს ციხე-კოშკს აუშენებს ვინმესო. ბრძანა და საწყალი ხუროთმოძღვარი იმავე კოშკიდან გადმოაგდებინა. ბაჰრამი ამ კოშკში გაიზარდა. მას წიგნს თვითონ მეფე, მონზერი, ასწავლიდა, ხოლო ნადირობასა და ცხენოსნობას მის შვილთან, არაბ უფლისწულთან ერთად, ეწეოდა. ბაჰრამი მეცნიერებასაც დაეუფლა და სამხედრო ხელოვნებასაც. ყმაწვილს განსაკუთრებით კანჯარზე უყვარდა ნადირობა. ამიტომ შეარქვეს მას ბაჰრამ-გური (გური-კანჯარი). კანჯრებს ან ხოცავდა, ანდა თავისი დაღით დაღავდა. შემდეგ უფლისწულის დადაღულ კანჯარს ვერავინ ახლებდა ხელს. უფლისწული ისე დაეუფლა მშვილდ-ისარს, რომ ერთ დღეს ერთი ისრით კანჯარზე შემხტარი ლომიც მოკლა და კანჯარიც.

ერთხელ ნადირობის დროს ბაჰრამი კანჯარს გამოეკიდა. დიდი ხნის დევნის შემდეგ, ნადირმა უფლისწული ერთ გამოქვაბულთან მიიყვანა. გამოქვაბულის შესასვლელთან გველეშაპი გაწოლილიყო. ბაჰრამმა მოკლა გველეშაპი და ისევ კანჯარს გამოუდგა. კანჯარი გამოქვაბულში შეევიდა. აქ ბაჰრამმა აუწონელი განძი იპოვა. ეს დიდი ქონება ხელგაშლილმა უფლისწულმა სულ მოკლე ხანში გაასაჩუქრა და გაანიავა.

ერთ დღეს ბაჰრამმა ხავარნაყში ერთი გამოკეტილი სახლი გააღებინა. შიგნით კედელზე შვიდი სამეფოს შვიდი მპყრობელის შვიდი ქალიშვილი იყო დახატული: ინდოეთის რაჯის ასული — ფურაქი, ჩინეთის ხაყანის ასული — იალმანაზი, ხორეზმის შაჰის ასული — ნაზფერი, რუსეთის მეფის ასული — ნასრინ-ნუში, მაღრიბის მეფის ასული — აზარიუნი, საბერძნეთის კეისრის ასული — ჰომაი და ირანის მეფის ასული — დორსათი.

მათ შუა თვითონ ბაჰრამი იყო გამოსახული. ახალგაზრდას ქალწულების ნდომა გულში შეუვიდა, მაგრამ ამასობაში სხვა ამბავი გარდახდა თავს. გარდაიცვალა მისი მამა იაზდიგარდი. ირანელმა დიდებულებმა მომთაბარე არაბებთან გაზრდილი ბაჰრამი მეფედ არ ინდომეს, მას შაჰის გარდაცვალებაც კი არ შეატყობინეს და სახელმწიფო ტახტზე დასვეს ერთი დროული კაცი, რომელიც სამეფო გვარს კი ეკუთვნოდა, მაგრამ ტახტის უშუალოდ მპყრობელთა მემკვიდრე არ იყო. ბაჰრამი ურიცხვი ლაშქრით მოეშართება ირანისაკენ, რათა უზურპატორს ტახტი წაართვას და სამეფოს კანონიერად დაეპატრონოს. უფლისწული ირანე-

ლებს უგზავნის წერილს, რითაც აცნობებს, რომ იგი მამამისის მემკვიდრეა, ხოლო ტახტი მის მამას, იაზდიგარდს ეკუთვნოდა. ირანელი დიდებულები ბაჰრამის უფლებას სცნობენ, მაგრამ იმიზეზებენ ერთგულების ფიცს, რომელიც მათ ირანის ტახტისმპყრობელისთვის აქვთ მიცემული. მაშინ ბაჰრამი იძლევა ასეთ წინადადებას: სამეფო გვირგვინი დადონ ორ ლომს შორის, ტახტის მოცილეთაგან ვინც აიღებს მას, მეფობაც მას დარჩესო. მოხუცი გვირგვინოსანი შეშინდება და ასეთ პირობაზე უარს ამბობს. მაშინ დიდებულები წამოაყენებენ ახალ წინადადებას: გვირგვინს დადებენ ლომებს შუა და თუ ბაჰრამი შეძლებს მის აღებას, მაშინ ტახტზე არ შემოედავებიან. თუ ვერა — სამეფო ისევ მოხუც მეფეს დარჩებაო. ბაჰრამი თანხმდება, კლავს ლომებს და ეპატრონება გვირგვინს. ბაჰრამი გამეფდება.

ბაჰრამის ხელში ირანი აყვავდება. მაგრამ სულ მალე ქვეყანას თავს დაატყდება გვალვა და შიმშილი. ოთხი წელიწადი მოსავალი არ მოსულა. ბაჰრამის ბრძანებით გააღებენ სახელმწიფო ბეღლებს და ხალხს პურს დაურიგებენ.

ბაჰრამს სასახლეში ერთი მომღერალი ხარჭა ჰყავდა, სახელად ფითნე. ერთხელ ნადირობაზე ამ ფითნემ ბაჰრამი შეაგულიანა: აბა ისარს კანჯარს თავსა და ფლოქვებზე ერთდროულად თუ მოახვედრებო. ბაჰრამმა მაშინ ესროლა ისარი კანჯარს, როცა ნადირმა თავთან მიიტანა ფლოქვი. მეფემ მას ისრით ფეხი თავთან მიულურსმნა. ფითნემ არც ეს ჩაუთვალა ბაჰრამს გმირობად, ამას ვარჯიშის შემდეგ ყველა გააკეთებსო. გაბრაზებულმა მეფემ ხარჭის მოკვლა ბრძანა. მოსაკლავად გატანებულ სარდალს ფითნემ სთხოვა, ნუ მომკლავ, იქნება შაჰმა ინანოს ჩემი მოკვლა და მერე გამოუჩინე ჩემი თავიო. სარდალმა ფითნე თავის მამულში წაიყვანა და იქ გადამალა.

გაბოხდა ხანი. ერთ დღეს ფითნემ იმ სარდალს ბაჰრამი სტუმრად აწვევინა, მეფემ ქალი ცოცხალი რომ დაინახა, გაიხარა, სარდალსაც დაუმადლა და ფითნე ცოლად შეირთო. ბაჰრამი ცოლად ირთავს, აგრეთვე, იმ შვიდ მზეთუნახავს და მათთვის აშენებს შვიდ კოშკს: შავს, ყვითელს, მწვანეს, წითელს, ფირუზისფერს, სანდალოზისფერს და თეთრს. ყოველი მზეთუნახავი ბაჰრამს მოუყვება თითო ამბავს, რომლებიც წინამდებარე წიგნშია გადმოცემული.

პოემაში ბაჰრამს ამის შემდეგ სხვა ამბებიც გარდახდება თავს. ირანს მეორეჯერ შემოესევა ჩინეთის მეფე. განცხრომასა და თავაშვებულობას მიჩვეული ბაჰრამი და მისი ჯარი ვერ უმკლავდებიან მტერს. ბაჰრამი გაიქცევა. გამარჯვებული ჩინეთის მეფე ღრეობას მართავს. ბაჰრამი რჩეული მეომრებით მოულოდნელად ესხმის მას თავს და იმარჯვებს.

ერთ დღეს, ნადირობაზე, ბაჰრამი ერთ მოხუც მწყემსს წააწყდება. მასპინძელი თვალებს აუხელს მეფეს და უამბობს იმ მტარვალობასა და უსამართლობაზე, რასაც მისი ვეზირი ჩადის. მოხუცის ნათქვამი მართალი აღმოჩნდება, ვეზირს ბაჰრამი სჯის და ათავისუფლებს პატიმრებს, რომლებიც მას უსამართლოდ ჰყავდა დამწყვდეული.

... ერთ დღეს, ნადირობაზე, ბაჰრამი კანჯარს გაეკიდება. კანჯარი გამოქვაბულში შეასწრებს. ბაჰრამიც შეჰყვება თან და იქ უჩინარდება. ამის შემდეგ ირანის მეფე აღარავის უნახავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლექსიკონი

ამამა — მამაკაცის ერთგვარი თავმოსაბურავი ისლამურ აღმოსავლეთში.

ავრიმანი — ბოროტი სული ირანულ მითოლოგიაში; არიმანი.

ბილყისი — იხ. სოლომონი.

ბულღარი — თურქული მოდგმის ხალხი, რომელმაც IX-XII ს. მდ. ვოლგის ნაპირზე შექმნა ამავე სახელწოდების სახელმწიფო.

გაბრიელი — ბიბლიური მთავარანგელოზი.

გაზორი — ხამის ქსოვილის მრეცხავი და გამათეთრებელი ხელოსანი.

ერამი — აღმოსავლური მითის მიხედვით, მეფე შედადის მიერ მოშენებული ბაღი, რომელიც ედემის ბადალი უნდა ყოფილიყო ამქვეყნად.

ზელიხა — იოსებზე შექმნილი ბიბლიური თხზულების აღმოსავლური ვერსიის „იოსებისა და ზელიხას“ გმირი ქალი.

თარაზი — ქალაქი იყო შუა აზიაში, იქ დადგმული ბუდისტური ქანდაკებები, რომელიც ისლამურ ლიტერატურაში კერპებად იქნა მიჩნეული, სპარსულ პოეზიაში გამოიყენებოდა ლამაზი, მაგრამ მიუკარებელი და გულქვა ქალის მეტაფორად.

თაჯი — გვირგვინი; სამეფო გვირგვინი.

იზადი — ძველირანული (ზოროასტრული) ღვთაება.

იოსები — ბიბლიური იოსებ მშვენიერი.

მისრეთი — მისრი, ეგვიპტე.

მისრი — იხ. მისრეთი.

ნესარი — პატივისცემის ნიშნად თავზე გადაყრილი ოქროს ფული, ტყბილეული, ყვავილი და მისთანანი.

ონყა — ზღაპრული ვეება ფრინველი, რომელიც ვითომ ყაფის მთაზეა დაბუდებული.

რუდი — ერთგვარი სიმებიანი საკრავი.

რუმი — საბერძნეთი; ბიზანტია; თურქთა რუმის სასულთნო მცირე აზიაში.

სიმურღი — ზღაპრული ფრინველი (შდრ. ონყა).

სოლომონი — ბიბლიური სოლომონ ბრძენი. ყურანის მიხედვით მისი მეუღლეა ბილყისი.

ფარჰადი — აღმოსავლური ლეგენდის გმირი, უყვარდა შირინი და შეეწირა მის სიყვარულს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფეილამბარი — მოციქული.

ქავსარი — წყარო სამოთხეში.

შირინი — იხ. ფარჰადი.

ხიზრი — აღმოსავლური მითების გმირი, რომელმაც მიაგნო უკვდავების წყალს. მწყურვალთა შემწე უდაბნოში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

შავი სასახლე 3
ყვითელი სასახლე 57
მწვანე სასახლე 80
წითელი სასახლე 106
ფირუზისფერი სასახლე 137
სანდალოზისფერი სასახლე 180
თეთრი სასახლე 210
კომენტარები 240
ლექსიკონი 243

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი ნ. მაძალუა
მხატვარი ნ. ნარიმანიძე
მხატვრული რედაქტორი ჯ. ზენაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი დ. რაზმაძე
კორექტორი ე. ჩიკაშუა
გამომშვები ნ. კვატაშიძე

ს. ბ. — 3270

ჩაბარდა წარმოებას 9. 10. 85 წ. ხელმოწერილია საბეჭდად 31. 07. 86 წ. ფორმატი 60×84 1/16. საბეჭდი ქაღალდი № 2. გარნიტურა ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 14,4. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 12,62. პირობითი საღებავგატარება 14.9. ტირაჟი 7 000. შეკვეთა № 30.

ფასი 1 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის გამზ. 42, თბილისი, 1986